ომარ ქეშელაშვილი

# საქართველოს აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდის სტრატეგიული სისტემა

## მ ო ნ ო გ რ ა ფ ი ა

(წინამდებარე გამოცემა, აღნიშნული პრობლემის ირგვლივ აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტში ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების შემაჯამებელი მესამე მონოგრაფიაა)

### მონოგრაფიაში წარმოდგენილია

1. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია, დარგთა და კულტურათა შეთანაწყობა, მისი ეკონომიკური შეფასება და ზონალურ-დიფერენცირებული მახასიათებლები;
2. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომარაგებისა და გამოყენების ზონალურ-დიფერენცირებული შეფასება და პროგნოზირება, მარკეტინგული მოთხოვნილებების შესაბამისად;
3. სასურსათო პროდუქციის ფასებისა და ფასწარმოქმნის სისტემა, ზონალურ-დიფერენცირებული სარეკომენდაციო, სარეალიზაციო ფასების თანაფარდობის ოპტიმალური მოცულობები და მისი რეგულირების მექანიზმი;
4. აგრარული სექტორის რაიონული და სახელმწიფოებრივი დონის მენეჯმენტის სტრატეგიულ-პროგრამული მოდელები და მისი გამოყენების რეკომენდაციები.

თბილისი–2010
გამომცემლობა „არეალი“

ISBN 978-9941-0-0900-6
UDC (უაკ) 338.43(479.22)
ქ–433

იბეჭდება აგარარული ეკონომიკის ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით
(12. 11. 09. ოქმი №7 )

ომარ ძეშელაშვილი

# საქართველოს აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდის სტრატეგიული სისტემა

სარედაქციო კოლეგია: ო.ქეშელაშვილი, გ.დოღონაძე, ჯ.მახარაძე, მ.მეჭურჭლიშვილი, თ.თავიდაშვილი, გ.ძნელაშვილი.

მონოგრაფიის ცალკეული თავების თანაავტორები არიან:
I თავის–მ.მეჭურჭლიშვილი, ე.ძაგანია,
II თავის–თ.თავიდაშვილი.
III თავის–გ.ძნელაშვილი, ლ.პიტიურიშვილი.
IV თავის–გ.დოღონაძე, ჯ.მახარაძე, ი.ჯალაღონია.

Омар Кешелашвили

# Стратегическая система экономического роста аграрного сектора Грузии

Тбилиси-2009

O.Keshelashvili

# Economical Growth Strategic System of Georgian Agrarian Sector

Tbilisi- 2009

# შესავალი

წინამდებარე მონოგრაფია მომზადდა აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტში 2009 წელს ჩატარებული გამოკვლევების შედეგების საფუძველზე.

გამოკვლევები სრულდებოდა შემდეგი პრიორიტეტული სტრატეგიის–„საქართველოს აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდის რესურსული და ინსტიტუციონალურ-მარკეტინგული, ზონალურ-დიერენცირებული სტრატეგიული სისტემის დამუშავება“ (ხელმძღვანელი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ომარ ქუშელაშვილი), ჩარჩოებში, რომელიც მოიცავს 4 პროგრამას:

1. სოფლის მეურნეობის განვითარების მრავალფაქტორული სიტუაციური ანალიზი, მარკეტინგული სტრატეგიისა (მოდელის) და დარგობრივ-რეგიონული ოპტიმიზირებული პროგნოზის (თვალსაწიერი და შორეული პერიოდისათვის) დამუშავება;

2. სოფლის მეურნეობის საწარმოო-რესურსული პოტენციალის გამოყენების ზონალურ-დიფერენცირებული შეფასება და მისი პროგნოზირება, მარკეტინგული მოთხოვნების შესაბამისად;

3. სოფლის მეურნეობის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით მოდიფიცირებული, ზონალურ-დიფერენცირებული ეკონომიკური მექანიზმისა და ინსტიტუციონალური სისტემის სრულყოფისა და უკუგების რეკომენდაციების დამუშავება;

4. აგრომენეჯმენტის ზონალურ-დიფერენცირებული, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა და სხვადასხვა დონის მიხედვით მოდიფიცირებული, სტრატეგიულ-პროგრამული, ოპტიმიზირებული მოდელებისა და მისი პრაქტიკული რეალიზაციის სისტემური რეკომენდაციების დამუშავება.

2009 წელს დამუშავდა შემდეგი ღონისძიებები::

**პირველი პროგრამიდან,** „სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის (დარგობრივი სტრუქტურის), დარგთა და კულტურათა შეთანაწყობის განსაზღვრა, მისი ეკონომიკური შეფასება და ზონალურ-დიფერენცირებული მახასიათებლების დადგენა“

**მეორე პროგრამიდან,** მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომარაგება და გამოყენების ზონალურ-დიფერენცირებული შეფასება და პროგნოზირება, მარკეტინგული მოთხოვნილებების შესაბამისად“.

**მესამე პროგრამიდან,** „სასურსათო პროდუქციის ფასებისა და ფასწარმოქმნის სისტემის სრულყოფის, ზონალურ-დიფერენცირებული სარეკომენდაციო, სარეალიზაციო ფასების თანაფარდობის ოპტიმალური მოცულობების და მისი რეგულირების მექანიზმის დამუშავება“

**მეოთხე პროგრამიდან:** „აგრარული სექტორის რაიონული დონის მენეჯმენტის სტრატეგიულ-პროგრამული, ოპტიმიზირებული მოდელების შექმნა და მისი გამოყენების სისტემური რეკომენდაციების დამუშავება“; და “აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი დონის მენეჯმენტის სტრატეგიულ-პროგრამული, ოპტიმიზირებული მოდელების შექმნა და მისი გამოყენების სისტემური რეკომენდაციების დამუშავება”,

# 1. პრიორიტეტული პრობლემის აღწერა

დასახელებული პრიორიტეტული პრობლემა წარმოადგენს აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტში შემუშავებული (დადგენილი) სამი პრიორიტეტული პრობლემიდან ერთ-ერთს.

ასეთი პრობლემა საქართველოს პირობებისათვის პირველად მუშავდება, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება თანამედროვე ეკონომიკის ძირითადი მოტივაციური მოთხოვნების მთელი სისტემა, რაც მიმართულია უპირატესად ეკონომიკური ზრდისაკენ და რომელიც უნდა ეყრდნობოდეს: საწარმოო-რესურსული პოტენციალის მკაცრად მიზნობრივ შეფასებასა და რეგულირებას; საბაზრო ურთიერთობათა სივრცეში მარკეტინგული პოზიციების, შესაძლებლობებისა და მექანიზმის დარგობრივ-რეგიონულ დიფერენცირებულ შეფასებასა და მაღალი უკუგებით რეალიზაციას; წარმოების, ზონალურ-დიფერენცირებულ და სხვადასხვა დონის მიხედვით მოდიფიცირებულ და სისტემურ მენეჯმენტს; წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით მოდიფიცირებულ და ზონალურ-დიფერენცირებულ ეკონომიკურ მექანიზმს, როგორც მთელი წარმოების გაძღოლის სრულყოფისა და ეკონომიკური ზრდის ეკონომიკურ-ორგანიზაციული ბერკეტების სისტემას.

აღნიშნული პრიორიტეტული პრობლემის შესწავლის აქტუალობა და მიზანშეწონილობა გაპირობებულია მსოფლიო გლობალიზაციის მოთხოვნებით, რომლის თანახმადაც მასშტაბურად დგება საკითხი წარმოების ოპტიმიზაციის, რაციონალიზაციის, ინტეგრაციისა და მისი უზრუნველყოფის ეკონომიკური მექანიზმის, სამეურნეო რისკით გამართლებული და შეწონასწორებული გამოყენების, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური კავშირების განვითარებისა და მასში თითოეული რეგიონის პროპორციული ჩართვის, მოხმარების არეალის გაფართოებისა და ეფექტური გაჯერების შესახებ. ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სტაბილური და უსაფრთხო ეკონომიკური ზრდა.

სამეცნიერო პრობლემა თავისი გადაწყვეტით არის: ფუნდამენტურ-გლობალური, მიზნობრივ-სტრატეგიული, მარკეტინგულ-მოტივაციური, ვარიანტულ-ოპტიმიზირებული, ეკონომიკურად უსაფრთხო, სოციალურად ორიენტირებული და სამართლებრივად უზრუნველყოფილი.

# 2. პრობლემის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა

აღნიშნული პრიორიტეტული სტრატეგიის (პრობლემის) დამუშავების საჭიროება განსაკუთრებული აქტუალობითა და სიმწვავით დადგა დღევანდელ ეტაპზე, შემდეგი მიზეზების გამო:

—სოფლის მეურნეობის მთელი სიტუაციური ანალიზი, რომლითაც დასტურდება ამ დარგის არასწორი გზით და დაუსაბუთებელი განვითარება და შედეგად დიდი დისპროპორციები და არსებული საწარმოო რესურსების უყაირათო გამოყენება (ექსპერტული შეფასებით სოფლის მეურნეობაში ამჟამად, საწარმოო-რესურსული პოტენციალი დაახლოებით 50%-ით გამოიყენება, სამთო რაიონებში კი უფრო ნაკლები დონით), აუცილებელს ხდის დამუშავდეს მეცნიერული რეკომენდაციები, მისი ეკონომიკურ-ტექნოლოგიური სისტემის მკაცრად მიზნობრივი გამოყენების თვალსაზრისით;

—საბაზრო ეკონომიკაზე ქვეყნის გადასვლამ შეაფერხა სოფლად ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, მ.შ. მანამდე სრულიად უცხო ფერმერული მეურნეობების დასაბუთებული ფორმირება და ფუნქციონირება, ადგილობრივი რესურსული (საწარმოო) პოტენციალის უდანაკარგო და ეფექტური გამოყენება, გაძნელდა მათთვის სწორი საწარმოო მიმართულების მიცემა, რაც უზრუნველყოფდა მდგრად განვითარებას.

ყოველივე ამან შექმნა დიდი წინააღმდეგობები და შეფერხებები სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და ქვეყნის, განსაკუთრებით სოფლის ღარიბი ფენის მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფისათვის, გააუარესა მათი სოციალური მდგომარეობა, გამოიწვია უარყოფითი მიგრაციული პროცესები სოფელი-ქალაქის მიმართულებით.

ეს გამოკვეთილი ტენდენცია მოითხოვს ახლებურ, შესაბამის ეკონომიკურ და სოციალურ კრიტერიუმებზე დაყრდნობილი გადაწყვეტილებების შემუშავებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურული სრულყოფის, დარგობრივ-რეგიონული ეკონომიკის ოპტიმიზაციისა და რაციონალიზაციის, ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების დანერგვის, საწარმოო-რესურსული პოტენციალის მკაცრად მიზნობრივი გამოყენების, მარკეტინგული მოთხოვნების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის (დარგობრივი სტრუქტურის) დაზუსტებისა და დახვეწის, გამართულ მენეჯმენტზე დაყრდნობით ადგილობრივი-რაიონული და მთელი ქვეყნის საბაზრო სეგმენტების საკუთარი წარმოების სასურსათო პროდუქტებით მაქსიმალურად

გაჯერების ამოცანის გადაწყვეტის და ყოველივე ამის შესაბამისად, ინსტიტუციონალური სისტემისა და ეკონომიკური მექანიზმის, თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებული სრულიად ახალი, პროგრესული მოდელის დამუშავების თვალსაზრისით, რაც სისტემატიურად უნდა იხვეწებოდეს და ზუსტდებოდეს.

ამ პრობლემის მეცნიერულად დასაბუთებულმა გადაწყვეტამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ზრდის, რესურსული პოტენციალის ეფექტური გამოყენებისა და ლოგიკურად, სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის პრიორიტეტული, სახელმწიფოებრივი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას, შესაბამისად კი საგარეო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცებას და საქართველოს მსოფლიო ინტეგრირებულ პროცესებში სტაბილურად ჩართვას.

აღნიშნულ სტრატეგიას ძალზე მჭიდრო კავშირი აქვს სამთავრობო პრიორიტეტებთან, რომლის მიზანია ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაცია, ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის განმტკიცება, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ლოგიკურად და უშუალოდ გამომდინარეობს მათგან და იგი უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, მომავალზე ორიენტირებულ, პროგრესული ხედვის სტრატეგიულ პროგრამად.

ამჟამად, საქართველოში, ასეთი, ფართომასშტაბური, მრავალკო-მპონენტიანი, ახლებურად დანახული და მომავალზე ორიენტირებული სტრატეგიული სისტემა–როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის კომპლექსური და სისტემურად სრულყოფილი ნაშრომი (რეკომენდაციები) არ გაგვაჩნია.

**აღნიშნული პრიორიტეტული სტრატეგიის აქტუალობა და სიახლე დასტურდება იმით, რომ:**

მასში, ჩვენს პრაქტიკაში პირველად იქნება ასახულ-წარმოდგენილი სოფლის მეურნეობის ფუნქციონირების ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემო, ფართო სპექტრის ეკონომიკურ-ორგანიზაციული სისტემა, რეგიონულ-დარგობრივი მოდიფიკაციებით, სპეციფიკური თავისებურებებით, რესურსული და საწარმოო პოტენციალით, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური მექანიზმით, ინტეგრაციის განვითარების შესაძლებლობებითა და ფორმებით.

ნაშრომს, მეცნიერულთან ერთად ძალზე დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი–იგი, საშუალებას მისცემს მეცნიერებს დაეყრდნონ საფუძვლიან, უტყუარ, ამასთან, ერთ სისტემაში თავმოყრილ მასალას, ცნობებს, მონაცემებს, პარამეტრებს, შეფასებებსა და პოზიციებს სოფლის მეურნეობის მთელი სისტემური ციკლის მიხედვით; მეორეს მხრივ–იგი, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშაკებისათვის (ფერმე-

რები, ოჯახური მეურნეობები, სპეციალისტები) წარმოადგენს ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა ერთიან, ყოვლისმომცველ და პრაქტიკული თვალსაზრისით მდიდარ, რეკომენდაციური სტილის ქრესტომატიას, რომელზე დაყრდნობითაც მათ საშუალება ეძლევათ, თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე და მასზე დაყრდნობით გაუძღვენ მეურნეობას (წარმოებას) და ამით გარანტია შექმნან მოგების მისა-ღებად და სტაბილური კლაევწარმოებისათვის.

# 3. პრობლემის დამუშავების მიზანი და ამოცანები

პრიორიტეტული სტრატეგიის დამუშაების **მიზანია:** დადგინდეს და შეფასდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის, მარკეტინგულ მოთხოვნებზე მორგებული და მომავალზე ორიენტირებული, განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ზონალურ-დიფერენცირებული, დარგობრივ-რეგიონული სტრუქტურული და სტრატეგიული (პროგნოზული) სისტემა, საწარმოო-რესურსული პოტენციალი, მენეჯმენტის ოპტიმიზირებული მოდელი, ინსტიტუტციონალური და ეკონომიკური მექანიზმი.

ამ სამუშაოებმა ერთიან ციკლში უნდა მოაქციოს რეგიონულ-დარგობრივი, ეკონომიკურ-ორგანიზაციული, რესურსული, ინსტიტუციონალური და მეცნიერული არსენალი (მიღწევები, შეფასებები, პოზიციები, რეკომენდაციები, მომავლის მიდგომები) და ამით საფუძველი შექმნას სოფლის მეურნეობის თითოელი დარგის, მისი საწარმოო პოტენციალის, ეკონომიკური მექანიზმის ცალკეული ბერკეტის, მარკეტინგული (საბაზრო ეკონომიკის) მოთხოვნების შესაბამისი გამოყენებისათვის და ამის შედეგად მთელი ქვეყნის ეკონომიკური და მეცნიერული პოტენციალის ამაღლებისათვის.

**აღნიშნული მიზნის რეალიზაცია მოითხოვს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:**

- შეფასდეს სოფლის მეურნეობის განვითარების ეკონომიკურ-ტექნოლოგიური და მარკეტინგული გარემო და ჩატარდეს სოფლის მეურნეობის განვითარების მრავალფაქტორული სიტუაციური ანალიზი;
- დამუშავდეს სოფლის მეურნეობის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია (მოდელი) და დარგობრივ-რეგიონული ოპტიმიზირებული (შეწონასწორებული) პროგნოზი (თვალსაწიერი და შორეული პერიოდისათვის);

- მარკეტინგული მოთხოვნების შესაბამისად შეფასდეს სოფლის მეურნეობის საწარმოო-რესურსული პოტენციალის ზონალურ-დიფერენცირებული გამოყენება და დამუშავდეს მისი პროგნოზი;
- დამუშავდეს სოფლის მეურნეობის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით მოდიფიცირებული, ზონალურ-დიფერენცირებული ეკონომიკური მექანიზმისა და ინსტიტუციონალური სისტემის სრულყოფის რეკომენდაციები;
- დამუშავდეს აგრომენეჯმენტის ზონალურ-დიფერენცირებული, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა და სხვადასხვა დონის მიხედვით მოდიფიცირებული, სტრატეგიულ-პროგრამული, ოპტიმიზირებული მოდელები და მისი პრაქტიკული რეალიზაციის სისტემური რეკომენდაციები.

# 4. მოსალოდნელი შედეგები

- რეალური ეკონომიკურ-ორგანიზაციული და ინსტიტუციონალური სისტემის შექმნა, სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ზრდისათვის, მისი სტაბილური ტემპებისა და ზომიერი მასშტაბების უზრუნველყოფა;
- სტაბილური მიკრო და მაკროეკონომიკური გარემოს შექმნა;
- მტკიცე ფულად-მატერიალური, საფინანსო-საკრედიტო და საგადასახადო ბაზის შექმნა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის და მათი გამოყენების უკუგების დონის ამაღლება;
- პოტენციურად მზარდი სასურსათო ბაზის შექმნა საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაფართოებისა და სრულყოფისათვის;
- პოტენციურად მზარდი და სასურსათო პროდუქტებით მიზნობრივად გაჯერებული რეგიონული სასურსათო (აგრარული) ბაზრის ფორმირება და რეგულირებული გამოყენება;
- საწარმოო-რესურსული პოტენციალის გამოყენების რეგულირება და მისი უკუგების დონის ამაღლება;
- საწარმოო ინფრასტრუქტურის რაციონალური გამოყენების რეგულირება და მისი უკუგების დონის ამაღლება;
- სასურსათო პროდუქციის ფასებისა და ფასწარმოქმნის სისტემის სრულყოფა;
- საგარეო-ეკონომიკური კავშირების რეგულირება და „საკუთარი საგარეო ბაზრის“ შექმნა;
- ინტეგრირებული (მ.შ მინი-ინტეგრირებული) და კოოპერირებული საწარმოების განვითარების უზრუნველყოფა;

- ახალი ეკონომიკური სუბიექტების (ინსტიტუტების) რეგულირებული განვითარების უზრუნველყოფა;
- აგრომენეჯმენტის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა და სხვადასხვა დონის მიხედვით სრულყოფა და მისი უკუგების დონის ამაღლება;
- სოფლის მეურნეობის გაძღოლის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა;
- უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების ზრდა, მისი გამოყენების რეგულირება და უკუგების დონის ამაღლება;
- თითოეული ფერმერული მეურნეობისა და აგრარული სექტორის საწარმოო და სერვისული ტიპის ფორმირებების ფუნქციონირების უკუგების დონის ამაღლება;
- სოფლად მცხოვრები ოჯახების მატერიალური და სოციალური პირობების გაუმჯობესება;
- ეკონომიკური დისპროპორციების დაძლევა სოფლად და საბაზრო ურთიერთობებზე მორგებული სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემის შექმნა.

ნაშრომის (პროექტის) რეალიზაცია საფუძველს შექმნის ამაღლდეს თითოეული ფერმერული მეურნეობისა და სასოფლო რაიონებში გაადგილებული აგრარული სექტორის საწარმოო და სერვისული ტიპის ფორმირებების ფუნქციონირების უკუგების დონე, გაუმჯობესდეს სოფლად მცხოვრები ოჯახების მატერიალური, სოციალური და ამდენად სულიერი პირობები, რაც დადებით გავლენას მოახდენს საქართველოსათვის ისეთ მტკივნეულ პრობლემაზე, როგორიცაა უკანასკნელ ათწლეულში დაფიქსირებული კრიტიკული დემოგრაფიული სიტუაცია და ზოგიერთ რაიონში აშკარად გამოკვეთლი დეპოპულაციის პროცესი.

ყველა ამ საკითხის მოგვარება საშუალებას მოგვცემს დაძლეული იქნას დღემდე არსებული დიდი ეკონომიკური დისპროპორციები და შეუსაბამობები და საფუძველი ჩაეყაროს წარმოების, საბაზრო ურთიერთობებზე მორგებულ სახელმწიფოებრივ რეგულირებას.

ამდენად, ნაშრომის რეალიზაციის მოსალოდნელი დადებითი შედე-გები გადაუჭარბებლად შეიძლება შეფასდეს როგორც გლობალური და სტრატეგიულ-ისტორიული მნიშვნელობისა.

# 5. მიზნის (იდეის) წარმატებული რეალიზაციის საშუალებები და ხელშემწყობი პირობები

იდეის რეალიზაციისათვის საქართველოში მდიდარი ინტელექტუალური რესურსი არსებობს, დაგროვილია დიდი ტრადიციები სოფლის მეურნეობის ზონალური სპეციალიზაციისა და ინტეგრაციის, წარმოების მართვისა და გაძღოლის სპეციფიკური პრობლემების კვლევის მიმართულებით.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, მ.შ. ფერმერულ მეურნეობებს გააჩნიათ კარგი ბუნებრივი, ტექნოლოგიური და ეკონომიკური პირობები და მყარი პოტენციალი, რომელთა მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებზე დაყრდნობითაც მათ შეუძლიათ გადაწყვიტონ სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის ამოცანა.

ამისათვის საჭიროა საგანგებო, მიზნობრივი გამოკვლევების ჩატარება და შესაბამისად, ამ ამოცანაზე მორგებული ზონალურ-დიფერენცირებული რეკომენდაციების დამუშავება, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება.

დამუშავებული პროგრამის რეალიზაციას ხელს შეუწყობს ფერმერული მეურნეობის, სხვა ტიპის სასოფლო-სამეურეო საწარმოთა ის ძირითადი მოტივაცია, რომ პროგრამაში მოცემული საწარმოო და ეკონომიკური პოტენციალის ოპტიმიზირებულ-მიზნობრივი პარამეტრების გამოყენებით, საწარმოო პროცესის გაძღოლის სისტემის სრულყოფის საფუძველზე ისინი მიაღწევენ გარანტირებულად მაღალ საბოლოო შედეგებს და შეძლებენ მომგებიან ფუნქციონირებას. ამის შედეგად შეიქმნება მყარი მარკეტინგული გარემო და სასურსათო უსაფრთხოების მაღალი ფონი, რაც თავისთავად, თითოეული საწარმოო ფორმირების სტაბილური და წარმატებული მართვის ხელშემწყობი პირობა იქნება.

ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ყველა ამ პირობის შექმნას ხელს შეუწყობს თვით პროგრამაში მოცემული შესაბამისი დამცავი ეკონომიკური მექანიზმი.

პროგრამის რეალიზაცია მოითხოვს სისტემატიურ მეცნიერულ კონსულტაციებსა და ზედამხედველობას, საჭირო კორექტირებებისა და დაზუსტებების ეტაპობრივად შეტანას, რეგიონული, საგარეო-ეკონომიკური, მარკეტინგული მოტივაციებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. ეს იმას ნიშნავს, რომ პროგრამის შედგენა არ არის ერთჯერადი აქტი. იგი დინამიური პროცესი უნდა იყოს.

# 6. პრობლემის რეალიზაციის პოზიტიური შედეგები მოსახლეობისათვის

პროგრამის რეალიზაცია, რაც გამოიხატება შესაბამისი მეცნიერული ხასიათის რეკომენდაციების დამუშავებითა და პრაქტიკული გამოყენებით, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს. მ.შ. ფერმერულ მეურნეობებს შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივი მიკროზონალური პირობებისა და აგრომარკეტინგული მოტივაციების გათვალისწინებით დასაბუთებულად შეარჩიონ და განავითაროონ ის დარგები და სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომლებიც ყველაზე მეტად ესატყვისება და პასუხობს ადგილობრივ სპეციფიკურ ნიადაგურ-კლიმატურ, ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ (რესურსულ) ფაქტორებს, ამასთან, დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელსაც უყენებს მათ შიდაზონალური ეკონომიკური კავშირები, ადგილობრივი საბაზრო სეგმენტების გაჯე-რების, სასურსათო ბაზრის სწორი ფორმირებისა და მოსახლეობისათვის მისაღები ფასწარმოქმნის ამოცანები.

ყოველივე ამის შედეგად შეიქმნება მყარი და სტაბილური ბაზა ადგილობრივი წარმოების სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის დონის თანდათანობითი ამაღლებისათვის.

**შედეგების შეფასება და მონიტორინგის მექანიზმი**

სამეცნიერო-კვლევის შედეგები ფასდება ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა მთელი სისტემით, რითაც დგინდება მათი პრაქტიკული გამოყენების (დანერგვის) შედეგად მოსალოდნელი ეკონომიკური უკუგების დონეები, ცალკეული ღონისძიების მიხედვით, თითოეული ღონისძიების პრაქტიკული რეალიზაციის მიზანშეწონილობის ზღვრები (საგანგებო მეთოდების მომარჯვებით), გამოითვალება შესაბამისი პროგნოზული პარამეტრები და პროპორციები, ისახება მეცნიერული რეკომენდაციების სისტემა, დარგობრივ-რეგიონული დიფერენციაციით.

**მონიტორინგის მექანიზმი,** რომელიც ეყრდნობა ეკონომიკური მახასიათებლებისა და კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდების გამოყენებას, უზრუნველყოფს დაკვირვებას, მეთვალყურეობასა და კონტროლს პრობლემის დამუშავების თითოეული ღონისძიების მიხედვით კვლევის მიმდინარეობაზე, მის მიზანშეწონილობაზე, გამართლებულობაზე, გზადაგზა შესაძლო კორექტირებების შეტანის პირობითა და შესაძლებლობებით. დასაშვებია კვლევის პროცესის ცვლილების ღონისძიებების შემუშავებაც, სათანადო ინდიკატორების მოშველიებით.

აღნიშნული მონიტორინგი უშუალოდაა დაკავშირებული სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკასთან, აგრარული რეფორმის მოთხოვნებთან, საგარეო-

ეკონომიკური კავშირების განვითარებასთან და ამ თვალსაზრისით შესაძლო ცვლილებებთან, აგრეთვე სამეწარმეო კანონმდებლობის და სხვა საკანონმდებლო საფუძვლების ცვლილებასთან, ამიტომ, კვლევის დროს ყოველივე ეს მხედველობაში იქნება მიღებული, რამაც უნდა უზრუნველყოს კვლევის პროცესის სრულყოფა და მიღებული შედეგების სარწმუნოობისა და უტყუარობის მაღალი დონის მიღწევა.

ასეთი მონიტორინგის სისტემა აგრარული ხასიათის ეკონომიკურ გამოკვლევებში პირველად დაინერგება, ეს კი მოითხოვს ამ სპერციფიკური მონიტორინგის განხორციელების მეთოდოლოგიური ბაზის შექმნასა და ეტაპობრივ სრულყოფას.

# 7. გამოკვლევათა ამოსავალი ბაზა:

**(საქართველოს სოფლის მერნეობის განვითარების მოკლე ისტორია, როგო-რც ამოსავალი ბაზა აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდისათვის).**

საქართველოს, რომელმაც, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მსოფლიო ცივილიზაციაში, დიდი და მდიდარი ტრადიციების მქონე სოფლის მეურნეობა აქვს.

საქართველოს ტერიტორია უხსოვარი დროიდანაა დასახლებული. ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვის VI საუკუნეში აქ ცნობილი იყო აქტიური სახელმწიფოები-კოლხიდა და იბერია, სადაც მოიპოვებდნენ ოქროს, ვერცხლს, რკინას, ვითარდებოდა ხელოსნობა. ეს სახელმწიფოები მდებარეობდა მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე.

ფეოდალურმა საქართველომ და მისმა სოფლის მეურნეობამ დიდ აღმავლობას მიაღწია XII-XIII საუკუნეებში (თამარ მეფის ეპოქა). განვითარება ჰპოვა ხელოსნობამ და ვაჭრობამ. საქართველოდან გაჰქონდათ აბრეშუმი, ხალიჩები, მეტალის ნაკეთობანი, ღვინო და სხვა.

საქართველოში, ასევე უხსოვარი დროიდან ვითარდება სოფლის მეურნეობა და იგი მრავალმხრივი, უნიკალური თავისებურებებითა და ნიშან-თვისებებით ხასიათდება, რაც გაპირობებულია მრავალფეროვანი, რეგიონების მიხედვით მკვეთრად განსხვავებული ნიადაგურ-კლიმატური და ეკონომიკური პირობებით.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის გაძღოლის კულტურის ნიშნები აისახა მითოლოგიურ და ეთნოგრაფიულ სიგელებში, რაც დასტურდება ამ დარგთან დაკავშირებული ადათ-წესებითა და წეს-ჩვეულებებით, სარწმუნოებრივი ხასიათის რიტუალებით და სხვა.

საქართველო, სოფლის მეურნეობის სპეციფიკის თაკლსაზრისით მსოფლიო მნიშვნელობის რეგიონია. საქვეყნოდაა ცნობილი და აღიარებული, რომ საქართველო წარმოადგენს ხორბლისა და ვაზის ერთ-ერთ სამშობლოსა და აკვანს. აქ, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გამოყვანილია ამ კულტურათა აბორიგენული ჯიშები, რომე-ლთა ბადალი მსოფლიოში არ მოიპოვება.

მიჩნეულია, რომ ვაზი ქართული ფენომენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი ძალა გამოვლინდა ქართულ ქრისტიანობაშიც, რასაც ადასტურებს და განამტკიცებს ის, რომ ქართველი ხალხი ჯვარს ვაზისგან ამზადებდა და აღიარებდა რწმენის სიმბოლოდ.

აღნიშნულის გარდა, უაღრესად საყურადღებოა და ფრიად არგარიშსაგასაწევი, რომ საქართველოში, ხალხური სელექციის მიღწევად ითვლება: ხევსურული ძროხა, თუშური ცხვარი, მეგრული თხა, კახური, სამთოსატყეო სამომთაბარეო ღორი, ქართული რუხი, გრძელხორთუმიანი ფუტკარი, რომელთა მსგავსი მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ მოიძებნება.

სოფლის მეურნეობის გაძღოლის მდიდარი ტრადიციები, საუკუნეების მანძილზე, თანდათან იხვეწებოდა, ვითარდებოდა და სრულყოფილ ფორმას იძენდა.

გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა მიერ გამოყვანილია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ახალი ჯიშები და ჰიბრიდები, შეიქმნა მათი მოვლა-მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეცნიერული სისტემა, რაც დიფერენცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონებისა და ქვეზონების მიხედვით.

ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მრავალფეროვნებამ და მოთხოვნებმა, დიდი ხნის ისტორიის მანძილზე ერთხელ და ორჯერ როდი მოახდინეს კორექტირებები სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურასა და განვითარების მიმართულებებში.

გასული საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში, მიწათმოქმედების დარგებიდან ფართოდ იყო განვითარებული: მარცვლეული მეურნეობა, მევენახეობა, მეხილეობა, საკვებწარმოება, მეცხოველეობის დარგებიდან–მთისა და ბარის მესაქონლეობა, მ.შ. მეკამეჩეობა, მეცხვრეობა, მელორეობა, ლოკალურად-მეფრინველეობა. შემდგომ პერიოდში, სხვა ქვეყნებთან კაეშირურთიერთობის განვითარების შედეგად რამდენადმე იცვალა სახე სოფლის მეურნეობამ. დასვლეთ საქართველოს უნიკალურ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს კარგად მოერგო სუბტროპიკული მიწათმოქმედება და წარმატებით განვითარდა მანამდე ქართული სოფლის მეურნეობისათვის უცხო კულტურები: ჩაი, ციტრუსები, სუბტროპიკული ხილი. შედარებით ადრე, ასევე სხვა

ქვეყნებიდან მოხვდა საქართველოში სიმინდი, კარტოფილი, პამიდორი, თამბაქო, სხვადასხვა ჯიშის პირუტყვი და ფრინველი.

ახალი სასოფლო-სამეურნო კულტურების შემოტანა თავის გავლენას ახდენდა წარმოების სპეციალიზაციაზე, ქვეყნის მთელ ეკონომიკაზე.

ამ ცვლილებებმა უდავოდ დადებითი გავლენა მოახდინა სტრუქტურული თვალსაზრისით. სოფლის მეურნეობის განვითარებამ ძირითადად ორი სტრატეგიული მიმართულება მიიღო. ჯერ ერთი—გამოიკვეთა ის პრიორიტეტული დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მთელი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს და მნიშნელოვან როლს ასრულებენ ეროვნული შემოსავლის ფორმირებაში. ეს დარგებია: მევენახეობა და ღვინის მრეწველობა, მეხილეობა და საკონსერვო მრეწველობა, მეჩაიეობა და ჩაის მრეწველობა, მეციტრუსეობა და ციტრუსების პროდუქციის გადამმუშავებელი მრეწველობა. მეორეს მხრივ-ცალკე დავჯგუფდა ე.წ. "სასურსათო მნიშვნელობის" დარგები: მემარცვლეობა, მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა, მეცხოველეობა, რომელთანაც შეთანაწყობილია ტექნიკური და საკვები კულტურების პროდუქციის წარმოება.

დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი პროცესის გავლას, როგორიც იყო სპეციალიზებული რეგიონების შექმნა, ქვეყნისათვის პრიორიტეტული და სტრატეგიული დარგების განსაზღვრა-კლასიფიკაცია და უპირატესი განვითარება. ამას ხელი შეუწყო და შეიძლება ითქვას დასაბამი მისცა ქართველ ნიადაგმცოდნეთა მიერ ნიადაგური პირობების (საფარის) შესწავლამ და ახალი, მომგებიანი კულტურების (ჩაი, ციტრუსი და სხვა) გაშენებისათვის რეკომენდაციების მიცემამ.

ასეთი მუშაობის შედეგად, შრომის საზოგადობრივი დანაწილების საფუძველზე, გამოიყო საქართველოს სოფლის მეურნეობის ხელწერისა და იმიჯის განმსაზღვრელი დარგების რეგიონული სისტემები, კერძოდ: სამრეწველო მევენახეობისა და მეხილეობის, მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის, საგარეუბნო და მთის მეცხოველეობის უნიკალური, გამოკვეთილი რეგიონები.

# თავი I.

## 1.1. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია (დარგობრივი სტრუქტურა), დარგთა და კულტურათა შეთანაწყობა, მისი ეკონომიკური შეფასება და ზონალურ-დიფერენცირებული მახასიათებლები

სოფლის მეურნეობის რაციონალური სპეციალიზაციის დადგენა აგრარულ-ეკონომიური მეცნიერების ერთ-ერთი რთული და სერიოზული პრობლემაა. თანამედროვე პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ფართო მასშტაბები, მატერიალურ-ტექნიკური შეიარაღების სწრაფი ტემპები და ბუნებრივ პირობებზე ადამიანის თანდათან უფრო შესამჩნევი ზემოქმედება მოითხოვს სისტემატურ და გულმოდგინე შესწავლას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებისა და სპეციალიზაციის თანდათან სრულყოფას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებასა და სპეციალიზაციაზე, დარგთა შეთანაწყობაზე და მათი განვითარების ტემპებზე მრავალი პირობა და ფაქტორი ახდენს გავლენას, რომლებიც შეიძლება დავგუფდეს ბუნებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებად. საქართველოს პირობებში სპეციალიზაციის საკითხების გადაწყვეტა განსაკუთრებით დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს. იგი უნდა გადაწყდეს ცალკეული რაიონების ადგილობრივი ნიადაგურ-კლიმატური და სამეურნეო პირობების ღრმა გათვალისწინებით. ასეთი მიდგომის აუცილებლობას განაპირობებს ის გარემოება, რომ საქართველო ხასიათდება მეტად მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ აქ გხვდება თითქმის ყველა ტიპის კლიმატი და ნიადაგი.

საქართველოს გეოგრაფიულმა თავისებურებამ და საერთოდ სპეციფიკურმა ბუნებრივმა პირობებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაში.

საქართველოს ზღვისპირა მდებარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე. იგი ერთ-ერთი ყველაზე მთიანი და სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით ძნელად ასათვისებელი რეგიონია. ზღვის დონიდან 500 მეტრამდე განლაგებულია მთელი ტერიტორიის 26,7%, 500-დამ 1000 მეტრამდე – 21,7%, 1000-დან 1500 მ-მდე – 19,1%, 1500-დან 3000 მ-მდე – 31,0% და 3000 მ-ზე ზევით – 1,5%. ქვეყნის მთელი ტერიტორიის 54% მთებს უკავია, 33% - მთისწინებს, ხოლო 13% - დაბლობ ადგილებს.

საქართველოს ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი მის ცალკეული ნაწილებს სპეციფიკურ ჩასიათს აძლევს და ქმნის ტიპურ, ერთიმეორისაგან განსხვავებულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ რაიონებსა და მიკრორაიონებს. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების სირთულე და მრავალფეროვნება განაპირობებს მისი ცალკეული ნაწილების დიდ განსხვავებას ჰიდროლოგიური თვალსაზრისით. საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით, მასზე მოდის ყოფილ საბჭოთა კავშირის მდინარეების ჩამონადენის 1,4%.

რესპუბლიკის ბუნებრივი კომპლექსის ფორმირებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს შავი ზღვა. ის ხელს უწყობს თბილი და ტენიანი კლიმატის ფორმირებას, რაც ინტენსიური სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას იძლევა. მეორე მხრივ, ეკონომიური თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია საგარეუბნო და საკურორტო სოფლის მეურნეობის განვითარება.

ასევე მრავალფეროვანია კლიმატი, რაც ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით აიხსნება. საერთოდ გამოიყოფა ორი ძირითადი კლიმატური რაიონი: ზღვის ტენიანი სუბტროპიკული და ზღვის ტენიანი სუბტროპიკულიდან კონტინენტურში გარდამავალი.

საქართველო ძალზე მდიდარია თერმული რესურსებით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო თვალსაზრისით. მზის რადიაციის ინტენსივობა და ხანგრძლივობა საკმაოდ დიდია. ზღვისპირა რაიონებში მზის ნათება წელიწადში საშუალოდ 2000-2200 საათს უდრის, აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში – 2400-2500 საათს. ტერიტორიის დიდ ნაწილზე მაღალია საშუალო წლიური ტემპერატურა. კოლხეთის დაბლობსა და ზღვის სანაპირო ზოლზე იგი +14, +15$^0$ აღწევს (აქ ყველაზე თბილი ზამთარია), აღმოსავლეთ საქართველოში საშუალო წლიური ტემპერატურა +11, +13 გრადუსს არ აღემატება; დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში აქტიურ ტემპერატურათა წლიური ჯამი (+10 გრადუსზე ზევით) 4000-4500$^0$-ია, აღმო-სავლეთ საქართველოში 3000-4000$^0$-ს აღწევს.

ასეთი ხელსაყრელი კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა წარმატებით იქნას მოყვანილი წელიწადში ორი მოსავალი და ფართოდ დაინერგოს შუალედური და სანაწვერალო კულტურები.

ატმოსფერული ნალექები ტერიტორიაზე ძალზე არათანაბრად ნაწილდება. დასავლეთ საქართველოში საკმარისი, ზოგჯერ ზედმეტი რაოდენობის ნალექი მოდის (2200-2700 მმ საშუალოდ წლის განმავლობაში), ამ მხრივ ვერტიკალური სარტყლების მიხედვით არსებითი განსხვავება არ შეიმჩნევა. აღმოსავლეთ საქართველოში შესამჩნევად ნაკლები ნალექი მოდის – 400-

500 მმ წელიწადში; ზოგიერთ მაღალმთიან ზონაში – 1200-1500 მმ-აც აღწევს. აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ნალექების სიმცირე განაპირობებს სელოვნური რწყვის აუცილებლობას.

ტერიტორიის ძლიერი დანაწევრება, საკმაოდ განსხვავებული გეოგრაფიული აგებულება, კლიმატური პირობებისა და მცენარეული საფარის მრავალფეროვნება დიდ გავლენას ახდენს ნიადაგის ფორმირებაზე. აქ გვხვდება თითქმის ყველა ტიპის ნიადაგი, დაწყებული სუბტროპიკულ ზონაში წითელმიწებიდან მაღალმთიანეთის მთა-მდელოს ნიადაგებზე, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს მდელოსა და უდაბნო მდელოს ზონის შავმიწა-ყომრალი, მურა და სამხრეთ ნაწილის მთა-მდელოს ზონის მთის შავმიწებამდე.

დასავლეთ საქართველოში სამეურნეო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს წითელმიწებსა და ყვითელმიწებს, აგრეთვე ეწერი ტიპის ნიადაგებს, სადაც ძირითადად გაადგილებულია სუბტროპიკული კულტურები.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ნიადაგურ საფარზე ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს ეროზია. უკანასკნელ წლებში, ძირითადად მთიან რაიონებში, ეროზიის შედეგად სამეურნეო ბრუნვიდან ათასობით ჰექტარი მიწა გამოვიდა.

მაშასადამე, მეტად მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობების გამო საქართველოს სხვადასხვა ზონასა და რაიონში ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული საწარმოო მიმართულების მეურნეობები ჩამოყალიბდა.

მთიანი რელიეფის გავლენა სოფლის მეურნეობაზე, უწინარეს ყოვლისა, მეტისმეტად შეზღუდულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში გამოიხატება. საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0,17 ჰა სახნავი და 0,62 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მაშინ როდესაც საშუალო ყოფილ საბჭოთა კავშირში ანალოგიური მაჩვენებლები შესაბამისად 0,90 და 2,1 ჰექტარს შეადგენს. სოფლის მეურნეობის მიერ გამოყენება მთელი ტერიტორიის მხოლოდ 44,3%, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ბევრად მაღალია (უკრაინაში – 91%, ჩრდილოეთ კავკასიაში – 88% და ა.შ.).

თავისებურია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა სტრუქტურაც. მაგალითად, თუ უკრაინაში სახნავის ხვედრითი წილი მთლიან სასოფლო-სამეურნეო სავარგულში 80,6%-ია, მოლდავეთში – 73,1%, იგი საქართველოში 26,0 პროცენტამდე ეცემა. ასევე ითქმის დამუშავებაში მყოფი მიწების მიმართ. უკრაინაში მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან დამუშავებაში მყოფ მიწებზე მოდის 83,4%, მოლდავეთში – 86,9%, საქართველოში–37,4%; მეზობელ რესპუბლიკებში– აზერბაიჯანსა

და სომხეთში – სახნავი სასოფლო-სამეურნეო სავალგულებში შესაბამისად იკავებს 35,8-38,5, დამუშავებაში მყოფი მიწა–45,0-38,5%-ს.

საწარმოო თვალსაზრისით ბუნებრივი პირობები მოქმედებს არაიზოლირებულად–მჭიდრო კავშირშია სხვა ფაქტორებთან, პირველ რიგში ეკონომიკურ პირობებთან, რითაც განისაზღვრება სოფლის მეურნეობისადმი წაყენებული მოთხოვნები. თანამედროვე პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები სულ უფრო მეტად უკავშირდება საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრინციპებს და მის მოთხოვნებს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებასა და სპეციალიზაციაზე გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ საქართველო ხასიათდება მოსახლეობის საკმაოდ მაღალი სიმჭიდროვით (71,2 კაცი 1 კვ. კილომეტრზე). ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ მთიანი რელიეფის გამო საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობა მეტად არათანაბრადაა განაწილებული. მისი ძირითადი ნაწილი ბარის რაიონებშია დასახლებული.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში სოფლად სამუშაო ადგილების შემცირების გამო სამუშაო ძალა თანდათანობით ინაცვლებს სხვა დარგებში და მატულობს შრომისუნარიანი (განსაკუთრებით) მოსახლეობის მიგრაციის ტემპი, როგორც ქალაქად, ისე საზღვარგარეთ.

ამრიგად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადაადგილებასა და სპეციალიზაციაზე, მისი განვითარების არეალებზე, გაძღოლის სისტემასა და თვით ინტენსიფიკაციის დონეზე მრავალი ობიექტური ბუნებრივი და ეკონომიური პირობა და ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელთა მოქმედების ღრმა მეცნიერული შესწავლა, მის შესაბამისად გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემუშავება და სისტემატური სრულყოფა აუცილებელი პირობაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

სხვადასხვა ნიშნის მიხედვით საქართველოს ტერიტორიის დაყოფას გარკვეულ ზონებად თუ ერთეულებად დიდი ხნის ისტორია აქვს. უძველესი დროიდან ჩამოყალიბდა ტერიტორიული ერთეულები, რომელთა გამოყოფა ბუნებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეთნოგრაფიულ და სხვა ნიშნებს ეყრდნობოდა და მათი სახელწოდებები დღემდე შემორჩა.

საქართველოს ტერიტორიის სამეურნეო თვალსაზრისით დაყოფის პირველი ცდა გამოჩენილ ქართველ გეოგრაფს–ვახუშტი ბაგრატიონს ეკუთვნის. სამეურნეო ზონების გამოყოფას იგი საფუძვლად უდებდა ბუნებრივ პირობებს და ჰიფსომეტრიულ ნიშანს; ამის მიხედვით განასხვავებდა მთისა და ბარის ზონებს და საქართველოს ტერიტორიას სასოფლო-სამეურნეო კულტურათა

მოსავლიანობა-მწარმოებლურობის მიხედვით რამდენიმე სამეურნეო ზონად ყოფდა. აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მოცემულ დარაიონების პირველ ცდაში უკვე ჩაისახა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის მნიშვნელობა, მისი საჭიროება და კონტურები, რაც შემდეგ საგანგებო შესწავლის საგანი გახდა.

საქართველოს ტერიტორიის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის თვალსაზრისით დაყოფის სისტემატიური მეცნიერული კვლევა 1950-იანი წლებიდან იწყება. კვლევის შედეგად მიღებული მრავალი ვარიანტიდან საყურადღებო და საკმაოდ დასაბუთებული აღმოჩნდა 1960 წელს ავტორთა ჯგუფის (პროფ.პ.ჟღენტი, ნ.კუპრავა, პროფ.მ,რჩეულიშვილი, კ.როგავა, დ.ცალქალამანიძე) მიერ დამუშავებული საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონალური სქემა, რომლის საფუძველზეც საქართველოში გამოიყო 11 ზონა და 3 ქვეზონა.

წლების მანძილზე, სოფლის მეურნეობის განვითარებაში მომხდარი ცვლილებებისა და მის წინაშე დასა-ხული ამოცანების შესაბამისად, 1970 წელს, პროფ.პ.ჟღენტისა და პროფ.ოქეშელაშვილის მიერ სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონალურ სქემაში შეტანილი იქნა ცვლილებები—გამოიყო 11 ზონა 7 ქვეზონით. ამავე ავტორთა მიერ 1981 წელს დამუშავდა ამ სქემის კორექტირებული ვარიანტი, რომლის თანახმადაც ოფიციალურად დადგინდა 13 ზონა 11 ქვეზონით.

ამ სქემამ შემდგომი კორექტირება განიცადა 1999 წელს. აკადემიკოსების ო.ქეშელაშვილისა და ვ.ბურკაძის მიერ გამოიყო 13 ზონა და 6 ქვეზონა.

შემდგომ პერიოდში. საქართველოს სოფლის მეურნეობამ მნიშვნელოვანი და ზოგ შემთხვევაში რადიკალური ცვლილებები განიცადა, რაც უკავშირდებოდა მსოფლიო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების სწრაფ განვითარებას, საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებასა მის შეუქცევად მოტივაციურ მოთხოვნებს, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გამოძახილს, ინსტიტუციონალურ ცვლილებებს.

ამ პირობებმა დიდი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის განვითარების ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ გარემოზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის მასშტაბებზე.

სოფლის მეურნეობის წინაშე დაისახა ახალი პრიორიტეტული მიმართულებები: აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდა; აგრარული წარმოების ოპტიმიზაცია; მოხმარების რაციონალიზაცია; სტრუქურული და ორგანიზაციულ-მმართველობრივი გარდაქმნები; სასურსათო უსაფრთხოება; სამეურნეო რისკის მართვა; აგროეკონომიკური ტექნოლოგიური სისტემების შექმნა; პროგრამირებული მოსავლის მიღება.

ყოველივე ამის გათვალისწინებითა და მხედველობაში მიღებით გადაუდებლად დაისვა საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონალური სქემის შეცვლის საჭიროება.

2009 წელს, საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის განახლებული ზონალური სქემა დამუშავდა და ცალკე წიგნად გამოიცა აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილის მიერ, რაც ამ ხაზით წინა, მრავალი წლის მანძილზე შესრულებულ ანალოგიურ სამუშაოებს ეყრდნობოდა და ითვალისწინებს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებსა და თანამედროვე სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტებს.

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე, რომელიც ეყრდნობოდა ადრინდელ ზონალურ სქემებს და უკანასკნელ ხანს, ჩვენივე ხელმძღვანელობით დამუშავებულ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტიულ მარკეტინგულ მოდელს, **საქართველოს ტერიტორია სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის თვალსაზრისით დაიყო 13 ზონად და 8 ქვეზონად.**

<u>სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ახალ ზონალობას, საფუძვლად დაედო ბუნებრივი პირობები, ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ გარემო, დარგობრივი სტრუქტურა, განვითარების სტრატეგიული და პრიორიტეტული ამოცანები, სამეურნეო რისკ-ფაქტორები და მარკეტინგული მოტივაციები.</u>

ახალი ზონალური სქემის ტაქსონომეტრიულ ერთეულად, ისევე როგორც ადრე (კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად), შენარჩუნებული იქნა ადმინისტრაციული რაიონი.

ზონების დასახელებისას გამოყენებულია სამხარეო და ფიზიკურ-გეოგრაფიული მინიშნებები. (ზოგიერთი ზონის–აფხაზეთის, დასახელება მოცემულია სავარაუდოდ).

სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონების ახალი სქემა საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოში სოფლის მეურნეობის ხაზით გაშლილ მთელ სამეცნიერო-კვლევით და სადისერტაციო საქმიანობას.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ქვეყნის განვითარების დღევანდელ ეტაპზე სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა წარმატებით ვერ განხორციელდება თუ არ იქნება ობიექტურად შესწავლილი და შეფასებული რეგიონების (მხარეების მ.შ. ადმინისტრაციული რაიონების) ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე, ტენდენციები და მათი პოტენციალი.

ამ მიზნით, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, რეგიონების ჭრილში გაანალიზდა სოფლის მეურნეობის ფაქტიური მდგომარეობა და გამოიკვეთა მისი განვითარების ძირითადი ტენდენციები და კანონზომი-

ერებები. განისაზღვრა სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეალური სპეციალიზაცია, დარგთა და კულტურათა შეთანაწყობა, დადგინდა მისი ეკონომიკური მახასიათებლები.

როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს, 2006 წლის მონაცემებით, საქართველოს მიწის საერთო ფონდიდან (7,6 მლნ ჰექტარი) სასოფლო-სამეურნეო საყარგული 3025,8 ათ, ჰა-ია, საიდანაც სახნავზე მოდის 26,5% (802,1 ათ. ჰა), მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებულ მიწებზე 8,7% (263,5 ათ. ჰა). როგორც ვხედავთ საყარგული მიწებიდან დამუშავებას ექვემდებარება მხოლოდ მათი 35,2%, რაც განაპირობებს ქვეყნის მცირე მიწიანობას და გვიკარნახებს მიწის რესურსის რაციონალურად გამოყენების აუცილებლობაზე.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში განხორციელებული რეფორმებიდან მიწის რეფორმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა იყო, რადგან მან სათავე დაუდო მიწის კერძო საკუთრებას, მიწის ლეგალური ბაზრის ფორმირებას, მიწის კადასტრის და რეგისტრაციის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების და ფუნქციონირების საქმეს. რეფორმის შედეგად კერძო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადავიდა 767,3 ათ. ჰა, საყარგული (მ.შ. სახნავი 438,5 ათ. ჰა მრავალწლიანი ნარგავები 180 ათ. ჰა). სოფლისა და ქალაქის ერთ მილიონზე მეტმა მცხოვრებმა მიწა უფასოდ მიიღო საკუთრებაში. ივარით გაიცა 1 მლნ ჰა-მდე საყარგული, მათ შორის სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები 250 ათ. ჰა-მდე.

ანალიზით ირკვევა, რომ 1993-2003 წლებში სასოფლო-სამეურნეო საყარგულების ფართობი გაიზარდა 8,2 ათ. ჰა-ით (3017,6 ათ. ჰა-იდან 3025,8 ათ. ჰა-მდე). ამასთან, ზრდა აღინიშნება ყველა რეგიონში (გარდა გურიისა, სადაც ის, ამ პერიოდში შემცირდა 2,7 ათ. ჰა).

გამოკვლევებით დადგინდა ის ტენდენცია, რომ სასოფლო-სამეურნეო საყარგულებიდან, რეგიონთა უმრავლესობაში სახნავი მიწები იზრდება, ხოლო მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობი – მცირდება, აღინიშნება აგრეთვე სათიბ-საძოვრების ფართობების ზრდაც. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო საყარგულების ხარჯზე იზრდება დაბალინტენსიური საყარგულები. ეს ფაქტი აშკარად მიუთითებს საყარგულების არაეფექტურ და არაინტენსიურ გამოყენებაზე. ასე მაგალითად, კახეთში, უკანასკნელ წლებში (რომელიც სხვა რეგიონებს შორის მიწით უზრუნველყოფის მაღალი დონით გამოირჩევა) სასოფლო-სამეურნეო საყარგულების ფართობი 5,6 ათ. ჰა-ით გაიზარდა; მათ შორის სახნავისა – 7,2 ათ. ჰა-თი, ხოლო მრავალწლიანი ნარგავებისა, პირიქით, შემცირდა 5,4 ათ. ჰა-თი. რაც შეეხება სათიბებს და საძოვრებს – ისინი შესაბამისად

გაზრდილია 0,6 და 6,2 ათ. ჰა-თი. რეგიონულ ჭრილში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარესა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობის ზრდის პირობებში ასევე იზრდება ინტენსიური სავარგულების ფართობი.

თუ მეცნიერულ ანალიზს გავაკეთებთ, უნდა ითქვას, რომ ინტენსიური სავარგულების დაბალინტენსიურ კატეგორიაში გადაყვანა აიხსნება იმით, რომ მიწის მესაკუთრეების უმეტესობა ვერ ამუშავებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, რის გამოც ის გადადის სათიბ-საძოვრის კატეგორიაში.

მიწების გამოყენების დაბალი დონის გამომწვევ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია პარცელაციის საკითხი.

როგორც ირკვევა, ფერმერულ მეურნეობათა 39,3% ფლობს ნახევარ ჰექტარამდე მიწის ნაკვეთს (საერთო ჯამში 67,0 ათ. ჰა), 0,5 ჰა-დან 1 ჰა-მდე ნაკვეთებს ფლობს ფერმერთა 29,5% (151 ათ. ჰა). 1 ჰა-დან 5 ჰა-მდე 29,6% (381 ათ. ჰა), 5 ჰა-დან 50 ჰა-მდე – 14% (119 ათ. ჰა), 50 ჰა-დან 200 ჰა-მდე 0,1% (86,0 ათ. ჰა), ხოლო 200 ჰა-დან 500 ჰა-მდე 0,08% (88,0 ათ. ჰა). მეურნეთა (ფერმერთა) რიცხვი, რომლებიც ფლობენ 500 ჰა-ზე მეტ მიწის ფართობს, ქვეყანაში სულ 92-ს შეადგენს (0,001%), 56000 ჰა საერთო ფართობით.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით უზრუნველყოფის ყველაზე მაღალი დონით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე გამოირჩევა, სადაც სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე 3,1 ჰა სავარგული მოდის. შედარებით მაღალია ეს მაჩვენებელი მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის მხარეებში (შესაბამისად 2,6 და 2,30 ჰა), რაც ძირითადად სათიბ-საძოვრების ხარჯზე მიიღწევა. ირკვევა ისიც, რომ დამუშავებაში მყოფი მიწების მიხედვით უზრუნველყოფის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირებულია არა აღნიშნულ მხარეებში, არამედ კახეთში, სადაც ეს მაჩვენებელი 0,7 ჰა-ს შეადგენს, იგი რამდენადმე მაღალია აგრეთვე შიდა ქართლის მხარეში (0,46 ჰა).

როგორც ცნობილია, მიწის გამოყენების ეკონომიკური შეფასებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა, კერძოდ, დამუშავებაში მყოფი მიწების ხვედრითი წონის მაჩვენებელი მთლიან სავარგულებში. ამ მახასიათებლებით გამოირჩევა გურიის მხარე (64,4%), შედარებით მაღალია ეს მაჩვენებელი იმერეთის (53,4%) და კახეთის მხარეში (41,9%), იგი ყველაზე დაბალია სამაჩაბლოს (5,2%), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთში (8,2%), აგრეთვე მცხეთა-მთიანეთის მხარეში (16,3№), რაც აქ, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში საძოვრების დიდი ხვედრითი წილით უნდა აიხსნას.

დასტურდება, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საკმაოდ დიდი ნაწილი მოსახლეობის კერძო საკუთრებაშია. ამ მხრივ გამოირჩევა გურიის მხარე, სადაც სავარგული მიწების 58% განკერძოებულია, შემდეგ მოდის იმერეთი (51%) და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე (38%).

იჯარით გაცემული მიწების ხვედრითი წონა ყველაზე მაღალია კახეთის მხარეში, სადაც მას მთლიან სასოფლო-სამეურნეო სავარგულში 52% უკავია. ეს მაჩვენებელი ასევე მაღალია ქვემო ქართლში (50%), აჭარის ა/რ (50%) და სამცხე-ჯავახეთში (48%).

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა და მიწით უზრუნველყოფის მაჩვენებელი არსებით გავლენას ახდენს თითოეული რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. კერძოდ, იმ მხარეებსა თუ რაი-ონებში, სადაც მაღალია მიწით უზრუნველყოფის მაჩვენებლები (განსაკუთრებით მაღალინტენსიური სავარგულები), შედარებით მაღალია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ფულადი შემოსავლების დონეც ერთ ოჯახურ მეურნეობაზე გაანგარიშებით. შესაბამისად დაბალია მოსახლეობის მიგრაციის დონე.

ზემოაღნიშნული ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს რეგი-ონებში მიწის რესურსების გამოყენების მხრივ სერიოზული პრობლემები არსებობს, რომლებიც მცირემიწიანობასთან ერთად მიწების დაუმუ-შავებლობას, მინერალურ სასუქებზე ხელმიუწვდომლობას, მოუწესრიგებელ საირიგაციო და სადრენაჟო სისტემებს, მიწების ფრაგმენტაციას და სხვა სოფლად რეალურად არსებულ პრობლემებს უკავშირდება.

უფრო რთული მდგომარეობაა სახნავი ფართობების გამოყენების თვალ-საზრისით, თუ 2000 წელს მთლიანი ნათესი ფართობი შეადგენდა 610.8 ათას ჰექტარს, ის 2005 წელს შემცირდა 539.6, ხოლო 2007წლის 297.2 ათას ჰექტარამდე. ნათესი ფართობის სტრუქტურაში 2000 წელთან შედარებით 2007 წელს მარცვლოვანი კულტურების ფართობი შემცირდა 180.4 ათასი ჰექტარით, ტექნიკური კულტურების 47.1 ათასი, კარტოფილი, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების 34.2 ათასი და საკვები კულტურების 52.0 ათასი ჰექტარით. ეს ცვლილებები მეტნაკლებად განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. 2007 წელს, 2000 წელთან შედარებით, მთლიანი ნათესი ფართობი მნიშვნელოვნად შემცირდა მცხეთა-მთიანეთში (63.5%), შიდა ქართლში (58.3%), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (52.5%). ანალოგიური მდგომარეობაა დანარჩენ რეგიონებში (იხ: ცხრილი 1).

## ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურა

ცხრილი 1

| მხარეები | წლები % | სულ ნათესი | მათ შორის | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მარცვლეული | მზესუმზირა | სოია | კარტოფილი | ბოსტნეული | ბოლოსილი |
| 1 | 2 | 3 | 4 | 8 | 9 | 11 | 12 | 13 |
| საქართველო მ.შ. | 2000 | 610774 | 386372 | 65740 | 1613 | 37258 | 46145 | 9359 |
| | % | 100 | 63.3 | 10.8 | 0.3 | 6.1 | 7.6 | 1.5 |
| | 2005 | 539620 | 354891 | 37183 | 1477 | 40361 | 44515 | 9692 |
| | % | 100 | 65.8 | 6.9 | 0.3 | 7.5 | 8.2 | 1.8 |
| | 2006 | 330200 | 227400 | 26400 | 1800 | 23500 | 29700 | 3200 |
| | % | 100 | 68.9 | 8.0 | 0.5 | 7.1 | 9.0 | 0.9 |
| | 2007 | 297200 | 206000 | 22300 | – | 21500 | 32000 | 5300 |
| აჭარა | 2000 | 102008 | 7241 | – | – | 17.14 | 726 | – |
| | % | 100 | 70.9 | – | – | 16.8 | 7.1 | – |
| | 2005 | 9579 | 6684 | – | – | 2051 | 692 | – |
| | % | 100 | 70.0 | – | – | 81.4 | 7.2 | – |
| | 2006 | 7000 | 3536 | – | – | 1700 | 1504 | – |
| | % | 100 | 50.5 | – | – | 24.3 | 21.5 | – |
| იმერეთი | 2000 | 80291 | 69809 | – | 782 | 1119 | 6745 | 1315 |
| | % | 100 | 86.9 | – | 1.0 | 1.4 | 8.4 | 1.6 |
| | 2005 | 71371 | 62684 | – | 660 | 1480 | 5669 | 808 |
| | % | 100 | 87.8 | – | 0.9 | 2.1 | 7.9 | 1.1 |
| | 2006 | 51900 | 46100 | – | 500 | 440 | 4100 | 700 |
| | % | 100 | 88.8 | – | 1.0 | 0.8 | 7.9 | 1.3 |
| სამეგრელო ზემო სვანეთი | 2000 | 57454 | 53033 | 1 | 820 | 682 | 2146 | 276 |
| | % | 100 | 92.3 | 0.00 | 1.4 | 1.2 | 3.7 | 0.5 |
| | 2005 | 56068 | 51745 | – | 795 | 1022 | 2263 | 239 |
| | % | 100 | 92.3 | – | 1.4 | 1.8 | 4.0 | 0.4 |
| | 2006 | 39300 | 34300 | – | 1300 | 320 | 3000 | – |
| | % | 100 | 87.3 | – | 3.3 | 0.8 | 7.6 | – |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 2000 | 17499 | 15491 | – | 9 | 723 | 1272 | – |
| | % | 100 | 88.5 | – | 0.05 | 4.1 | 7.3 | – |
| | 2005 | 15779 | 13610 | – | 20 | 1046 | 10.6 | 86 |
| | % | 100 | 86.2 | – | 0.1 | 6.6 | 6.4 | 0.5 |
| | 2006 | 10700 | 8900 | – | – | 320 | 1480 | – |
| | % | 100 | 83.2 | – | – | 3.0 | 13.8 | – |
| რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთი | 2000 | 7786 | 6579 | – | – | 872 | 335 | – |
| | % | 100 | 84.5 | – | – | 11.1 | 4.3 | – |
| | 2005 | 5999 | 5040 | – | – | 708 | 251 | – |
| | % | 100 | 84.0 | – | – | 11.8 | 4.2 | – |
| | 2006 | 3700 | 2704 | – | – | 488 | 473 | – |
| | % | 100 | 73.1 | – | – | 13.2 | 12.8 | – |
| შიდა ქართლი | 2000 | 58973 | 47528 | 119 | – | 2241 | 7486 | – |
| | % | 100 | 80.5 | 0.2 | – | 3.8 | 12.7 | – |
| | 2005 | 54162 | 39135 | – | – | 2115 | 8807 | – |
| | % | 100 | 72.2 | – | – | 3.9 | 16.2 | – |
| | 2006 | 24600 | 18400 | 80 | – | 352 | 4700 | – |
| | % | 100 | 74.8 | 0.3 | – | 1.4 | 19.1 | – |
| მცხეთა–მთიანეთი | 2000 | 2134 | 14404 | 230 | 2 | 1913 | 1784 | 17 |
| | % | 100 | 67.4 | 1.1 | 0.01 | 9.0 | 8.4 | 0.08 |
| | 2005 | 20408 | 14608 | 159 | 2 | 2523 | 2099 | – |
| | % | 100 | 71.6 | 0.8 | 0.01 | 12.4 | 10.3 | – |
| | 2006 | 7800 | 5660 | 120 | – | 560 | 843 | – |
| | % | 100 | 72.6 | 1.5 | – | 7.2 | 10.8 | – |
| კახეთი | 2000 | 183272 | 94708 | 62135 | – | 3885 | 12453 | 7047 |
| | % | 100 | 51.7 | 33.9 | – | 2.1 | 6.8 | 3.8 |
| | 2005 | 152171 | 93472 | 36514 | – | 4208 | 9394 | 7956 |
| | % | 100 | 61.4 | 24.0 | – | 2.8 | 6.2 | 5.2 |
| | 2006 | 94300 | 63300 | 22.0 | – | 1520 | 4500 | 2300 |
| | % | 100 | 67.1 | 23.4 | – | 1.6 | 4.8 | 2.4 |
| ქვემო ქართლი | 2000 | 112701 | 52394 | 3205 | – | 14342 | 11474 | 703 |
| | % | 100 | 46.5 | 2.8 | – | 12.7 | 10.2 | 0.6 |
| | 2005 | 99435 | 43678 | 500 | – | 9751 | 12221 | 600 |
| | % | 57500 | 43.9 | 0.5 | – | 9.8 | 12.3 | 0.6 |
| | 2006 | 100 | 27500 | 4100 | – | 9400 | 7700 | 200 |
| | % | | 47.8 | 7.1 | – | 16.3 | 13.4 | 0.3 |
| სამცხე ჯავახეთი | 2000 | 61243 | 25185 | 50 | – | 9767 | 1724 | 1 |
| | % | 100 | 41.1 | 0.08 | – | 15.9 | 2.8 | 0.00 |
| | 2005 | 54649 | 24235 | 10 | – | 14557 | 1903 | – |
| | % | 100 | 44.3 | 0.02 | – | 28.3 | 3.5 | – |
| | 2006 | 33400 | 17000 | – | – | 8400 | 1400 | – |
| | % | 100 | 50.9 | – | – | 25.1 | 4.2 | – |

2007 წლის მონაცემებით, საქართველოში მთლიანად წარმოებულია (ათასი ტონა) მარცვლეული 381.2 (2005 წლის 702.9-ის ნაცვლად;) მ.შ.

ხორბალი–74.9 (190.1-ის ნაცვლად); კარტოფილი–229 (432.2-ის ნაცვლად); ბოსტნეულ –190.3 (436.7-ის ნაცვლად); ხოლო 227.0 (264.9-ის ნაცვლად); ყურძენი 227 (250.2-ის ნაცვლად, ხორცი 31.3 (49.2-ის ნაცვლად); რძისა და რძის პროდუქტები 624.7 (787.7-ის ნაცვად) (ცხ. 2).

2005 წელთან შედარებით 2007 წელს შემცირდა მარცვლეულის წარმოების მოცულობა სამცხე-ჯავახეთში 91.7%-ით, შიდა ქართლში 84.5%-ით, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 80.8%-ით, მცხეთა მთიანეთში 80.5%-ით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 71.8%-ით, დანარჩენ რეგიონებში მარცვლეულის წარმოების მოცულობების შემცირება მერყეობს 23%-დან (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 54.6%-მდე (კახეთი). აღნიშნული უარყოფითი ტენდენცია შეიმჩნევა, რეგიონების მიხედვით, თითქმის სოფლის მეურნეობების ყველა ძირითადი პროდუქციის წარმოების მიმართ.

უკანასკნელ წლებში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სტაბილიზაციაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოში შექმნილმა არახელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა (გვალვა, წყალდიდობები, ყინვები). 2007 წელს წარმოებული პროდუქციის მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება 2005 წლის მონაცემებს.

აგროტექნიკური ღონისძიებების არასრულფასოვანმა ჩატარებამ, საწვავის, სასუქების, შხამქიმიკატების დაბალმა ხარისხმა და მაღალმა ფასმა, ტექნიკურად და მორალურად მოძველებული ტექნიკის გამოყენებამ და სხვა, განაპირობა ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების ისედაც დაბალი მოსავლიანობის შემცირებისტენდენცია. 2000, 2005 და 2007 წლებში მარცვლეულის მოსავლიანობამ საქართველოში შესაბამისად შეადგინა: 13.4; 20.0 და 20.5 ც/ჰა. მ.შ. ხორბალი სამ-10.4; 20.0 და 17.0; სიმინდის– 16.2; 22.0 და 24.0; კარტოფილი–88.9; 109.0 და 108.0; ბოსტნეული–93,4; 66.0 და 61.0ც/ჰა. 2007 წლის მარცვლეულის მოსავლიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აღინიშნა იმერეთის (19.0 ც/ჰა), ხოლო მაღალი გურიას (47.0ც/ჰა) მხარეში, ხორლის მოსავლიანობა დაბალია ქვემო ქართლში – 14.0ც/ჰა; სიმინდის იმერეთში 20.0 ც/ჰა, კარტოფილის – კახეთში 57.0 ც/ ჰა, ბოსტნეულის სამეგრელო ზემო სვანეთში 32.0 ც/ჰა (იხ: ცხრილი 3).

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის მეცხოველეობის განვითარებამ და მისი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებამ თავისი მკაფიო გამოხატულება უნდა ჰპოვოს ყველა სახის ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, თაფლის და სხვა პროდუქტების წარმოების მოცულობის მკვეთრ გადიდებაში. მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ მცირეა და კლებადი ტენდენციით ხასიათდება აღნიშნული პროდუქტების წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. ყველა სახის ხორცის წარმოება 200 წლის

24.5 კგ-დან შემცირდა 2007 წელს-16.0 კგ-მდე, რძისა და რძის პროდუქტების წარმოება შესაბამისად –146.0-დან 143.0-მდე, ხოლო კვერცხის წარმოება გაიზარდა 8-დან 100 ცალამდე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებლები ფიზიოლოგიურ ნორმებთან (ხორცი-62 რძე და რძის პროდუქტები– 319 კგ და კვერცხი 220 ცალი) შედარებით, მნიშვნელოვნადმცირეა. აღნიშნულიდან ირკვევა, რომ ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო პროდუქციაზე მოთხოვნილების უზრუნველყოფისათვის ქვეყნიდან გაედინება დიდი რაოდენობის ვალუტა სასურსათო პროდუქტების იმპორტისათვის, რაც თავისთავად უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნისეკონომიკის სტაბილიზაციაზე. 200,2005 და 2007 წლებში იმპორტირებული იყო ყველა სახის ხორცი შესაბამისად 20.6;34.7 და 53.3 ათასი ტონა, მ.შ. საქონლის ხორცი 2.0; 7.3 და 11.5; ღორის– 1.5; 6.4 და 13.6; ცხვრის და თხის 0.1; 0.2 და 0.1 ფრინველის ხორცი 17.0 20.8 და 281 ათასი ტონა.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემათა შორის კვლავ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დინამიური განვითარება, რადგან ქვეყნის სასურსათო ბაზარზე კვლავ მაღალია მეცხოველეობის პროდუქტებზე სარეალიზაციო ფასები, ბაზარი გაჯერებულია ჯანმრთელობისათვის საშიში იმპორტირებული პროდუქტებით.

სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების
წარმოების მოცულობები დინამიკაში (ათასი ტონა) ცხრილი 2

| პროდუქციის დასახელება | წლები | | | 2005წელი 2000წელთან | | 2007წელი 2000წელთან | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2000 | 2005 | 2007 | ზრდისს ტემპი | მატების ტემპი | ზრდის ტემპი | მატების ტემპი |
| 1. მარცვლეული | 425.4 | 702.9 | 381.2 | 165.2 | +652 | 89.6 | -10.4 |
| მ.შ.ხორბალი | 89.4 | 190.1 | 77.9 | 212.6 | +112.6 | 83.8 | -16.2 |
| 2. კარტოფილი | 302.0 | 432.2 | 229.2 | 143.1 | +43.1 | 75.9 | -24.1 |
| 3. ბოსტნეული | 254.2 | 436.7 | 190.3 | 123.3 | +23.3 | 53.7 | -46.3 |
| 4. ხილი | 250.0 | 264.9 | 227.5 | 105.9 | +5.9 | 91.0 | -9.0 |
| 5. ყურძენი | 210.0 | 250.3 | 227.3 | 119.2 | +19.2 | 108.2 | +8.2 |
| 6. ციტრუსი | 40.0 | 122.4 | 98.9 | 306.0 | +206.0 | 247.3 | +147.3 |
| 7. მსხ.რქ.ხორც | 48.3 | 49.2 | 31.3 | 101.9 | +1.9 | 64.8 | -35.2 |
| 8. ღორის ხორც | 36.9 | 33.3 | 21.4 | 90.2 | -9.8 | 58.0 | -42.0 |
| 9. ცხვრისხორცი | 8.9 | 9.6 | 3.9 | 107.9 | +7.9 | 43.8 | -56.2 |
| 10. ფრინ. ხორცი | 13.7 | 16.9 | 12.4 | 123.3 | +23.3 | 90.5 | -9.5 |
| 11. რძე და რძის პროდ. | 618.9 | 787.7 | 624.7 | 127.3 | +27.3 | 100.9 | +0.9 |
| 12. კვერცხი(მლნ. 13. ცალი) | 361.4 | 504.6 | 438.1 | 139.6 | +39.6 | 121.2 | +21.2 |

ახალი ტენდენციები და კანონზომიერებები ვლინდება მეცხოველეობის დარგის განვითარების თვალსაზრისით. საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობებში, 2007 წლის მდგომარეობით, ირიცხება (ათასი სული) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 1048.5 (2005 წლის 1260.4 ათასის ნაცვლად; მ.შ. ფური 541.0 (2005 წლის 739.6 ათასის ნაცვლად; ღორი-109.9 (2005 წლის 455.3 ათასის ნაცვლად); ცხვარი და თხა 706.5 (2005 წლის 815.3 ათასის ნაცვლად); ფრინველი –6149.7 (2005 წლის 74,82 ათასი ფრთის ნაცვლად). აღნიშნული ტენდენცია შეიმჩნევა ცალკეული მხარეების მიხედვითაც.

როგორც ირკვევა, საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობებში, 2007 წელს 2000 წელთან შედარებით, გაიზარდა ცხვრისა და თხის, კვერცხმდებელი დედლის და ფუტკრის ოჯახების რაოდენობაც შესაბამისად: 12.6; 23.7 და 88.4%-ით. შესადარის პერიოდში დიდი რაოდენობითაა შემცირებული ღორის (75.2%-ით), მ.შ. ნეზვის (82,4%-ით) და ფრინველის (21.4%-ით) მთლიანი სულადობა. ფრინველის სულადობის შემცირება გამოიწვია ქათმის გრიპმა, ხოლო ღორის სულადობის შემცირება აფრიკულმა ცხელებამ. იხ: ცხრილი 3.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობებში საქართველოსა და მისი მხარეების მიხედვით ცხრილი 3

| მხარეები | წლები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მსხვრქ. პირ. | ღორი სულ | ცხვარი | ფრინ-ველი | ფუტკ-არი |
| საქართველო | 2000 | 1177400 | 443413 | 546900 | 7825.5 | 97565 |
| | 2005 | 1260395 | 455258 | 719800 | 7482.2 | 149487 |
| | 2007 | 1048500 | 109900 | 624000 | 6149.7 | 183800 |
| აჭარა არ. | 2000 | 123200 | 807 | 8168 | 408.8 | 7780 |
| | 2005 | 113225 | 1485 | 4407 | 216.8 | 14463 |
| | 2007 | 103500 | 310 | 8200 | 164.6 | 6800 |
| იმერეთი | 2000 | 26700 | 93528 | 16633 | 1766.4 | 23764 |
| | 2005 | 271984 | 99713 | 24177 | 1470.5 | 26617 |
| | 2007 | 186800 | 34600 | 15000 | 1159.4 | 29600 |
| სამეგრელო ზემო სვანეთი | 2000 | 192200 | 129397 | 2689 | 1812.0 | 8744 |
| | 2005 | 208247 | 150959 | 6827 | 2032.2 | 16740 |
| | 2007 | 196200 | 37200 | 1200 | 1471.0 | 47800 |
| გურია | 2000 | 62700 | 43017 | 934357 | 514.4 | 7959 |
| | 2005 | 55109 | 27478 | 1900 | 420.2 | 10806 |
| | 2007 | 40660 | 5920 | 1500 | 319.0 | 8880 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 2000 | 41000 | 17031 | 2585 | 224.4 | 3585 |
| | 2005 | 38095 | 19991 | 1023 | 89.9 | 7399 |
| | 2007 | 28160 | 7280 | 200 | 68.3 | 6100 |
| შიდა ქართლი | 2000 | 84600 | 25451 | 17091 | 416.4 | 4686 |
| | 2005 | 85728 | 18382 | 18509 | 394.9 | 9367 |
| | 2007 | 69900 | 3830 | 15300 | 266.3 | 7700 |
| მცხეთა-მთიანეთი | 2000 | 60000 | 24444 | 54500 | 372.8 | 3799 |
| | 2005 | 64934 | 23596 | 60000 | 202.0 | 8416 |
| | 2007 | 47980 | 3290 | 58800 | 153.4 | 6920 |
| კახეთი | 2000 | 117800 | 81277 | 206800 | 1114.9 | 17696 |
| | 2005 | 135766 | 74618 | 273900 | 969.5 | 27203 |
| | 2007 | 87500 | 7400 | 275500 | 804.0 | 41700 |
| ქვემო ქართლი | 2000 | 129500 | 21302 | 122600 | 768.7 | 8797 |
| | 2005 | 183064 | 31482 | 242800 | 1461.8 | 12124 |
| | 2007 | 186200 | 8500 | 184400 | 1572.5 | 11600 |
| სამცხე ჯავახეთი | 2000 | 98700 | 7159 | 114900 | 426.7 | 10755 |
| | 2005 | 104243 | 7554 | 87800 | 224.4 | 16352 |
| | 2007 | 101600 | 1570 | 63900 | 170.4 | 16700 |

საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობებში პირუტყვისა და ფრინველის სულადობის შემცირებასთან ერთად, მკვეთრად მცირდება და ძალზე დაბალია პროდუქციულობაც.

2000 და 2007წლებში ფურის საშუალო წლიური წველადობა შესაბამისად 935-1170 კგ-ს არ აღემატებოდა, მ.შ სამეგრელო-ზემო სვანეთში ამ მაჩვენებელმა შეადგინა 1060 და 910 კგი, მცხეთა-მთიანეთში 779 და 1185 კგ, აჯარაში 930 და 1140 კგ. და ა.შ.

პროდუქციულობის ასეთი დაბალი დონის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ დღეისათვის წარმოებულ მეც-ხოველეობის პროდუქტების 99%-ზე მეტი ოჯახურ მეურნეობებზე მოდის, რომლებიც დაკომპლექტებულია დაბალპროდუქტიული პირუტყვით და მათი კვება არასრულფასოვანი საკვებით ხდება. გლეხური მეურნეობები ვერ ამზადებენ სილოს და სენაჟს, კვების რაციონიდან ამოღებულია საკვები ძირხვენები და კომბინირებული საკვები. ამასთან, მთლიანად მოშლილია სანაშენე მეურნეობა და ვერ ხორციელდება ჯოგის ჯიშობრივი გაუ-მჯობესება.

ყველა კატეგორიის მეურნეობებში, პირუტყვის და ფრინველის სულადობა და მათი პროდუქტიულობის შემცირების კვალობაზე მნიშვნელოვნად მცირდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დონე.

2005 წელს 2000 წელთან შედარებით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება გაიზარდა მხოლოდ აჭარაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, მცხეთა-მთიანეთში; ღორის ხორცი - სამეგრელო-ზემო სვანეთში, მცხეთა-მთიანეთში; ცხვრის და თხის ხორცი-სამეგრელო-ზემო-სვანეთში, გურიაში, კახეთში და ქვემო ქართლში.

2007 წელს 2005 წელთან შედარებით, ყველა მხარეში შემცირებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება; ღორის ხორცის - სამეგრელო-ზემო სვანეთში, მცხეთა-მთიანეთში, იმერეთში, გურიაში, კახეთში და ქვემო ქართლში.

2007 წელს 2005 წელთან შედარებით, ყველა სახის რძის წარმოებამ იმატა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის არსებული მდგომარეობის ანალიზით გამოვლინდა, რომ მემცენარეობას უკავია 50.2%, მეცხოველეობას 49.8%, მ.შ. მესაქონლეობას 35.4%.

2007 წელს, 1988 წელთან შედარებით საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მარცვლეულის წარმოების ხვედრითი წილი 7,5%-დან ამაღლდა 11,8%-მდე, ბოსტნეულისა–6,7%-დან 7,4%-მდე, კარტოფილისა–5,2%-დან 7,6%-მდე, მესაქონლეობისა 34,6%-დან 35,4% მდე, მეფრინველეობისა 6,1%-დან 7,2%-მდე.

ნიშანდობლივია, რომ დინამიკაში სპეციალიზაციის დონის რყევების მიუხედავად ცალკეულ მხარეებში ნელ-ნელა იკვეთება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის დონის გაღრმავების ტენდენცია, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით უდავოდ დადებით მოვლენას წარმოადგენს. 2000 წელთან შედარებით 2007 წელს სპეციალიზაციის კოეფიციენტი იმერეთის მხარეში გაიზარდა 0,20-დან 0,28-მდე, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 0,25-დან 0,27-მდე, შიდა ქართლში 0,22-დან 0,25-მდე, ქვემო ქართლში 0,26-დან 0,31-მდე, სამცხე-ჯავახეთში 0,23-დან 0,27-მდე, მცხეთა მთიანეთში კი 0,20-დან 0,22-მდე.

გაირკვა, რომ საანგარიშო პერიოდში მძიმე ეკონომიკური პირობების და გარანტირებული სასურსათო ბაზრის არ არსებობის გამო მოსახლეობა უპირატესობას კვლავ ისეთი სასურსათო პროდუქციის წარმოებას ანიჭებს, როგორიცაა მეცხოველეობის პროდუქტები, მარცვლეული, კარტოფილი, ბოსტნეული და სხვა.

თუმცა, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდის მიუხედავად (8,3%) საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიან დარგობრივ სტრუქტურაში მისი ხვედრითი წილი მემცენარეობის დარგებთან შედარებით ნაკლებია და როგორც ითქვა, შეადგენს 49,8%-ს. ამ მხრივ განსხვავებულია მდგომარეობა მხარეების მიხედვით. საქართველოს საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით მაღალია მეცხოველეობის ხვედრითი წილი იმერეთის მხარეში (61,8%), სამეგრელოსა და ზემო სვანეთში (60,2%), რაჭა ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (67,6%), მცხეთა-მთიანეთში (61,9%).

**სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის რეგიონული სურათის ტენდენციური და კანონზომიერი ხასიათი შემდეგნაირად იკვეთება:**

- <u>აღმოსავლეთ საქართველოში,</u> სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად პროფილს, მემცენარეობის დარგებიდან განსაზღვრავს თავთავიანი მემარცვლეობა (რეგიონების მიხედვით 4.9% (სამცხე-ჯავახეთი)–20.7% (კახეთი), მებოსტნეობა (3.4% (კახეთი)–16.9% (ქვემო ქართლი), მეხილეობა (4.2% (კახეთი)–29.4% (შიდა ქართლი), მევენახეობა (0.2% (სამცხე-ჯავახეთი)–22.2% (კახეთი).
- <u>დასავლეთ საქართველოში,</u> სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად პროფილს, მემცენარეობის დარგებიდან განსაზღვრავს მესიმინდეობა (2.3% (აჭარა)–19.7% (გურია, სამეგრელო) და მებოსტნეობა (1.4% (აჭარა)–3.8% (იმერეთი).

**შეიმჩნევა ის უარყოფითი და ეკონომიკურად გაუმართლებელი კანონ-ზომიერება,** რომ დასავლეთ საქართველოში არცთუ დიდი ხნის წინათ (1990-იან წლამდე) მაპროფილებელ დარგს–მეჩაიეობას სოფლის მეურნეობის

დარგობრივ სტრუქტურაში ძალზე უმნიშვნელო ხვედრითი წილი უკავია, რომელიც 1.1 %-იან დონეს არ აღემატება. რაც შეეხება მეცი-ტრუსეობას, მის წილად მოდის 2.5% სამეგრელოში, 15.8% გურიაში და 46.1% აჭარაში.

მეცხოველეობის დარგებიდან, აღმოსავლეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად პროფილს განსაზღვრავს მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობა (19.1% (კახეთი)–46.7% (მცხეთა-მთიანეთი), მელორეობა (1.6% (ქვემო ქართლი)–9.6% (მცხეთა-მთიანეთი), მეცხვარეობა (0.5%–3.5% (ძირითადად მცხეთა-მთიანეთში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში) და მეფრინველეობა (ძირითადად ქვემო ქართლში-16.3%, კახეთსა (6.9%) და შიდა ქართლში (3.0%).

დასავლეთ საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად პროფილს, მეცხოველეობის დარგებიდან განსაზღვრავს მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობა (29.5% (აჭარა)–45.8% (რაჭა-ლეჩხუმი), აგრეთვე მეფრინველეობა (1.7% (აჭარა)–8.5% (იმერეთი და სამეგრელო). რაც შეეხება მელორეობას, იგი გაადგილ-ებულია იმერეთსა (7,2%) სამეგრელო-ზემო-სვანეთში ( 11.2%), გურიასა (5.4%) და რაჭა-ლეჩხუმში (16.3%).

როგორც საგანგებო გათვლები და სოფლის მეურნეობის სიტუაციური ანალიზი ადასტურებს, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის არსებული არასტაბილური დონე (ხასიათი) გარკვეული დროის მანძილზე კვლავ იქნება შენარჩუნებული, ვიდრე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ყოფილი და ახალი ბაზრების დაბრუნებით არ იქნება მიღწეული მეხილეობის, მევენახეობის, მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის დარგების განვითარების ოპტიმალურად რეალური და ამასთან, მისაღები პირობები და შესაბამისად მასშტაბები.

სოფლის მეურნეობის სიტუაციური ანალიზი ადასტურებს, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის არსებული დონე გარკვეული დროის მანძილზე კვლავ იქნება შენარჩუნებული, ვიდრე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ყოფილი და ახალი ბაზრების დაბრუნებით არ იქნება მიღწეული მეხილეობის, მევენახეობის ოპტიმალურად რეალური და ამასთან მისაღები პირობები და შესაბამისად მასშტაბები.

## სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა (%)

ცხრილი 3

| მხარეები | წლები | სულ მებოსტნეობა | მებარდაული | მებაღეობა | მებოსტნეული | მებოსტნეობა | მებაღეობა | მებოსტნეული | სულ მეცხოველეობა | მეფრინველეობა | მეფუტკრეობა | მეცხვარეობა | მეღორეობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| საქართველო | 2000 | 49,0 | 9,9 | 8,9 | 12,0 | 9,1 | 4,6 | 0,1 | 2,1 | 51,0 | 31,6 | 7,6 | 2,2 | 6,1 |
| | 2005 | 54,6 | 13,7 | 9,7 | 11,4 | 7,4 | 4,1 | 0,1 | 4,8 | 45,4 | 31,3 | 5,3 | 2,2 | 6,1 |
| | 2007 | 50,2 | 11,8 | 7,6 | 7,4 | 9,4 | 5,6 | 0,1 | 5,7 | 49,8 | 35,4 | 5,1 | 1,2 | 7,2 |
| აჭარა | 2000 | 47,9 | 4,0 | 6,7 | 2,0 | 10,1 | 0,6 | 0,3 | 24,1 | 52,1 | 45,0 | 1,1 | 0,9 | 4,7 |
| | 2005 | 64,0 | 3,1 | 8,4 | 1,8 | 4,3 | 0,2 | 0,1 | 46,0 | 36,0 | 32,0 | 0,3 | 0,3 | 2,8 |
| | 2007 | 67,7 | 2,3 | 10,5 | 1,4 | 6,8 | 0,4 | 0,1 | 46,1 | 32,3 | 29,5 | 0,4 | 0,4 | 1,7 |
| იმერეთი | 2000 | 40,0 | 11,1 | 1,4 | 8,5 | 11,5 | 6,5 | 0,1 | - | 60,0 | 39,6 | 10,8 | 0,6 | 8,3 |
| | 2005 | 41,7 | 18,3 | 1,5 | 4,6 | 9,5 | 6,4 | 0,05 | 0,00 | 58,3 | 41,9 | 7,9 | 0,6 | 7,3 |
| | 2007 | 38,2 | 15,8 | 0,7 | 3,8 | 7,1 | 8,6 | 0,04 | - | 61,8 | 44,6 | 7,2 | 0,3 | 8,5 |
| სამეგრელო ზემო სვანეთი | 2000 | 40,0 | 20,2 | 0,9 | 4,8 | 10,9 | 1,1 | 0,5 | 1,2 | 60,0 | 40,3 | 10,0 | 0,4 | 9,1 |
| | 2005 | 33,0 | 17,4 | 1,5 | 2,2 | 8,5 | 1,2 | 0,4 | 1,2 | 67,0 | 42,0 | 13,2 | 0,5 | 10,8 |
| | 2007 | 39,8 | 19,6 | 0,3 | 2,9 | 12,3 | 1,3 | 0,4 | 2,5 | 60,2 | 38,8 | 11,2 | 0,3 | 8,2 |
| გურია | 2000 | 45,4 | 13,6 | 2,2 | 6,1 | 16,3 | 1,9 | 0,8 | 4,3 | 54,6 | 33,0 | 14,0 | 0,5 | 6,5 |
| | 2005 | 49,6 | 13,0 | 2,3 | 1,8 | 11,6 | 2,4 | 1,1 | 17,0 | 50,4 | 32,7 | 8,4 | 0,8 | 7,6 |
| | 2007 | 57,9 | 19,6 | 1,5 | 1,7 | 15,5 | 2,5 | 1,1 | 15,8 | 42,1 | 30,3 | 5,4 | 0,6 | 4,9 |
| რაჭა ლეჩხუმი ქვ.სვან. | 2000 | 28,7 | 6,8 | 8,8 | 2,7 | 5,3 | 5,1 | - | - | 71,3 | 53,7 | 10,4 | 0,4 | 6,1 |
| | 2005 | 35,4 | 15,5 | 4,7 | 1,6 | 6,8 | 6,8 | - | - | 64,6 | 46,2 | 11,7 | 0,5 | 4,3 |
| | 2007 | 32,4 | 15,0 | 3,2 | 2,2 | 5,2 | 6,8 | - | - | 67,6 | 45,8 | 16,3 | 0,3 | 3,3 |
| შიდა ქართლი | 2000 | 63,8 | 11,5 | 4,7 | 25,5 | 19,8 | 2,2 | - | - | 36,2 | 25,7 | 5,5 | 0,9 | 3,9 |
| | 2005 | 74,2 | 13,2 | 3,9 | 31,1 | 22,2 | 2,5 | - | - | 25,8 | 19,4 | 2,6 | 0,4 | 3,2 |
| | 2007 | 57,6 | 6,7 | 2,2 | 15,0 | 29,4 | 4,1 | - | - | 42,4 | 33,5 | 4,9 | 0,5 | 3,0 |
| მცხეთა მთიანეთი | 2000 | 37,8 | 3,4 | 7,9 | 9,6 | 11,7 | 4,6 | - | - | 62,2 | 43,9 | 6,8 | 4,9 | 6,0 |
| | 2005 | 41,5 | 12,7 | 8,7 | 8,7 | 6,9 | 4,3 | - | - | 58,5 | 42,5 | 7,3 | 3,5 | 4,4 |
| | 2007 | 38,1 | 7,6 | 4,6 | 10,5 | 8,9 | 5,2 | - | - | 61,9 | 46,7 | 9,1 | 1,6 | 3,4 |
| კახეთი | 2000 | 59,1 | 9,2 | 4,3 | 17,8 | 5,5 | 13,5 | - | - | 40,9 | 21,9 | 9,0 | 4,0 | 5,4 |
| | 2005 | 63,7 | 21,9 | 2,3 | 9,4 | 3,6 | 12,8 | - | - | 36,3 | 20,3 | 6,0 | 4,0 | 5,3 |
| | 2007 | 64,7 | 20,7 | 2,1 | 3,4 | 4,2 | 22,2 | - | - | 35,3 | 19,1 | 4,9 | 3,5 | 6,9 |
| ქვემო ქართლი | 2000 | 56,5 | 5,7 | 24,7 | 20,5 | 2,0 | 2,1 | - | - | 43,5 | 30,8 | 4,0 | 3,5 | 4,7 |
| | 2005 | 56,0 | 8,9 | 16,8 | 23,8 | 1,8 | 1,1 | - | - | 44,0 | 28,3 | 1,6 | 4,8 | 9,0 |
| | 2007 | 44,5 | 7,6 | 10,9 | 16,9 | 4,6 | 1,4 | - | - | 55,5 | 35,5 | 1,6 | 1,6 | 16,3 |
| სამცხე-ჯავახეთი | 2000 | 44,4 | 4,8 | 30,3 | 4,7 | 3,0 | 0,1 | - | - | 55,6 | 39,6 | 5,3 | 5,4 | 4,6 |
| | 2005 | 61,9 | 6,7 | 45,9 | 6,0 | 1,7 | 0,04 | - | - | 38,1 | 31,3 | 1,2 | 3,2 | 1,7 |
| | 2007 | 52,6 | 4,9 | 33,2 | 7,3 | 6,9 | 0,2 | - | - | 47,4 | 41,8 | 1,8 | 1,7 | 1,1 |

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის დასადგენად ჩატარდა მრავალფაქტორული კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი.

წარმოების ეფექტიანობის განმაზოგადებელ მაჩვენებლად შეირჩა სოფლის მეურნეობის მთლიანი პრო-დუქციის გამოსავალი 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან, ხოლო მასზე ზემომქმედ ძირითად ფაქტორად: შრომითი რესურსების უზრუნველყოფა (მომუშავეთა რაოდენობა 1 ჰა დამუშავებაში მყოფ მიწებზე) $X_1$; წარმოების დანახარჯები 1 ჰა დამუშავებაში მყოფ მიწებზე $X_2$; სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ინტენსივობის დონე $X_3$ და სპეციალიზაციის დონე $X_4$.

ანალიზით გამოვლინდა, რომ მთლიანად საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშედეგო მაჩვენებლის ზრდაზე ყველაზე მაღალი ხარისხით გავლენას ახდენს წარმოების დანახარჯები, რომლის ერთი პროცენტით შემცირება იწვევს მთლიანი პროდუქციის 0,34%-ით გადიდებას. მთლიანი პროდუქციის ზრდაზე დადებითი გავლენით ხასიათდება დანარჩენი სამი ფაქტორიც: სავარგულების ინტენსივობის დონის 1%-ით ზრდა 0,23%-ით ზრდის მთლიანი პროდუქციის მოცულობას, სპეციალიზაციის დონის გავლენაა 0,17% და შრომითი რესურსების უზრუნველყოფის 1%-იანი ზრდა 0,10 პროცენტით იწვევს საშედეგო მაჩვენებლის ზრდას.

მთლიანი პროდუქციის ზრდაზე ფაქტორთა გავლენა მხარეების მიხედვით შემდეგნაირია:

იმერეთის მხარეში წარმოების ხარჯების ერთი პროცენტით შემცირება 0,36 პროცენტით ზრდის მთლიანი პროდუქციის მოცულობას. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის დონის ამაღლებით 0,28%-ით იზრდება საშედეგო მაჩვენებელი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ინტენსივობის დონის ზრდით 0,16%-ით, ხოლო შრომითი რესურსების ზრდა დადებით გავლენას ვერ ახდენს საშედეგო მაჩვენებლის ზრდაზე, რაც მიუთითებს რეგიონში ჭარბი რესურსების არსებობაზე.

რაჭა-ლეჩხუმის მხარეში შესაბამისად $X_2$-ის გავლენა უდრის 0,38%, $X_4$ ისა– 0,26%, $X_3$ ისა–0,11%, $X_1$ ისა–1,13–ანუ შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა 0,13%-ით ზრდის მთლიანი პროდუქციის მოცულობას, განსხვავებით იმერეთის რეგიონისაგან. ანალოგიური მდგომარეობაა შიდა და ქვემო ქართლის, სამცხე ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთის მხარეში,

ანალიზით გამოიკვეთა, რომ ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში ნელი ტემპით, მაგრამ მაინც შეიმჩნევა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების და სპეციალიზაციის გაღრმავების ტენდენცია.

ცხრილი 4

სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მოდელი

| მხარეები | ფ ა ქ ტ ო რ ე ბ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | | | |
|---|---|---|---|---|
| | შრომითი რესურსების უზრუნველ-ოფა $X_1$ | წარმოების დანახარჯ ები $X_2$ | სას.სამეურნეო სავარგულების ინტენსივობის დონე $X_3$ | სპეციალიზა ციის დონე $X_4$ |
| საქართველო მ.შ | 0,1038 | 0,3387 | 0,2314 | 0,1651 |
| აჭარა | - 0,0110 | 0,3731 | 0,2910 | 0,1915 |
| იმერეთი | - 0,1450 | 0,3625 | 0,1617 | 0,2827 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 0,1558 | 0,3985 | 0,3208 | 0,2908 |
| გურია | 0,0495 | 0,2871 | 0,2239 | 0,1985 |
| რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი | 0,1231 | 0,3816 | 0,1131 | 0,2605 |
| შიდა ქართლის | 0,1148 | 0,2936 | 0,1411 | 0,2290 |
| მცხეთა მთიანეთი | 0,1313 | 0,2800 | 0,0423 | 0,1825 |
| კახეთი | 0,0935 | 0,4019 | 0,1015 | 0,1705 |
| ქვემო ქართლი | 0,1717 | 0,3087 | 0,1011 | 0,2185 |
| სამცხე ჯავახეთი | 0,1013 | 0,2933 | 0,1617 | 0,2214 |

# თავი II.

## 2.1. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომარაგების და გამოყენების ზონალურ-დიფერენცირებული შეფასება და პროგნოზირება, მარკეტინგული მოთხოვნების შესაბამისად

### მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების დინამიკა და სტრუქტურა

მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, საწარმოო ძალების ნივთობრივი ელემენტები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიური და საწარმოო ციკლის უწყვეტობისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მათ მიაკუთვნებენ აგრარული წარმოებისათვის აუცილებელ საწარმოო საშუალებებს-ძირითად და საბრუნავ კაპიტალს, როგორიცაა თესლი და სარგავი მასალა, პირუტყვისა და ფრინველის საკვები, მინერალური სასუქი, საწვავ-საცხები და საპოხი მასალები, მავნებელ დაავადებებისაგან მცენარეთა და პირუტყვის დაცვის ქიმიური საშუალებები, ტრაქტორები, კომბაინები, ავტომანქანები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობები, ელექტროძრავები, ელექტრომოწყობილობები, ელექტროდანადგარები, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, შენობა-ნაგებობები, სამელიორაციო ნაგებობები, მრავალწლიანი ნარგავები.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, თითოეული მათგანი ასრულებს თავის როლს და ემსახურება გარკვეული მიზნის მიღწევას. ერთნი უშუალოდ იძლევიან პროდუქციას (პროდუქტული პირუტყვი, მრავალწლიანი ნარგავები და სხვა); სხვები ქმნიან აუცილებელ პირობას წარმოების პროცესებისათვის (შენობები, ნაგებობები, მოწყო-ბილობები) მესამენი ხელს უწყობენ პროდუქციის წარმოების ზრდას და შრომითი დანახარჯების შემცირებას (ტექნიკა, მანქანები და სხვა).

აგრარულ წარმოებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ოპტიმალური თანაფარდობის საკითხს. მათ შორის თანაფარდობის დარღვევა ნებისმიერი პროპორციით იწვევს წარმოების საბოლოო შედეგების გაუარესებას. ასეთივე მნიშვნელობა ენიჭება მატე-

რიალურ საბრუნავ საშუალებათა სტრუქტურას, რომელიც თუმცა იცვლება აგრარული წარმოების სპეციალიზაციის ცვლილებების მიხედვით.

ენერგეტიკული რესურსები თამაშობს მნიშვნელოვან როლს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სისტემაში, ისინი წარმოდგენილია სამექანიზაციო ძრავების (ტრაქტორები, კომბაინები, ავტომანქანები და სხვა) ელექტრო ძრავების, ელექტრო დანადგარების სახით, აგრეთვე მუშა პირუტყვით. 1985-1990 წლებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ერთ მუშაკზე ცხენის ძალა შეადგენდა 6,7; დღეისთვის ის არ აღემატება 0,5-1. ამას განაპირობებს მრავალი ფაქტორი. მ.შ მოსახლეობის სიმჭიდროვე; საყარგულების, დამუშავებაში მყოფი მიწების სიდიდეები; წარმოების სტრუქტურა, სპეციალიზაცია და სხვა თავისებურებები.

წარსულში, ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია, შესაბამისად ელექტროშეიარაღების ზრდა, ე.ი საწარმოო დანიშნულებისათვის ელექტროენერგიის მზარდი გამოყენება. დღეისათვის ცნობილი მიზეზების გამო ეს პროცესი შეჩერებულია, რადგან სახელმწიფო არ აქცევს მას სათანადო ყურადღებას, ხოლო ფერმერული მეურნეობის დიდი ნაწილი გადახდისუუნაროა. ცალკე უნდა აღინიშნოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სისტემაში სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა და გამოყენება. განსაკუთრებით სპეციალიზაციის გაღრმავებით და წარმოების ინტენსიფიკაციის ზრდის პირობებში. სატრანსპორტო საშუალებების და სატრანსპორტო გზების მდგომარეობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წარმოების საშუალებების და სხვა რესურსების დროული მიწოდება მეურნეობებისათვის, ასევე პროდუქტების დროული რეალიზაცია, რაც მეტად მნიშვნელოვანია მალფუჭებადი პროდუქციის ხარისხის შესანარჩუნებლად.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში 1990 წლისთვის ითვლებოდა 30 ათასზე მეტი ტრაქტორი, ამდენივე ავტომანქანა, 1500-მდე კომბაინია, ათასობით სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მეცხოველეობის სამექანიზაციო მოწყობილობა-დანადგარები. საქართველოში ყოველწლიურად შემოდიოდა 600-ზე მეტი დასახელების 50 ათასამდე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, დანადგარ-მოწყობილობა, მ.შ 3000-3500 ტრაქტორი, 60 ათასზე მეტი დასახელების სათადარიგო ნაწილები, ასეულ ტონობით სასუქები, შხამქიმიკატები, საცხებ-სათბობები, სარემონტო და სხვა მასალები.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლის მეურნეობის ტექნიკური საშუალებების გამართულად მუშაობას საქმეს ემსახურებოდა სარემონტო ქარხნები და საერთო დანიშნულების სახელოსნოები, 37 ათასზე მეტი პირობითი სიმძლავრით. გარდა ამისა ფუნქციონირებდა ავტომობილების, ტრაქტორებისა და მეცხოველეობის ფერმების ტექმომსახურების, დიაგნოსტიკის სადგურები.

შემდეგ, ქვეყანაში გაუქმდა სერვისის სტრუქტურები და დღემდე არ შექმნილა ახალი საინჟინრო-ტექნოლოგიური სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, მკვეთრად შემცირდა მანქანა-ტრაქტორთა პარკი. იგი მთელ რიგ სახეობაში შემცირებულია ნახევარზე მეტად, ხოლო დარჩენილი ამორტიზირებულია 80-90%-ით, ახალი კი თითქმის არ შემოდის. დაბალ დონეზეა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი და ტექნიკური მოშსახურეობა. საერთოდ შეწყდა დეტალების აღდგენა, ამას ისიც ემატება, რომ დღემდე პრაქტიკულად არ გაგვაჩნია საოჯახო და ფერმერულ მეურნეობებზე მორგებული სათანადო, თანამედროვე ტექნოლოგიები და მანქანათა სისტემა. სოფლის მეურნეობის საინჟინრო სფერო აღმოჩნდა კატასტროფის წინაშე, მიწების პრივატიზაციის უხეში დარღვევის გამო აგრარულ სექტორში გაჩნდა ცოდნის ვაკუუმი, ასეთმა მდგომარეობამ გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემცირება და გადმმუშავებელი მრეწველობის დაკნინება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მთავარი ამოცანის გათვალისწინებით, პირველყოვლისა შესწავლილი იქნა ქვეყნის აგრარულ სექტორში მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფა და მათი გამოყენების სტრუქტურა დინამიკაში. როგორც ცხრილ 1-დან ჩანს 2007 წელს, 1990 წელთან შედარებით მატერიალურ-ტექნიკური რესურსების რაოდენობა შემცირდა 45,7%-ით. მათ შორის ძალოვანი მანქანების და მოწყობილობებისა 37,1%-ით, სატრანსპორტო საშუალებებისა 47,5%-ით. როგორც ვხედავთ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ყველაზე აქტიური ნაწილი არსებითად მცირდება. მინერალური სასუქები და შხამქიმიკატები შემცირდა შესაბამისად 66,1 და 50,0% -ით, მრავალწლოვანი ნარგავები 64,1%-ით, რაც შეეხება საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობებს იგი 1990 წლისათვის შეადგენდა 1957,7 მილ. ლარს, რაც დღეისათვის თითქმის განახევრებულია.

დღეის მდგომარეობით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომხმარებელ მეურნეობათა პროცენტული წილი მთლიან რაოდენობაში საქართველოში შეადგენს: ტრაქტორების 52,3, ხელის ტრაქტორები 7,4, კომბაინები 10,8%, სატვირთო დამუშავების მექანიზაციის დონე 10% არ აღემატება, მაშინ როდესაც 1985-90 წლებში იგი საშუალოდ 60%-ს შედაგენდა. ენერგეტიკული რესურსების ძირითადი ნაწილი ფიზიკურად თითქმის 70%-ზე მეტი გაცვეთილია, ასევე მორალურად მოძველებულია. უკანასკნელ წლებში სახელმწიფოს დახმარებით ფერმერულ მეურნეობებს მიეწოდა გარკვეული სახის ტექნიკური საშუალებები, მაგრამ მეტად მცირე რაოდენობით. ამავე დროს შემოტანილი ტექნიკური საშუალებები არ გადის ადგილობრივ

საწარმოო გამოცდას. რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს მათ ფაქტიურ გამოყენებაზე.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური
რესურსების ღირებულება და სტრუქტურა

ცხრილი 1

| დასახელება | 2008 წელი | | | |
|---|---|---|---|---|
| | მატერიალურ-ტექნიკური რესურსები (ერთეული) | სულ ღირებულება (მილ.ლარი) | % | 2008წ. % 1990წ |
| ძალოვანი მანქანები და მოწყობილობა | 50000 | 566,8 | 11,9 | 59,2 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 10400 | 104 | 2.2 | 52.5 |
| მრავალწლიანი ნარგაობა | 601.500 | 2290.5 | 48.3 | 35.9 |
| მუშა და პროდუქტიული პირუტყვი | 711000 | 336.4 | 7.1 | 123.8 |
| შენობა-ნაგებობები | - | 840.6 | 17.7 | 42.9 |
| თესლი (ათასი ტონა) | 41.5 | 22.8 | 0.4 | 57.5 |
| სარგავი მასალა (მილ.ცალი) | 4.0 | 4.4 | 0.9 | 47.8 |
| მინერალური სასუქები და შხამქიმიკატები (ათ.ტ) | 107.9 | 38.6 | 0.8 | 43.0 |
| საწვავ-საცხები მასალები | - | 239.1 | 5.0 | 50.0 |
| დანარჩენი | | 297.6 | 6.9 | 51.3 |
| სულ | | 4740.8 | 100 | 43.9 |

მატერიალურ-საბრუნავი რესურსების მოცულობის სტრუქტურა მოცემულია ცხრილ 2-ში. ირკვევა, რომ საბრუნავ საშუალებათა სტრუქტურაში კვლავ პირუტყვისა და ფრინველის საკვებს და საწვავ-საცხებ მასალებს უკავიათ დომინანტური მდგომარეობა, მაგრამ მათი მოცულობა 1990 წელთან შედარებით შემცირებულია შესაბამისად 53,4 და 50,1%-ით. საკვებისა და საწვავის დომინანტობა საბრუნავ საშუალებებში არც არის მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ მათ როლს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობისა და პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ამაღლებაში. საერთო ჯამში ამავე მიზანს ემსახურება მიწათმოქმედებაში მინერალური სასუქებისა და მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებათა გამოყენება, რაზედაც მათი ხვედრითი წილებიც მეტყველებს.

შესაბამისი მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ პრაქტიკულად არც ერთი დასახელების საბრუნავი საშუალების ფაქტობრივი ხარჯი არ შეესაბამება ნორმატიულს (გარდა თესლისა და სარგავი მასალისა).

ექსპერტული შეფასებით, ამ წელს ჩატარებული ხვნა-თესვის სამუშაოების, გასანოყიერებელი ფართობების, პირუტყვის სულადობის, გასაშენებელი მრავალწლიანი ნარგავების ფართობების და სხვათა სამეურნეო საქმიანობის გათვალისწინებით მატერიალური საბრუნავი საშუალებების ნორმატიულ ღირებულებას 1004.7 მლნ. ლარი უნდა შეედგინა, ფაქტობრივად კი მხოლოდ 537,5 მლნ. ლარის საბრუნავი მატერიალური საშუალებები დაიხარჯა, ანუ ნორმატიულის მხოლოდ 63,2%. ჩვენ საშუალება გვქონდა შეგვედარებინა ზოგიერთი საბრუნავი საშუალების ფაქტიური და ნორმატული ხარჯი. ასე მაგალითად, ნორმატივებით 1 ჰექტარი ნათესის ან ნარგავის ქვეშ საშუალოდ შეტანილი უნდა იქნას 120 კგ აზოტოვანი სასუქი, 150 კგ.- ფოსფოროვანი და 100 კგ. კალიუმოვანი სასუქი. ფაქტობრივად ოფიციალური მონაცემებით 2008 წელს ყოველ დამუშავებულ ჰექტარზე შეტანილი იქნა 146 კგ – აზოტი, 28 კგ ფოსფორი და 60 კგ. კალიუმი.

საბრუნავ საშუალებათა არანორმატიულ ფარგლებში გამოყენება ბუნებრივია ნეგატიურად აისახება, როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაზე, ისე პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობაზე. როგორც 3 ცხრილი გვიჩვენებს, რეგიონები, რომლებიც შედა-რებით უზრუნველყოფილი არიან საბურავი საშუალებებით, ხასიათდებიან სასოფლო სამეურნეო კულტურათა უფრო მაღალი მოსავლიანობით და პირიქით.

მატერიალურ-საბრუნავ საშუალებათა მოცულობა და სტრუქტურა დინამიკაში (1990 – 2008 წწ)

ცხრილი 2

| | 2008 წ. | | | | 2008 წ. % 1990 წელთან |
|---|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა 1000ც | ც. საბაზრო ფასი (ლარი) | სულ ღირებულება მლნ ლარი | % | |
| თესლი | 41.5 | 550 | 22.8 | 4.2 | 57.8 |
| სარგავი მასალა მლნ. ცალი | 4.0 | 1.1 | 4.4 | 1.0 | 47.8 |
| მინერალური სასუქები | 95.9 | - | 20.6 | 3.8 | 38.4 |
| მ.შ N | 67.2 | 250 | 16.8 | | |
| P | 1.3 | 120 | 0.2 | | |
| k | 27.4 | 130 | 3.6 | | |
| შხამქიმიკატები | 12.0 | 1500 | 18.0 | 3.3 | 50.0 |
| პირუტყვის საკვები სულ | - | - | 232.6 | 43.3 | 46.6 |
| მ.შკომბინირებული | 415 | 240 | 99.6 | | |
| უხეში | 1196 | 100 | 119.6 | | |
| წვნიანი | 112 | 120 | 13.4 | | |
| საწვავ-საცხები მასალები | - | - | 239.1 | 44.4 | 50.0 |
| დიზელი | 140 | 800 | 112 | | |
| ბენზინი | 125 | 1000 | 125 | | |
| საპოხი მასალა | 5.2 | 400 | 2.1 | | |
| შულ | | | 537.5 | 100.0 | 48.1 |

ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოში 2008 წელს ფაქტიურად განოყიერდა, აზოტით – 181,4 ათ. ჰა. ხოლო ფოსფორით და კალიუმით 17,2 ათ. ჰა. გამოდის, რომ საერთოდ, მინერელური სასუქის გარეშე დარჩა 350,9 ათ. ჰა ნათესი და მრავალწლიანი ნარგავები. პრაქტიკულად ანალოგიური მდგომარობაა ჰერბიციების გამოყენებაშიც. ამავე წლის მონაცემებით 549,5 ათ. ჰა ნათესი ნარგაობიდან ჰერბიციდებით დამუშავდა მხოლოდ 137 ათ. ჰა. ანუ ამ წელს ჰერბიციდებით არ დამუშავებულა საერთოდ 412,5 ათ. ჰა.

ძირითადი მიზეზი სოფლად საქონელმწარმოებელთა მატერიალური საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის დაბალი დონისა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოშობის საშუალებებზე ფასების არამართლზომიერი პარიტეტია.

ნათეს-ნარგავებში გამოყენებული მინერალური სასუქებისა და პესტიციდების რაოდენობა და სასოფლო- სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა (2008წ

ცხრილი 3

| რეგიონები | ნათესი ფართობი | მრავალწლიანი ნარგავები ათ. ჰა | შეტანილია სულ მინერალური სასუქი ათ. ც ტონა | ხორბლის მოსავლიანობა ც/ჰა | სიმინდის მოსავლიანობა ც/ჰა | ვაზის მოსავლიანობა ც/ჰა | დამუშავდა პესტიციდებით ათ. ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო სულ | 330..2 | 219.3 | 95.9 | 12 | 18 | 43.4 | 137.0 |
| იმერეთი | 51.9 | 29.6 | 39.6 | - | 14 | 42.7 | 13.4 |
| სამეგრელო | 39.6 | 38.7 | 22.5 | - | 23 | - | - |
| გურია | 10.7 | 24.8 | 15.6 | - | 30 | - | - |
| შიდა ქართლი | 24.6 | 38.2 | 38.9 | 12 | - | 68.0 | 14.8 |
| კახეთი | 94..3 | 46.5 | 27.7 | 12 | 13 | 36-3 | 74.3 |
| ქვ. ქართლი | 57.5 | 11.9 | 21.3 | 13 | 23 | - | 12.4 |
| სამცხე | 33.4 | 3.0 | 12.9 | | - | - | 8.8 |
| დანარჩენი | 11.5 | 6.6 | 2.0 | 13 | 15 | - | 13.3 |

3 ცხრილიდან ჩანს ისიც, რომ ცალკეულ რეგიონებში, სადაც მინერალური სასუქები საკმაო დოზითაა გამოყენებული, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაც მაღალია. ასე მაგალითად, გურიის რაიონებში, სადაც მინერალური სასუქები ნათესის და ნარგავის ყოველ ჰა-ზე შეტანილია 439 კგ, სიმინდის მოსავლიანობა 30 ცენტნერს შეადგენს, ანუ 1.7 ჯერ მეტს, ვიდრე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელია, იგივე შეიძლება ითქვას შიდა ქართლის, სამეგრელო - ზემო სვანეთის და სხვა რეგიონებზე.

## მატერიალურ–ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი ამაღლების გზები

მატერიალური-ტექნიკური საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობა არსებითად განსაზღვრავს სოფლად საქონელმწარმოებელთა სამეურნეო-საწარმოო და ფინანსურ შედეგებს, რამდენადაც მასზე უშუალოდ არის დამოკიდებული დანარჩენი საწარმოო ფაქტორების (მიწა, შრომა, კაპიტალი) გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის დონე. მისი შეფასებისათვის, როგორც წესი მაჩვნებელთა მთელი სისტემა გამოიყენება.

კვლევა ჩავატარეთ მრავალფაქტორური, კორელაციური-რეგრესეული ანალიზის საფუძველზე. საქართველოს რეგიონების მაგალითზე 2003-2008 წლებში. მოდელში შეტანილი იქნა შემდეგი ფაქტორები საერთო პროდუქციის ღირებულება 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე – $X_1$, ერთ საშუა-ლო წლიურ მუშაკზე – $X_2$; კაპიტალ შეიარაღება - $X_3$; მიწის ხარისხული შეფასება -$X_4$; კაპიტალ უზრუნველყოფა 1 ჰ სავარგულზე - $X_5$ შესაბამისი გათვლების საშუალებით ვღებულობთ ტოლობას $y=2,3307+0,1103X_1+9,1381X_2-5,0205X_3+0,0775X_4-0,0649X_5$ აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთო პროდუქციის ზრდა 1 ათასი ლარით 1 ჰა სამ.სამ სავარგულზე, 1 საშუალო წლიურ მუშაკზე და მიწის ხარისხის ერთი ერთეულით გაუმჯობესება საწარმოო კაპიტალ უკუგებას შესაბამისად ზრდის: 0,1103; 9,1381 და 0,0775 ლარით. შრომის კაპიტალშეიარაღების ზრდა და წარმოების კაპიტალუზრუნველყოფა პირიქით იწვევს მის შემცირებას შესაბამისად 0,50205 და 0,0649 ლარით.

ცნობილია, რომ რეგრესის კოეფიცინტს არ შეუძლია განისაზღვროს ამ ფაქტორებიდან რომელი ახდენს დიდ ზეგავლენას ჩვენს საკვლევ მაჩვენებლებზე, რამდენადაც ისინი განი-საზღვრება განსხვავებული ერთეულებით ამიტომ, ჩვენს მიერ გამოთვლილი იქნა ელასტიურობის კერძო კოეფიციენტები (Эi), რომლებიც შესაბამისად ტოლია 0,290; 0,583;

–0,642; 0,091; –0,322. შესაბამისად ფაქტორიალური ნიშანცვლილება 1%-ით კაპიტალუკუგების ცვლის შესაბამისად 0,290; 0,583; –0,642; 0,091; –0,322%-ით.

მრავალფაქტიალური კორელაციის კოეფიციენტები R=2,84, რაც მოწმობს მჭიდრო კავშირს ფუონდუკუგებასა და მის ფაქტორულ მაჩვენებლებს შორის, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი (შერეული კოდელაციის კვადრატი) $d=R^{2}=0,960$, რომელიც გვიჩვენებს, რომ ფონდ უკუგების 91,8 % დამოკიდებულია შერჩეულ ფაქტორებთან, ხოლო დანარჩენი 3,2% დასაზუსტებელ ფაქტორებზე.

ნატურალური მაჩვენებლებიდან გამოვყოფთ საკვების ხარჯს მეცხოველეობის პროდუქციაზე, საწვავის ხარჯს ერთ ჰექტარზე (რბილ ხვნაზე გადაანგარიშებით) და ა.შ. რაც შეეხება ღირებულებით მაჩვენებლებს, აქ მთავარია საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის კოეფიციენტი, ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა, მასალატევადობა და მისი შებრუნებული სიდიდე ანუ მასალაუკუგება. რამდენადაც პირველი ორი მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის საჭიროა სათანადო ინფორმაცია ყველა სახის საბრუნავ საშუალებაზე (მათ შორის მარაგები და ნაშთები საწყობში, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია საწყობში, ფულადი სახსრები ანგარიშებზე და ა.შ.), რომელიც ჩვენთვის ხელმიუწვდომელია. კვლევაში ძირითადად გამოყენებულია მასალატევადობის (როგორც მოხმარებული მატერიალურ საბრუნავ საშუალებათა საერთო ღირებულების ფარდობა წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთლიან ღირებულებასთან), მასალაუკუგების და მოგების ნორმის (როგორც წლის განმავლობაში მიღებული მოგების, ან წმინდა შემოსავლის ფარდობა ძირითადი და საბრუნავი ფონდების საერთო ღირებულებასთან) მაჩვენებლები. ჩამოთვლილი მაჩვენებლებიდან მასალატევადობა მატერიალურ-საბრუნავ საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობის ერთერთი ყველაზე ძირითადი მაჩვენებელია, რადგან ეს მაჩვენებელი გვიხასიათებს მათი გამოყენების დონეს ანუ გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის მატერიალური საბრუნავი საშუალებებია დახარჯული (მოხმარებული) წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთეულზე. ბუნებრივია, რომ რაც ნაკლები ღირებულების საბრუნავი საშუალებები მოდის წარმოებული პროდუქციის ყოველ ლარზე სხვა თანაბარ პირობებში, მით მაღალია მათი გამოყენების დონე და პირიქით.

მასალატევადობის, როგორც მატერიალურ-საბრუნავ საშუალებათა გამოყენების ეკონომიკური მაჩვენებლის მნიშვნელობა იმითაცაა გამორჩეული, რომ მისი გაანგარიშება შესაძლებელია, როგორც ქვეყნის, ასევე მისი ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების და თითოეული საწარმოს დონეზე.

4 ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს რეგიონები, როგორც მოსალოდნელი იყო, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მარტო დამუშავებაში მყოფი მიწების ერთეულზე მოსული მატერიალური საბრუნავი საშუალებების ღირებულებით, არამედ მათი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელებითაც. ცხრილიდან ჩანს გარკვეული ურთიერთკავშირი და კანონზომიერება დამუშავებაში არსებული მიწის ერთეულზე მოსული მატერიალურ საბრუნავ საშუალებათა ღირებულების, ჰექტარზე წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობისა და მასალაუკუგების მაჩვენებლებს შორის. კერძოდ ის რეგიონები, რომლებიც ყოველ ჰა დამუშავებაში არსებულ მიწაზე აწარმოებენ შედარებით მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, მასალატევადობის შედარებით ნაკლები და მასალაუკუგების შედარებით მაღალი დონით ხასიათდებიან. ამ მიმართულებით გამოირჩევიან სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის და ქვემო ქართლის, აჭარის ა/რ და იმერეთის რეგიონები, სადაც 1 ჰა-ზე წარმოებული პროდუქცია 2,408 ლარიდან 1944 ლარის ფარგლებში, ხოლო მასალაუკუგების მაჩვენებლი ყოველ ლარზე 1,37 ლარიდან 2,93 ლარამდე ფარგლებშია. პრაქტიკულად ანალოგიურ სურათს აჩვენებს ასევე მოგების ნორმის მაჩვენებელიც, კერძოდ, აჭარის ა/რ-ში, სადაც 1 ჰა დამუშავებაში არსებულ მიწაზე მოდის 2123 ლარის ღირებულების მატერიალურ საბრუნავი საშუალებები, მოგება საწარმოო ფონდების ღირებულების 100 ლარზე 3.0 ლარს შეადგენს (ანუ აქ მოგების ნორმის მაჩვენებელი 3%-ია). იგივე სიტუაციასთან გვაქვს საქმე სამეგრელო ზემო სვანეთის, (სადაც აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 1526; 2,9 და 196 ლარს) იმერეთის და სხვა რეგიონებში. თუმცა შეინიშნება გამონაკლისებიც. მაგალითად, შიდა ქართლის რეგიონში, სადაც ყველაზე მცირე ოდენობის მატერიალური საბრუნავი საშუალებები მოდის 1 ჰა დამუშავებაში მყოფ მიწაზე (663 ლარი) – მოგების ნორმის მაჩვენებლი 3%-ს შეადგენს, ხოლო 1 ჰა-ზე მოგების მაჩვენებლი 193 ლარის ტოლია. ასეთივე სურათია ქვემო ქართლის რეგიონშიც (1008; 3,4 და 197 ლარი). ასეთი შეუსაბამობა 1 ჰა-ზე მატერიალურ საბრუნავ საშუალებათა მოცულობასა და მათი გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა შორის ჩვენი აზრით უნდა აიხსნას მატერიალურ საბრუნავ საშუალებათა არა რაციონალური სტრუქტურით, ძირითად საწარმოო ფონდებში ბიოლოგიური ძირითადი საშუალებების სხვადასხვა წილით და არაერთგვაროვანი მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფის სხვადასხვა დონით.

მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა ეკონომიკური ეფექტიანობა (2008 წელი)

ცხრილი 4

| რეგიონები | მოდის მატერიალური საშუალებები ლარებში | | | | წარმოებ. საერთ. პროდუქცია (ლარი) | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ძირითადი ფონდების 1 ლ-ზე(გარდა ბინა ფონდებისა) | დამუშავებაში მყოფი მიწის 1 ჰა-ზე | ძირითადი საწარმოო ფონდების ერთ ლარზე | წარმოებული საერთო პროდუქციის 1 ლარზე | 1ჰა დამუშავებაში მყოფ მიწაზე | მატერიალურ საშუალებების ერთეულზე | საწარმოო ფონდების 100 ლარზე |
| საქართველო | 037 | 1031.8 | 024 | 056 | 1826 | 1.76 | 34.1 |
| აჭარა | 028 | 2123 | 026 | 064 | 2408 | 1.60 | 32.9 |
| იმერეთი | 039 | 1482 | 024 | 064 | 2330 | 1.57 | 30.6 |
| სამეგრელო | 031 | 1526 | 027 | 073 | 1955 | 1.37 | 29.8 |
| გურია | 046 | 858 | 039 | 0.95 | 898 | 1.05 | 29.6 |
| რაჭა | 054 | 1925 | 058 | 1.63 | 1182 | 0.61 | 22.7 |
| შიდა ქართლი | 025 | 663 | 013 | 034 | 1944 | 2.93 | 34.4 |
| მცხეთამთი-ანეთი | 047 | 909 | 040 | 0.99 | 915 | 1.00 | 28.9 |
| კახეთი | 041 | 774 | 029 | 070 | 1105 | 1.40 | 31.9 |
| ქვ. ქართლი | 035 | 1008 | 021 | 051 | 1974 | 1.96 | 34.6 |
| სამცხე ჯავახეთი | 031 | 957 | 018 | 047 | 2041 | 2.10 | 32.2 |

გვხვდება საპირისპირო მაგალითებიც, ანუ როცა 1 ჰა-ზე მატერიალური საბრუნავი საშუალებები ბევრად აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებს, მაგრამ გამოყენების თვალსაზრისით ბევრად ჩამორჩება მას. ასე მაგალითად: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში 1 ჰა დამუშავებაში მყოფ მიწაზე საშუალოდ 1925 ლარის (1,8-ჯერ მეტი ქვეყნის საშუალო მაჩვენებლთან შედარებით) ღირებულების მატერიალური საბრუნავი საშუალებები მოდის, მაგრამ მოგების ნორმის მაჩვენებლის სხვა რეგიონებთან შედარებით აქ ყველაზე დაბალია (2,3%). დაბალია ასევე მოგების აბსოლუტური სიდიდე 1 ჰა დამუშავებაში მყოფ მიწაზე (118 ლარი).

რაც შეეხება მატერიალური საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობას, უნდა აღინიშნოს, რომ ის ძალიან დაბალ დონეზეა და არ შეესაბამება ჩვენს ქვეყანაში საწარმოო ფაქტორების რაციონალური გამოყენების ამოცანებს. ამაზე მეტყველებს, როგორც აგროწარმოების საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის არასახარბიელო მდგომარეობა, ასევე მათი გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლებიც, კერძოდ ის ფაქტი, რომ ქვეყანაში სულ 1 ჰა დამუშავებაში მყოფ მიწებზე მიღებულია მხოლოდ 183 ლარის მოგება და ამასთან მოგების ნორმის მაჩვენებელი მხოლოდ 3,4%-ის ფარგლებშია. თუმცა ეს არ უნდა იყოს მოულოდნელი თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქვეყანაში მატერიალური საბრუნავი საშუალებების ფარდობა ძირითად საწარმოო ფონდებთან 0,24:1-ნაა მაშინ, როცა ნორმატიული ფარდობა საშუალოდ 0,40:1 – უნდა იყოს. თავის უარყოფით როლს მატერიალური საბრუნავი საშუალებების გამოყენებაში ბუნებრივია თამაშობს ის ფაქტი, რომ ბიოლოგიურად ცოცხალი ძირითადი საშუალებების მაქსიმალური უკუგებით გამოყენება ხდება მხოლოდ ყველა აგრო და ზოოტექნიკური ღონისძიებების კომპლექსურად და აგროზოოვეტერინარულ ვადებში ჩატარების შემთხვევაში, გადამწყვეტია ასევე სხვადასხვა მატერიალურ-საბრუნავ საშულაებათა გამოყენება მკაცრად განსაზღვრული ნორმის ფარგლებში. სხვა შემთხვევაში რა თქმა უნდა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა დაბალ დონეზე დარჩება. ის დიდი სიჭრელე, რომელიც შეიმჩნევა საბრუნავ საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობაში, სწორედ აღნიშნული ფაქტორების მოქმედების პირდაპირი შედეგია. კერძოდ, დარღვეულია კომპლექსურობა, გამოყენების ვადები, ნორმები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიის სხვა მოთხოვნები, რის გამოც სახეზეა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაბალი მოსავლიანობა და პირუტყვის დაბალი პროდუქტიულობა. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მთლიანობაში ქვეყანაში 1 ჰა-დამუშავებაში არსებულ ფართობზე საშუალოდ იწარმოება 1826 ლარის ღირებულების აგრარული პროდუქცია, ხოლო ცალკეულ რეგიონებში კი კიდევ უფრო ნაკლები.

## მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფისა და მათი გამოყენების პროგნოზი მარკეტინგული მოთხოვნების გათვალისწინებით

მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა რაოდენობრივ-ხარისხობრივი ზრდის მაჩვენებლები, როგორც ახლო, ისე გრძელვადიან პერიოდში, როგორც წესი უშუალო კორელაციურ კავშირში უნდა იყოს ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდის მაჩვენებელთან და მათი სტრუქტურის ცვლილებებთან.

ქვმოთ მოცემული 5 ცხრილი გვიჩვენებს, რომ ახლო პერიოდში ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს საწარმოო ფონდებს შორის ნორმატიული თანაფარდობის მიღწევას, ანუ მატერიალური საბრუნავი საშუალებებით აგროწარმოების იმ დონით უზრუნველყოფას, რომელიც რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესაბამისობაში იქნება ძირითად საწარმოო

ასეთი მიდგომით გაკეთებული პროგნოზით (ცხრილი 5) ახლო მომავალში უპირატესი ზრდის ტემპით გამოირჩევა მინერალური სასუქები და მავნებელ-დაავადებებისაგან მცენარეთა და ცხოველთა დაცვის ქიმიური საშუალებები. მინერალური სასუქებს გამოყენება გაიზრდება 2,9 ჯერ, ხოლო შხამქიმიკატებისა 2,0-ჯერ, საწვავ-საცხები მასალები 34,8 %-ით, რაც შეეხება პირუტყვის საკვებს, ის თანდათან გაიზრდება და 2015 წლისათვის პრაქტიკულად მიუახლოვდება ნორმატიულ დონეს. პირუტყვის სულადობის და სტრუქტურის გათვალისწინებით. ამასთან, პირუტყვის საკვები საერთო ჯამში გაიზრდება 1,6-ჯერ.

ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენ ამოცანად დავისახეთ, შედარებით მწირი ფაქტობრივი მასალების საფუძველზე გაგვეანგარიშებინა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების საწარმოო კაპიტალის 2015 წლის პროგნოზი ორ ვარიანტად მეცნიერულად შესაძლებელი და მეორე – ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე რეალურად მოსალოდნელი და შესაძლებელი.

მატერიალურ-საბრუნავ საშუალებათა პროგნოზი
(2015 წლამდე პერიოდისათვის

ცხრილი 5

| დასახელება | 2015 წ. | | | | 2015 წ. %-ული მაჩვ. 2007 წელთან |
|---|---|---|---|---|---|
| | ათ. რაოდენობა ტონა | 1ტ. საბაზრო ფასი (ლარი) | სულ დირებულ. მლნ. ლარი | % მთელში | |
| თესლი | 50.0 | 550 | 27.5 | 2.7 | 120.5 |
| სარგავი მასალამლნ.ც. | 8.0 | 1.1 | 8.8 | 0.8 | 2.1ჯერ |
| მინერალური სასუქები | 280.0 | - | 52.4 | 5.2 | 2.9ჯერ |
| მ.შ. აზოტი | 150 | 250 | 37.5 | - | 2.2ჯერ |
| ფოფორი | 80 | 120 | 9.6 | - | 6.1ჯერ |
| კალიუმი | 50 | 130 | 6.5 | - | 1.8ჯერ |
| შხამქიმიკა-ტები | 24 | 1500 | 36.0 | 3.6 | 2.2ჯერ |
| პირუტყვის საკვები | 27.5 | - | 560 | 55.9 | 1.6ჯერ |
| საწვავ-საცხები მასალ. | 364 | - | 320 | 31.8 | 134.8 |
| მ.შ. დიზელი | 200 | 800 | 160 | - | 142.8 |
| ბენზინი | 158 | 1000 | 158 | - | 126.4 |
| საპოხ მასალა | 6 | 400 | 2.0 | - | 120.0 |
| სულ | - | - | 1004 | 100.0 | 186.9 |

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების პროგნოზი
2015 წლამდე პერიოდისთვის

ცხრილი 6

| დასახელება | შესაძლებელი | | | რეალურად მოსალოდნელი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მატ.ტექ. რესურსები (ერთეული) | სულ ღირებულება მილ. ლარი | % | მატ.ტექ. რესურსები (ერთეული) | სულ ღირებულება მილ. ლარი | % |
| ძალოვანი მანქანები და მოწყობილობა | 90000 | 1110 | 13,5 | 70000 | 730,0 | 11,6 |
| სატრანსპორ საშუალ. | 22000 | 220 | 2,7 | 17000 | 153,0 | 2,4 |
| მრავალწლიანი ნარგაობა | – | 3816 | 46,7 | – | 3000 | 47,7 |
| მუშა და პროდუქტული პირუტყვი | 970000 | 436,5 | 5,3 | 750000 | 375,0 | 5,0 |
| შენობა ნაგებობა | – | 1500 | 18,4 | – | 1000 | 16,2 |
| თესლი (ათასი ტონა) | 50,0 | 27,5 | 0,4 | 50,0 | 27,5 | 0,4 |
| სარგავიმასალა (მილ.ც) | 304,0 | 88,4 | 1,1 | 304,0 | 88,4 | 1,1 |
| მინ. სასუქები და შხამქიმიკატები | – | 320,0 | 4,0 | – | 300 | 4,1 |
| საწვავ საცხები მასალ | – | 640,8 | 7,8 | – | 600 | 10,6 |
| სხვა დანარჩენი | 8,0 | 8,8 | 0,1 | 8,0 | 8,8 | 0,1 |
| სულ | – | 8168 | 100 | – | 6282,7 | – |

2015 წელს, პროგნოზული გაანგარიშებით სულ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ღირებულება იქნება 8160 მილიონი ლარი, ხოლო რეალურად მოსალოდნელი 6280 მილიონი ლარი. მათ შორის თუ განვიხილავთ რაოდენობრივი თვალსაზრისით ძალოვანი მანქანები და მოწყობილობები შესაბა-მისად შეადგენს 9000 და 7000-ს ერთეულს სატრანსპორტო საშუალება 22000 და 15000 ერთეულს.

თანამედროვე პირობებში, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგება და გამოყენების ეფექტურობის ორგანიზაციულ ფორმად შეიძლება მიჩნეული იქნეს საფირმო მომსახურეობა ამხანაგობები, კოოპერატივები და ტექნიკური ცენტრები, რომლებსაც შეეძლებათ უზრუნველყონ შეზღუდული რესურსების გამოყენების შედარებით მეტი ეფექტურობა, რითაც მოიგებს ყველა სასოფლო სამეურნეო საქონელმწარმოებელი, მაგრამ რეალურად არსებობს მეორე პრობლემა-როგორი იქნება ამ ორგანიზაციულ ფორმებით. აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგება და ფინანსები. კვლევა გვიჩვენებს, რომ ამ მხრივ მემკვიდრეობით მიღებული გამოცილების გათვალისწინებით ისინი ინტეგრირებული უნდა იყვნენ აგრარულ საქონელმწარმოებელთან, საფინანსო-საკრედიტო და დამზღვევ ორგანიზაციებთან. ლიზინგის კომპანიებთან, რომლებსაც ექნებთ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფო მხარდაჭერა და აგრეთვე არასაბიუჯეტო დაფინანსების წყაროები.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ არ შექმნილა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომარაგების და გამოყენების რაციონალურ-ორგანიზაციული ფორმები რისი გადაწყვეტაც მეტად აქტუალურია საერთოდ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების და ეფექტურად გამოყენების საქმეში.

# თავი III.

## 3.1. სასურსათო პროდუქციის ფასებისა და ფასწარმოქმნის სისტემის სრულყოფა, ზონალურ-დიფერენცირებული სარეკომენდაციო, სარეალიზაციო ფასების თანაფარდობის ოპტიმალური მოცულობები და მისი რეგულირების მექანიზმი

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ შეაფერხა როგორც მთლიანად ეროვნული მეურნეობის, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარებაც. სოფლად წარმოიშვა ახალი საწარმოო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, რომელთა ფორმირება და ფუნქციონირება სათანადოდ დასაბუთებული რეკომენდაციების გარეშე მოხდა, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა მათი მდგრადი განვითარება. დაირღვა ქვეყნის სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბებული დარგობრივი სტრუქტურა. საბაზრო ეკონომიკამ თავისი მკაცრი მოთხოვნები წაუყენა ქვეყნის სოფლის მეურნეობას. დაუსაბუთებელმა და ნაჩქარევმა რეფორმებმა, სხვა ფაქტორებთან ერთად, თავისი უარყოფითი კვალი დაამჩნია იმ მხრივაც, რომ კატასტროფულად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და აქედან გამომდინარე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაც.

სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის შემცირებამ გააუარესა სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და გამოიწვია უარყოფითი მიგრაციული პროცესები სოფლიდან ქალაქის მიმართულებით, რამაც წარმოშვა უმუშევრობის არნახული მასშტაბები.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 2007 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენდა 854 ათას ჰექტარს. აქედან 463 ათასი ჰა სახნავია, 277 ათასი ჰა სათიბი და საძოვარია და 114 ათასი ჰა მრავალწლიანი ნარგავები. მარტო 2007 წელს 2006 წელთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო სავარგული შემცირდა 11 ათასი ჰექტარით, მ.შ. სახნავი 1 ათასი ჰექტარით, სათიბ-საძოვარი 10 ათასით და მრავალწლიანი ნარგავები 2 ათასი ჰექტარით.

2007 წელს დაუმუშავებელი დარჩა 166 ათასი ჰექტარი სახნავი, რაც 34 ათასი ჰექტარით მეტია წინა წელთან შედარებით. მთლიანი დაუმუშავებელი სახნაყი ფართობიდან კახეთის რეგიონზე მოდის 74 ათასი ჰა ანუ 44,6 %, შიდა ქართლზე –24 ათასი ჰა ანუ 14,5%, ქვემო ქართლზე 20 ათასი ჰა ანუ 12,1% და იმერეთის რეგიონზე –17 ათასი ჰა ანუ 10,2%.

სახნავი ფართობების მნიშვნე-ლოვანი ნაწილი გადავიდა ისეთ ნაკლებინტენსიურ სავარგულებში, როგორიცაა სათიბ-საძოვრები.

სახნავი ფართობების შემცირებამ გამოიწვია ნათესი ფართობების შემცირებაც.

2007 წელს ქვეყნის სოფლის ყველა კატეგორიის მეურნეობაში დათესილი იქნა 297,2 ათასი ჰექტარი, რაც 404,7 ათასი ჰექტარით ნაკლებია 1990 წელთან და 313,6 ათასით 2000 წელთან შედარებით. ანალოგიურად შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაც.

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოება წლების მანძილზე კლების ტენდენციით ხასიათდება. ასე მაგალითად, ხორბლის წარმოება 1990 წელთან შედარებით 2000 წელს 66%-ით, 2004 წელს – 28%, 2006 წელს - 73% და 2007 წელს -70%-ით შემცირდა. კარტოფილის წარმოება 2007 წელს 1990 წელთან შედარებით 22%-ით შემცირდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ წელს ამ პროდუქციის წარმოებამ 1990 წლის დონეს გადააჭარბა კიდეც. ასევე შემცირდა ბოსტნეულის წარმოებაც და ის 2007 წელს 1990 წელთან შედარებით - 57%-ით შემცირდა.

ყველაზე კატასტროფული კლება განიცადა მრავალწლიანი ნარგავების პროდუქციამ. 2007 წელს მოკრეფილი იქნა 227,3 ათასი ტონა ყურძენი ნაცვლად 1990 წელს მოკრეფილი 691 ათასი ტონისა (67,1%-ით). ხილი 227,5 ათასი ტონა, ნაცვლად 591,2 ათასი ტონისა (38,5%-ით), ჩაი 7,5 ათასი ტონა, ნაცვლად 501,7 ათასი ტონისა (98,5%-ით) და ციტრუსი 98,9 ათასი ტონა, ნაცვლად 283,1 ათასი ტონისა (66,0%-ით). შემცირების ტენდენციით ხასიათდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაც. ხორცის წარმოება 1990 წელს წარმოებული 170,3 ათასი ტონიდან, 2007 წელს 69,4 ათას ტონამდე შემცირდა (60,0%-ით), რძის წარმოება 659,4 ათას ტონიდან 624,7 ათას ტონამდე (6%-ით), კვერცხის -769,2 მილიონი ცალიდან 438,1 მილიონამდე (43%-ით), მატყლის 6,2 ათასი ტონიდან 1,9 ათას ტონამდე (70%-ით).

ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოება
ყველა კატეგორიის მეურნეობებში (ათასი ტონა)

ცხრილი 1

| პროდუქტების დასახელება | წ ლ ე ბ ი | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1990 | 2004 | 2006 | 2007 |
| ხორბალი | 257,7 | 185,8 | 69,7 | 74,9 |
| სიმინდი | 270,2 | 410,6 | 217,4 | 295,8 |
| ლობიო | 7,3 | 16,6 | 7,8 | 10,5 |
| მზესუმზირა | 7,7 | 22,3 | 12,3 | 16,1 |
| თამბაქო | 8,1 | 1,5 | 0,3 | 0,1 |
| კარტოფილი | 293,8 | 419,5 | 168,7 | 229,2 |
| ბოსტნეული | 443,2 | 400,5 | 179,7 | 190,3 |
| ბაღჩეული | 38,8 | 109,5 | 37,8 | 73,5 |
| ყურძენი | 691,0 | 180,0 | 162,5 | 227,3 |
| ხილი | 591,2 | 160,2 | 153,3 | 227,5 |
| ჩაი | 501,7 | 20,0 | 6,6 | 7,5 |
| ციტრუსი | 283,1 | 38,2 | 52,2 | 98,9 |
| ხორცი სულ კგ. | 170,3 | 104,1 | 78,9 | 69,4 |
| რძე | 659,4 | 749,7 | 606,0 | 624,7 |
| კვერცხი მილ. ც. | 769,2 | 496,6 | 249,2 | 438,1 |
| მატყლი | 6,2 | 2,2 | 2,0 | 1,9 |
| თაფლი | 1,6 | 2,3 | 1,6 | 2,3 |

სასურსათო პროდუქტების წარმოების შემცირების შედეგად დაირღვა ექსპორტ–იმპორტის ბალანსი. საქართველოს სასურსათო ბაზარზე ჭარბობს იმპორტის მაჩვენებელი, რომელიც ხშირ შემთხვევაში უხარისხო პროდუქციითაა წარმოდგენილი.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროდუქციის ექსპორტ–იმპორტის მაჩვენებლები ბოლო წლების მიხედვით შემცირების ტენდენციით ხასიათდება და იგი საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სტატისტიკური წელიწდეულის მონაცემების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს.

საქართველოს ექსპორტ–იმპორტის მაჩვენებლები
(მოქმედ ფასებში ათასი აშშ დოლარი)

ცხრილი 2

| № | | 2005წ. | 2006წ. | 2007წ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | ექსპორტი სულ | 865454 | 936172 | 1232371 |
| მ.შ. სოფლის მეურნეობის პროდუქცია | | 303902 | 234894 | 298613 |
| % ექსპორტთან | | 35,1 | 25,1 | 24,2 |
| ალკოჰოლ., უალკოჰოლ., თამბაქოს პროდ. | | 204552 | 151488 | 196103 |
| % სოფლის მეურნეობის პროდუქტთან | | 67,3 | 64,5 | 65,7 |
| 2 | იმპორტი სულ | 2489953 | 3677745 | 5214883 |
| მ.შ. სოფლის მეურნეობის პროდუქცია | | 437505 | 605318 | 832494 |
| % ექსპორტთან | | 17,6 | 16,5 | 16,0 |
| ალკოჰოლ., უალკოჰოლ., თამბაქოს პროდ. | | 222421 | 283112 | 377721 |
| % სოფლის მეურნეობის პროდუქტთან | | 50,8 | 46,0 | 45,4 |

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს მთლიან ექსპორტში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წილი წლების მანძილზე მცირდება 31,1-დან 24,2%-მდე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საექსპორტო პროდუქციის წარმოებას არ ექცევა სათანადო ყურადღება. ამასთან, ექსპორტში ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობაში პროდუქტებიდან მოდის ალკოჰოლურ, უალკოჰოლო და თამბაქოს ნაწარმზე და იგი მერყეობს 64,5-დან 70,9 %-მდე. რაც შეეხება იმპორტს, აქ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წილი 16,0 და 21,2% და აქაც იმპორტის ძირითადი ნაწილი ალკოჰოლურ, უალკოჰოლო და თამბაქოს ნაწარმზე მოდის –46,0 და 50,8 პროცენტი.

სასურსათო პროდუქტების წარმოების შემცირებამ გამოიწვია მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის დონის შემცირება.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 1999-2007 წლებში ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების

წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება (ცხრილი 3).

ცხრილის მონაცემებით დასტურდება, რომ სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოებასა და მოხმარებას შორის მნიშვნელოვანი დისბალანსია. უარყოფითი ბალანსი ყველაზე თვალშისაცემია ხორბლის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და მოხმარებას შორის. აღსანიშნავია, რომ ისეთი პროდუქტების, როგორიცაა ბოსტნეული და კარტოფილი, რომელთა წარმოებაც უზრუნველყოფდა მოხმარებას, ბოლო დროს უარყოფითი ბალანსით ხასიათდება.

აღნიშნული ნაკლოვანებების დაძლევის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სოფლის მეურნეობის საქონელმწარმოებელს შევუქმნათ სასურსათო პროდუქტების წარმოების გაზრდის ხელსაყრელი პირობები, უპირველეს ყოვლისა მათი იაფი და ხარისხიანი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, იაფი კრედიტების, ხოლო დამწყები ფერმერების დაბალპროცენტიანი კრედიტების გაცემის, ან პირველ ორ წელს გადასახადისგან განთავისუფლების და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობის გზით.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება დინა-მიკაში კლების ტენდენციით ხასიათდება, თუმცა ცალკეულ გამონაკლის წელს ერთგვარი მატება შეინიშნება (ცხრილი 4). 2007 წელს წარმოებული იქნა 1958,5 მილიონი ლარის მთლიანი პროდუქცია ნაცვლად 2007 წელს წარმოებული 2144,3 მლნ ლარისა (91,3%). ანალოგიურად, საქართველოს რეგიონების მიხედვით კლების ტემპი შეადგენს—იმერეთის რეგიონში—15,1%-ს, სამეგრელო ზემო სვანეთში —20,8%, შიდა ქართლში— 10,7% და კახეთში —25,3%, მთლიანი პროდუქციის წარმოების ზრდა აღინიშნება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში —68,7%-ით, ქვემო ქართლში —13,2%-ით და სამცხე-ჯავახეთში —32,0%-ით. თუ განვიხილავთ მთლიანი პროდუქციის წარმოებაში მხარეების წილობრივ მონაწილეობას, ამ მხრივ ასეთი მდგომარეობაა. 2007 წლის მონაცემებით მთლიანი პროდუქციის წარმოების ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება ქვემო ქართლის რეგიონი —18,2%, შემდეგ მოდის იმერეთის რეგიონი —15,4%, კახეთის რეგიონი —13,2%, სამეგრელო-ზემო სვანეთი — 11,6% და აჭარა —10,1%. და ეს მაჩვენებლები წლების მანძილზე სტაბილურობით ხასიათდება.

სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე (კგ.)

ცხრილი 3

| პროდუქციის დასახელება | 2000 წ. | | | 2006 წ. | | | 2007 წ. | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | წარმოება | მოხმარება კგ. | თვითუზრუნველყოფის დონე % | წარმოება | მოხმარება კგ. | თვითუზრუნველყოფის დონე % | წარმოება | მოხმარება კგ. | თვითუზრუნველყოფის დონე % |
| ხორბალი | 20 | 118 | 10 | 16 | 112 | 9 | 17 | 110 | 9 |
| სიმინდი | 67 | 31 | 100 | 49 | 29 | 94 | 68 | 26 | 100 |
| კარტოფილი | 69 | 49 | 102 | 38 | 44 | 88 | 52 | 47 | 81 |
| ბოსტნეული | 80 | 75 | 100 | 41 | 55 | 79 | 43 | 58 | 75 |
| ყურძენი | 48 | 51 | 111 | 37 | 37 | 112 | 52 | 36 | 108 |
| ხორცი | 25 | 28 | 84 | 18 | 24 | 72 | 16 | 27 | 57 |
| რძე | 146 | 214 | 64 | 138 | 162 | 82 | 143 | 155 | 89 |
| კვერცხი | 82 | 135 | 55 | 57 | 60 | 85 | 100 | 35 | 100 |

ჩატარებული მოკლე ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ერთ დროს მოწინაკე დარგი კრიზისს განიცდის, რაც მრავალი ფაქტორებითაა გაპირობებული, უპირველეს ყოვლისა კი ხელისუფლების მხრიდან ამ დარგის მიმართ სრული უყურადღებობით. ბედის ანაბარადაა მიტოვებული სოფლის მეურნეობის საქონელმწარმოებელი, არ ხდება მათი ხარისხიანი

მატერიალურ–ტექნიკური საშუალებებით მომარაგება, თუ ხდება, ისიც კაბალური ფასებით, ხელმიუწვდომელია საბანკო კრედიტები მათი მაღალი საპროცენტო განაკვეთების და სხვა რთული პირობების გამო, არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის გამო ვერ ხერხდება

დარგის ინვესტირება. უცხოური საეჭვო წარმომავლობის პროდუქტებით ბაზრის გაჯერება და მათზე დაბალი, ხოლო ზოგჯერ მთლიანად განთავისუფლებული საბაჟო გადასახადის გამო ადგილობრივი წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაცია ვერ ხდება, და თუ ხდება, ისიც დაბალ ფასებში, რის გამოც წარმოება ზარალიანია და გლეხი იძულებულია ხელი აიღოს მის წარმოებაზე. მიწის პრივატიზაციამ გამოიწვია დამუშავებაში მყოფი მაღალნაყოფიერი ფართობების დანაწევრება, რის გამოც მთელი ამ ფართობების 10-15% მიჯნების სახით დაუმუშავებელი დარჩა, ამასთან პრაქტიკულად გამოირიცხა მექანიზაციისა და პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენება, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს წვრილი ოჯახური და ფერმერული მეურნეობების კოოპერირება, რაც ხელს შეუწყობს როგორც მართვის ისე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წარმატებით დანერგვას. საჭიროა მოხდეს წარმოებისა და გადამუშავების ინტეგრირება (ვერტიკალური ინტეგრაცია), სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს ორივე მხარის ინტერესები – წარმოების საბოლოო შედეგის – მოგების მიმართ, რაც უზრუნველყოფს როგორც კვლავწარმოების ისე მომუშავეთა მატერიალური სტიმულირების განუხრელ ზრდას.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება რეგიონების მიხედვით (მილნ. ლარი) ცხრილი 4

| რეგიონები | 2000წ | | 2007წ | |
|---|---|---|---|---|
| | თანხა მლ.ლ. | % | თანხა მლ.ლ. | % |
| საქართველოში სულ | 2144,3 | 100 | 1958,5 | 91 |
| მ.შ. აჭარის ა.რ. | 116,9 | 100 | 197,2 | 168,7 |
| % საქართველოსთან | | 5,5 | | 10,1 |
| იმერეთი | 360,9 | 100 | 302,7 | 83,9 |
| % საქართველოსთან | | 16,8 | | 15,4 |
| სამეგრელო ზემო სვანეთი | 286,9 | 100 | 227,1 | 79,2 |
| % საქართველოსთან | | 13,4 | | 11,6 |
| გურია | 21,2 | 100 | 94,0 | 443,4 |
| % საქართველოსთან | | 0,9 | | 4,8 |
| რაჭა-ლეჩხუმი ქვ. | – | – | 42,5 | – |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სვანეთი | | | | |
| % საქართველოსთან | – | – | 2,2 | – |
| შიდა ქართლი | 209,7 | 100 | 187,3 | 89,3 |
| % საქართველოსთან | | 9,8 | | 9,6 |
| შცხეთა მთიანეთი | 0,8 | 100 | 78,7 | 983,8 |
| % საქართველოსთან | | 0,04 | | 4,0 |
| კახეთი | 343,7 | 100 | 256,6 | 74,7 |
| % საქართველოსთან | | 16,0 | | 13,2 |
| ქვემო ქართლი | 315,1 | 100 | 356,6 | 113,2 |
| % საქართველოსთან | | 14,7 | | 18,2 |
| სამცხე ჯავახეთი | 163,3 | 100 | 215,6 | 132,0 |
| % საქართველოსთან | | 7,6 | | 11,0 |
| დანარჩენი | 303,3 | 100 | – | – |
| % საქართველოსთან | | 14,1 | | – |

სახელმწიფოს აქვს უფლებამოსილება და ვალდებულია ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისად დაარეგულიროს ეკონომიკური განვითარება, უფრო მეტიც, ეს მისი პირდაპირი ფუნქციაა.

მართალია საბაზრო ეკონომიკას ფასების მხრივ თავისი კანონები გააჩნია, მაგრამ სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ისეთი ბერკეტები, რომლებიც გარკვეულწილად დაარეგულირებს ფასების პოლიტიკას, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

## ფასწარმოქმნის სტრატეგია

ფასწარმოქმნის სწორი განსაზღვრა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფერმერთა საქმიანობაზე.

ფასის წინასწარ განსაზღვრა ძალზე რთულია. იგი არ არის მხოლოდ პროდუქციაზე გაწეული დანახარჯების ჯამი და მასზე დამატებული გარკვეული რაოდენობის მოგება. მისი სიდიდე განისაზღვრება ბაზარზე საქონლის მოთხოვნა-მიწოდებით. ფასები არის წარმოების მართვაში ეკონომიკურად საჭირო ინსტრუმენტი, მისი სიდიდე მოიცავს პროდუქციის ხარისხს და გასაღებას, მოგებას და გაფართოებული კვლავწარმოების შესაძლებლობას.

პროდუქციის სარეალიზაციოდ მოქმედი ფასები იყოფა რეგულირებად და თავისუფალ ფასებად.

რეგულირებადი ფასები მტკიცდება სახელმწიფოს მიერ. ასეთი ფასებია: ელექტროენერგიაზე, წყალზე, ბუნებრივ გაზზე, მომსახურების ტარიფებზე. თავისუფალი ფასები კი სახელმწიფოს მიერ არ განისაზღვრება. თავის მხრივ, თავისუფალი ფასები მწარმოებლიდან კონკრეტულ მომხმარებლამდე შუალედური რგოლების გავლისას ღებულობს შემდეგ სახეებს: საწარმო, საბითუმო და საცალო ფასები. საწარმო ფასებიდან საბითუმო და შემდგომ ფასებზე გადასვლისას ფასები იზრდება სხვადასხვა სავაჭრო და საბითუმო დანამატის ხარჯზე, რომელმაც უნდა დაფაროს ხარჯები და მოიტანოს გარკვეული მოგება.

აღნიშნული დანამატები არ არის მცირე. მოხმარების საგნების ფასებში გასაღების ხარჯები, რეკლამაზე გაწეული დანახარჯების ჩათვლით დაახლოებით 60-70%-ია, ხოლო ზოგიერთ პროდუქციაზე საწარმო ფასის 100%-მდეც აღწევს. რაც მეტი შუალედური რგოლია მწარმოებელს და მომხმარებელს შორის, მით მეტია დანამატი ფასზე.

იმის მიხედვით, საქონელი შიდა თუ საგარეო ბაზარზე იყიდება, განასხვავებენ აგრეთვე საშინაო– ქვეყნის შიგნით მოქმედ და საექსპორტო ფასებს. საექსპორტო ფასები, როგორც წესი საშინაო ფასებზე ნაკლებია, რაც გამოწვეულია მსოფლიო ბაზარზე დიდი კონკურენციით.

ზოგ ქვეყანაში მოქმედებს ფასდაკლების და ფასდანამატების მთელი სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს გამყიდველს მოახდინოს გარკვეული მანევრირება. პრაქტიკულად, განვითარებულ ქვეყნებში არც ერთი გაცვლა-გაყიდვა არ ხდება იმ ფასში, რომელსაც პირველად დაასახელებს გამყიდველი. ფასების დინამიკისა და მისი დონის განსაზღვრისათვის გამოიყენება ფასების სხვადასხვა მაჩვენებელი: საკონტრაქტო ფასები, საცნობარო ფასები, ფასების ინდექსი და სხვ.

საკონტრაქტო ფასები გამოხატავს მსოფლიო ბაზარზე ფასების რეალურ დონეს არსებული მოთხოვნა-მიწოდებიდან გამომდინარე, მაგრამ საკონტრაქტო ფასებზე ინფორმაციის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან იგი შეადგენს როგორც გამყიდველის, ასევე მყიდველის საიდუმლოებას. ხშირად ასეთი კონტრაქტები ქვეყნდება პრესაშიც, მაგრამ საკონტრაქტო ფასების ჩვენების გარეშე.

საცნობარო ფასები არის ის ფასები, რომლებიც ქვეყნდება უშუალო გამყიდველის მიერ. საცნობარო ფასები არ ასახავს რეალურ საკონტრაქტო ფასებს, ბაზრის კონიუნქტურის გაუარესების შემთხვევაში ფასდაკლება მატულობს და პირიქით.

ფასების ინდექსი წარმოადგენს ფარდობით მაჩვენებელს, რომელიც

გამოხატავს ფასების ცვლილების დინამიკას და არ იძლევა ინფორმაციას ფასების დონის შესახებ. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოების მიერ პერიოდულად ქვეყნდება ინფორმაცია საქონლის გარკვეული ჯგუფების შესახებ, როგორც შიდა სახელმწიფოებრივი, ასევე საექსპორტო ფასების ცვლილებები და ამ ცვლილებების ინდექსი საბაზისო წლის მიმართ, რომლისთვისაც ფასების სასტარტო მაჩვენებლის დონედ აღებულია 100.

ფასების ინდექსი წარმოადგენს საჭირო მაჩვენებელს, როგორც საქონლის მწარმოებლისათვის, ასევე მომხმარებლისათვის. თუ ცნობილია ფასების აბსოლუტური მაჩვენებელი, ფასების ინდექსის მეშვეობით შეიძლება განისაზღვროს ფასების მდგომარეობა. იგი გვიჩვენებს ქვეყნების ვალუტის ინფლაციის დონეს და ფასების დინამიკაზე დაყრდნობით იძლევა პროგნოზს მომავალი პერიოდის ფასების შესახებ.

ყველაზე გავრცელებულია ფასების დონის დადგენის ოთხი ძირითადი ხერხი:

1. წარმოების დანახარჯებით;
2. კაპიტალის შემოსავლებით;
3. მოთხოვნაზე ორიენტაციით;
4. მიმდინარე ფასეულობის დონით.

პირველ მეთოდს ფართოდ იყენებენ წარმოებაზე ორიენტაციის მიზნით. არსებობს ამ მეთოდის ორი სახესხვაობა: წარმოების სრული დანახარჯების გამოყენებით და წარმოების ზღვრული დანახარჯების გამოყენებით.

კაპიტალის შემოსავლის მეთოდი ეყრდნობა პროდუქციის წარმოების დანახარჯებსა და კაპიტალის დაგეგმილ შემოსავალს შორის სხვაობას. ამ მეთოდის გამოყენების დროს პროდუქციის დანახარჯებს ემატება პროცენტი კაპიტალურ დაბანდებაზე.

ფასების მოთხოვნაზე ორიენტაციით განსაზღვრის მეთოდი ყველაზე ორიგინალურია ფასწარმოქმნის მეთოდებს შორის. მეწარმეთა უმრავლესობა ორიენტირებულია არა წარმოების დანახარჯებზე, არამედ მისი პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდებით. მეწარმე გამოდის იქიდან, რომ მომხმარებელი განსაზღვრავს შეფარდებას საქონლის ფასეულობასა და მის ფასს შორის და ადარებს მას კონკურენტების საქონლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამავე დროს, რაც მეტია საქონლის დიფერენციაციის ხარისხი, მით მეტია მომხმარებლის ფასების ელასტიურობა.

კონკურენციის მიზნით ფერმერი აწესებს თავის საქონელზე კონკურენტის ფასზე ცოტა მეტს ან ნაკლებს. თუ საქონელს ხარისხის რაიმე განმასხვავებელი ნიშანი აქვს, მაშინ ფასის დაწესება კონკურენტზე მეტ ფასად გამართლებულია, იგი მხედველობაში არ იღებს ანალოგიური

საქონლის საბაზრო ფასს. თუ კონკურენტმა თავის საქონელზე დასწია ფასი. ხანგრძლივი პერიოდისათვის მსგავს საქონელზე, მეორე მეწარმეც იძულებულია დასწიოს საქონლის ფასი, გაყიდვების მოცულობის გადიდების მიზნით. თუ მას შეუძლია დაიჭიროს მაღალი ფასი და არ შეამციროს იგი, მაღალი მარკეტინგული მეთოდების ამოქმედებით, მაშინ იგი ინარჩუნებს მაღალ ფასს.

ფერმერი ყველა აღნიშნული მეთოდებიდან ირჩევს მისთვის სასურველ მეთოდს და აწესებს საქონელზე ფასს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური ფაქტორი. მაგალითად, მყიდველთა უმრავლესობისათვის საქონლის შესახებ ინფორმაცია. ასევე გასათვალისწინებელია კონკურენტთა რეაქცია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფასების ელასტიურობას. ელასტიურობა გვიჩვენებს რამდენი პროცენტით იცვლება ერთი ცვლადი მეორე ცვლადის 1%-ის შეცვლით. ფერმერმა უნდა იცოდეს რამდენად შეიცვლება მოთხოვნილება სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით. ელასტიურობა გვიჩვენებს მყიდველის რეაქციას მათ მიერ შესყიდული საქონლის მოცულობაზე.

**ელასტიურობის კოეფიციენტი Ed = Q2 – Q1 : Q1 + Q2 : P2 – P1 : P1 + P2**

სადაც, Q1, Q2 _ გაყიდვების მოცულობაა,
P1– ძველი და 2 ახალი ფასებით.
თუ Ed < 1 – მოთხოვნა არაელასტიურია;
Ed = 1 მოთხოვნა ერთეული ელასტიურობის ტოლია;
Ed > 1 მოთხოვნა ელასტიურია.

თუ მარკეტინგულმა სამსახურმა დაადგინა, რომ საქონელზე მოთხოვნა არაელასტიკურია (Ed < 1), ფერმერი ზრდის ფასს ამ საქონელზე. ამავე დროს, მოგება რეალიზაციიდან გაიზრდება, თუ პირიქით, საქონელზე მოთხოვნა ელასტიურია (Ed > 1), ფასების ზრდა არაა მიზანშეწონილი, ვინაიდან რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი მცირდება. ამ შემთხვევაში უმჯობესია საქონელზე ფასი შემცირდეს, ვინაიდან გაიზრდება მოთხოვნა და შესაბამისად ამონაგებიც.

განვიხილოთ მაგალითი საქართველოში ძროხის ხორცის წარმოება 2001 წელს იყო 47,0 ათ. ტ., 2007 წელს 31,3 ათ.ტ., ხოლო საშ. წლიური ფასი 2001 წ. –3,90ლ., 2007 წელს –6,82ლ. თუ აღნიშნულ ფორმულას გამოვიყენებთ

$$Ed = \frac{31300 - 4700}{} : \frac{6{,}82 - 3{,}90}{} = 2{,}7$$

4700 + 31300 3,90 + 6,82

**Ed = 2,7** ე.ი. ელასტიურობის კოეფიციენტი დადებითია, საქონელზე მოთხოვნა ელასტიურია და ძროხის ხორცზე ფასების ზრდა არაა მიზანშეწონილი, ვინაიდან რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი მცირდება. ახლა განვიხილოთ ჩაის მაგალითი. მისი წარმოება 2001 წელს იყო 23,1 ათ. ტ., 2007 წელს კი 7,5 ათ. ტ. მისი ფასი (ლ/კგ) 2001 წელს 8,97, ხოლო 2007 წელს 38,21, ფორმულის გამოყენებით მივიღებთ

$$Ed = \frac{7500 - 23100}{23100 + 7500} : \frac{38{,}21 - 8{,}97}{8{,}97 + 38{,}21} = -0{,}7$$

**Ed = –0,7** და ჩაის რეალიზაციიდან მოგება იზრდება.

სხვადასხვა საქონელი სხვადასხვაგვარად რეაგირებს ელასტიურობაზე. არაელასტიური მოთხოვნის საქონელს განეკუთვნება პირველადი მოთხოვნილების საქონელი (პური, შაქარი, ელ. ენერგია და ა.შ); საქონელი, რომელთაც არა აქვს შემცვლელი (რძე, მედიკამენტები და ა.შ).

ეფექტიანი სტრატეგიის დამუშავების მიზნით ფერმერის ინტერესებში ედის ინფორმაციის შეგროვება ბაზრის შესახებ, მისი გამოკვლევა, მომზადება, განზოგადება და ამის საფუძველზე საქონლის მიწოდება, აგრეთვე მისი გასაღების ორგანიზაცია. ბაზრის შესახებ შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე ფერმერმა უნდა დაამუშაოს სტრატეგია, მის ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს ძირითადი საქონლის გაყიდვა მომხმარებელზე. ნებისმიერი კონკრეტული სტრატეგიის შერჩევის დროს, იგი იძულებულია დაამუშაოს სპეციალური ფასთა პოლიტიკა, შერჩეული სტრატეგიის შესაბამისად.

ფერმერული მეურნეობა ორიენტაციას ახდენს ბაზრისმოთხოვნილებაზე პროდუქციის გასაღების პირობების მუდმივი შესწავლით, რომელიც საფუძვლად უდევს მისი ძირითადი საქმიანობის ყველა დანაყოფს. ანგარიშგასაწევია ასევე ფასის დადგენა პროდუქციაზე ბაზრის მიმდინარე ფასების დონის მიხედვით, რაც გამოხატავს ფერმერთა წინდახედულობას. ეს მეთოდი გამოიყენება ოლიგოპოლიურ ბაზარზე, სადაც იყიდება ერთი სახის საქონელი. ფერმერები ამ შემთხვევაში გამოდიან კონკურენციის პირობებიდან, ისინი ადგენენ საქონელზე ფასებს შედარებით მაღალი ან დაბალი კონკურენტების ფასის მიმართ, მაგრამ თუ საქონელს გააჩნია რაღაც თვისება, რომელიც განასხვავებს მას კონკურენტების საქონლისაგან, ან მიიღება მყიდველებისაგან როგორც სხვა საქონელი, მასზე ფასი შეიძლება დაწესდეს მოქნილად, კონკურენტების ფასების გაუთვალისწინებლად. ერთი სახის

სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელნი ბაზარზე, როგორც წესი, უთვალთვალებენ კონკურენტების ფასების ცვლილებებს. არაერთსახეობიანი პროდუქციის ბაზარზე მათ აქვთ შესაძლებლობა რეაგირება მოახდინონ ფასების ცვლილებაზე. თუ ფერმერმა გადაწყვიტა, რომ კონკურენტმა შეამჩნია ფასი იმ თვალსაზრისით, რომ ბიძგი მისცეს ფასების შემცირებას და მოთხოვნის საერთო ზრდას ხანგრძლივ პერიოდზე და ვარაუდობს, რომ სხვა კონკურენტები უთვალთვალებენ მას, მაშასადამე, გაიზრდება ბაზრის ტევადობა, ის იძულებული იქნება შეამციროს ფასი. თუ მწარმოებელს შეუძლია კონკურენტების მოქმედებაზე უპასუხოს მარკეტინგული შესაძლებლობით, თავისი საქონლის მხარდაჭერით, ამ შემთხვევაში ფასი არ მცირდება საქონელზე. მწარმოებლებს ბაზარზე შესვლის პერიოდში შეუძლიათ გაყიდონ საქონელი შედარებით დაბალ ფასში, მოთხოვნის სტიმულირების მიზნით, რითაც მიიღწევა: ა) დიდი რაოდენობით პროდუქციის გამოშვება, რაც ამცირებს მის თვითღირებულებას და გასაღების ხარჯებს ერთეულ პროდუქციაზე; ბ) არსებული და პოტენციური კონკურენტების გასწრება.

ფერმერული მეურნეობების წარმატების წინაპირობა ფასწარმოქმნის სწორი პოლიტიკის და სტრატეგიის შემუშავება და განხორციელებაა. ზედმიწევნით უნდა იყოს ათვისებული საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ფასწარმოქმნის მეთოდები და ხერხები.

სრულყოფილი კონკურენციის დროს ერთ-ერთი უმთავრესი დებულებაა ფასების ეგზოგენურობა. თუ ფერმერები გამოიყენებენ მონოპოლიურ ძალაუფლებას და ფასებს უკარნახებენ უფრო მსხვილ კონკურენტებს, მაშინ საბაზრო ფასი გადაიხრება ზღვრული დანახარჯებიდან მაღლა.

ფასების ინდექსის გაანგარიშებისას სამომხმარებლო საქონლის მოცულობის ზომა უნდა შეირჩეს ისე, რომ ტოლი იყოს საბაზისო და საანგარიშო პერიოდისათვის, თანაც თანაბარი უნდა იყოს მომხმარებელთა კეთილდღეობის დონე.

კონკურენტული ფასების დონე წარმოადგენს ორიენტირს მონოპოლიური, მონოფსონური და მსოფლიო ბაზრებზე ფასწარმოქმნისათვის, რამდენადაც ფასების დინამიკა, როგორც სრულყოფილი, ისე არასრულყოფილი კონკურენციისას იქნება ანალოგიური საწარმოო პროცესების მსგავსი ხასიათის პირობებში.

ბოლო პერიოდში ტარიფების ზრდა ელექტროენერგიასა და ბუნებრივ გაზზე, ჯაჭვური რეაქციით იწვევს ფასების მატებას საქონელსა და მომსახურებაზე, რამდენადაც წარმოების ფაქტორთა დანახარჯების გადიდება უცვლელი მოგების პირობებში ფასების ზრდას იწვევს.

სახელმწიფო დახმარება უნდა გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის იმ

დარგებში, რომელთა პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად აჭარბებს მსოფლიო ფასებს. ევროპის ქვეყნები უკვე დიდი ხანია წარმატებით იყენებს ძალზე საინტერესო საგარეო – ეკონომიკურ მოდელს, რომელიც საშუალებას იძლევა ეკონომიკისთვის ზიანის მიყენების გარეშე, მხარი დაუჭიროს შიდა ბაზარზე მასობრივი მოთხოვნის საქონელზე ფასების მაღალ დონეს, და ამავდროულად, წარმატებით ახორციელებს ამ ჯგუფების საქონლის ექსპორტს. აღნიშნული მოდელის არსი შემდეგშია: ქვეყნის საზღვარზე ზოგიერთი საქონლის იმპორტის ჯგუფიდან უნდა ამოვიღოთ საკომპენსაციო მოსაკრებლები. იმპორტირებული საქონლის და საკომპენსაციო მოსაკრებლების ფასების ჯამური თანხა უნდა უტოლდებოდეს შიდა ბაზრის ფასს. ამგვარად, საქონლის შემოტანისას მათი ფასები გაიზრდება შიდა ბაზრის ფასებამდე. თუკი ამ დარგების საწარმოები პროდუქციის ექსპორტს მოახდენენ, მაშინ ისინი ამ ფონდიდან მიიღებენ თანხას, რომელიც ტოლი იქნება შიდა ბაზრის ფასსა და მსოფლიო ფასს შორის სხვაობისა.

საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმი თვალსაჩინოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ რაბის სახით, ოღონდ წყლის მაგივრად აქ აიწ-დაიწევს ფასები. იმპორტის დროს ეს მექანიზმი ზრდის ფასებს მსოფლიოს შიდა ბაზრის ფასებამდე, ხოლო ექსპორტის დროს დაბლა სწევს შიდა ბაზრის ფასიდან.


მაგალითად, დავუშვათ, ხდება მარცვლეულის იმპორტი მსოფლიო ფასით 100 დოლ/ტ, მარცვლეულის ფასი შიდა ბაზარზე შეესაბამება წარმოების მაღალ თვითღირებულებას და ტოლია ვთქვათ 200 დოლ/ტ. ეს გადასახდელი გროვდება სპეციალურ არასაბიუჯეტო ფონდში. თუ ქვეყანაში იწარმოება ხორცი, რომლის შიდა ფასი ტოლია 2000 დოლ/ტ, ხოლო მსოფლიო ფასი 1000 დოლ/ტ, მაშინ ქვეყნის ექსპორტიორები იღებენ ფონდიდან კომპენსაციას ზომით 1000 დოლ/ტ. ამგვარად ხდება ექსპორტის სტიმულირება.

**საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმის სქემა**

ასეთი მექანიზმის წარმატებით მოქმედებისათვის აუცილებელია, რომ საკომპენსაციო მოსაკრებლების თანხა, მიღებული იმპორტიორებისგან, უტოლდებოდეს ფონდიდან გაცემულ თანხას ექსპორტიორებისთვის. საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმის უპირატესობას წარმოადგენს მათი არაჩვეულებრივი მოქნილობა და ფორმალურად აღიარებული შესაბამისობა WT -ს პრინციპებთან.

კერძო მაგალითზე განვიხილოთ 2008 წელს ყურძნის წარმოების და შესყიდვის დარგში მსგავსი მოდელის გამოყენება, სადაც 0,65 ჰა-ზე დაიხარჯა: ვენახის მოხვნა – 65 ლ, გასხვლა, რემონტი, დაკავება – 187 ლ, წალმის გამოტანა – 40 ლ, ფურჩნა, თიბვა – 340 ლ, ექვსჯერ შეწამვლა – 472ლ., კულტივაცია – 50ლ, სხვა დანარჩენი – 20 ლ,

კრეფის ხარჯები 266ლ.. ჩვენი გაანგარიშებით, ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლები ტიპიურია მევენახეობის დარგისათვის ანუ თუ 1 ჰა-ზე მივიღებთ საშუალო მოსავლიანობას 49-60ც-ს, მაშინ 1 ჰა ვენახის მოვლისათვის დაიხარჯება 2215,4 ლ, იმისათვის, რომ მევენახეობის დარგი არ იქნეს განადგურებული და აქ დასაქმებულები არ გადავიდნენ სხვა დარგში, ამისათვის საჭიროა, რომ ფერმერმა თვეში ანაზღაურების სახით იმდენი მაინც მიიღოს, რამდენსაც იღებს ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებული ერთი საშუალო სტატისტიკური მუშაკი, ანუ 368,1 ლ, წელიწადში ეს იქნებოდა 4416 ლ, ასეთი შემოსავლის მისაღებად ფერმერმა 1 კგ ყურძენი მინიმუმ 75 თეთრად მაინც უნდა გაყიდოს, გასულ წელს კი 1 კგ ყურძნის საშუალო სარეალიზაციო ფასი შეადგენდა 47 თეთრს, ანუ ასეთ შემთხვევაში სახელმწიფომ საშუალოდ 25-28 თეთრის დოტაცია მაინც უნდა გასცეს 1 კგ ყურძნის საწარმოებლად.



## აგრარულ პროდუქციაზე ფასების ჩამოყალიბების ანალიზი

დღეისათვის სამომხმარებლო ბაზარზე წარმოდგენილია 90-მდე სასურსათო პროდუქტი, რომელთაგან მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტირებულია, ძირითადად თურქეთიდან და ხარისხით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ადგილობრივს.

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე სასურსათო პროდუქტების ფასები წლების მანძილზე ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მარტო 2008 წლის დასაწყისიდან წლის ბოლომდე კილოგრამი ბრინჯის ფასი 1,60 ლარიდან 2,74 ლარამდე (71,3%) გაიზარდა, მაკარონის და მაკარონის ნაწარმის – 2,59 ლარიდან 3,60 ლარამდე (39,0%), ძროხის ახალი ხორცის – 6,99 დან 7,40 ლარამდე (5,9%), ღორის ახალი ხორცი – 7,00-დან 7,33-მდე (4,7%), სოსისის – 5,67-დან 7,64-მდე (34,7%), გაყინული თევზის –4,64-დან 5,18-მდე (11,6%), ნაღების კარაქის – 6,01-დან 6,61-მდე (9,9%), ვაშლის – 0,91-დან 1,47-მდე (61,5%), მსხლის – 1,21-დან 1,86-მდე (53,7%). ზრდა არ შეჩერებულა 2009 წელსაც. მიმდინარე წელს აპრილისათვის ძროხის ხორცის ფასი გაიზარდა 7,64 ლარამდე, ღორის ხორცის – 11,36 ლარამდე, ცხერის ხორცის – 8,53 ლარამდე, სოსისის – 7,74 ლარამდე. ვაშლის 2,03 ლარამდე, მსხლის – 2,55 ლარამდე. რაც შეეხება ბოსტნეულს აქ წლის სეზონების მიხედვით იწყება მაღალი ფასით, მერე კლებულობს და შემდგომში კვლავ იზრდება. ამასთან წინა წლებთან შედარებით მისი ფასი მაინც მაღალია. რაც შეეხება მსხვილ ქალაქებში სასურსათო პროდუქტების ფასს აქ საშუალოდ შედარებით 5-8 % -ით მაღალია ზოგიერთ პროდუქტზე.

სასურსათო პროდუქტებზე ფასების ცვლილება და განსაკუთრებით მატების მიმართულება, ძირითადად გამოწვეულია იმ მატერიალურ საშუალებათა და ენერგო მატარებლების ფასების ზრდით რომლებიც საჭიროა მოცემული სასურსათო პროდუქტების საწარმოებლად.

ბოლო წლებში პროდუქციის ფასები შემდეგნაირად ყალიბდებოდა:

2007 წელს წინა წელთან შედარებით გაცილებით მაღალი იყო ინფლაცია შემდეგი სახის პროდუქტებზე: ხორბლის ფქვილი 16%, პური – 14,8%, ქველი 14,2%, მზესუმზირის ზეთი 19,7%, ბოსტნეული 23,1%, კარტოფილი 15%.(ცხრილი 5) წინა წელთან შედარებით ფასები მხოლოდ კვერცხზე, შაქარსა და თამბაქოს ნაწარმზე იყო შემცირებული, რაც მეტყველებს ცხოვრების დონის გაძვირებაზე. ცხადია, აღნიშნული გარემოებაც გააძვირებდა პროდუქციას და ნაკლებ მსყიდველობითუნარიანს გახდიდა

ადამიანებს, რომელთა შემოსავლები 2007 წელს წინა წელთან შედარებით 338,7 ლარიდან გაიზარდა 371,8 ლარამდე, ანუ 9,8%-ით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში 1995 წელს იყო 27,1%, 2007 წელს 7,8%.

როგორც 6 ცხრილიდან ჩანს, სეზონების მიხედვით ფასების ცვლილებას საკმაოდ გამოკვეთილი ხასიათი აქვს, კერძოდ, ფასები გაცილებით იზრდება ზამთარსა და გაზაფხულზე, ხოლო ზაფხულში, ანუ მაშინ, როდესაც ადგილობრივ ბაზარზე შემოდის სამამულო წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ფასების დაცემას (დეფლაციას) აქვს ადგილი.

ცხადია, რაც მეტი პროდუქცია შემოვა ბაზარზე, ფასები უფრო ნაკლები იქნება, ამის რეზერვები კი, როგორც საერთო დამუშავებული ფართობების, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდაში უნდა ვეძებოთ. რეზერვები კი ნამდვილად არსებობს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდას გავლენა აქვს ფასების ჩამოყალიბებაზე და ინფლაციის საერთო მაჩვენებელსზე, რაც ჩანს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან (6).

როგორც ჩანს, ქვეყანაში ფასების საერთო დონის ზრდა განსაკუთრებით სასურსაო საქონელზე ფასების ზრდითაა გამოწვეული, რომელთა მატებაც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად აღემატებოდა სასურსათო საქონელზე და მომსახურებაზე ფასების ზრდის ტემპებს. ეს ტენდენცია კიდევ უფრო ღრმავდება და იზრდება ბოლო წლებში. კერძოდ, 2007 წელს არასასურსათო საქონელზე ფასების კლება შეინიშნება, ხოლო სასურსათო საქონელზე და მომსახურებაზე პირიქით, ფასები მკვეთრად გაზრდილია.

საშუალო წლიური სამომხმარებლო ფასების ინდექსები
ძირითად სასურსათო პროდუქტებზე ცრილი 5

| წლები | 1999 | 2002 | 2004 | 2007 |
|---|---|---|---|---|
| ხორბლის ფქვილი | 122,4 | 100,8 | 119,2 | 116,0 |
| პური | 102,5 | 100,0 | 116,6 | 114,8 |
| პური და ბურღულეული | 107,6 | 100,2 | 116,7 | 115,2 |
| საქონლის ხორცი | 115,0 | 114,4 | 103,4 | 100,6 |
| თევზი ცოცხალი | 112,6 | 109,6 | 109,1 | 106,4 |
| თევზი გაყინული | 117.2 | 108,1 | 100,4 | 110,4 |
| თევზის კონსერვი | 133,3 | 98,5 | 102,2 | 103,1 |
| რძე და რძის პროდ. | 106,1 | 104,3 | 108,7 | 113,6 |
| ახალი რძე | 105,2 | 101,5 | 102,8 | 113,6 |
| ყველი | 106,0 | 103,5 | 112,9 | 114,2 |
| კვერცხი | 121,8 | 107,6 | 110,9 | 86,7 |
| კარაქი და ცხიმი | 139,2 | 118,1 | 101,0 | 115,0 |
| ცხოველური კარაქი | 127,2 | 98,5 | 103,3 | 102,0 |
| მზესუმზირის ზეთი | 134,4 | 140,8 | 100,3 | 119,7 |
| ხილი და ბოსტნეული | 128,5 | 116,0 | 102,7 | 123,1 |
| კარტოფილი | 131,5 | 120,7 | 85,9 | 115,9 |
| შაქარი, ყავა ჩაი | 115,1 | 99,1 | 102.0 | 95,0 |
| უალკოჰოლო სასმელები | 122,0 | 106,6 | 100,1 | 100,9 |
| ალკოჰ. სასმელები | 118,7 | 103,9 | 103,3 | 109,9 |
| კვება და სასმელები სახლის გარეთ | 110,6 | 100.7 | 103,7 | 105,6 |
| თამბაქოს ნაწარმი | 157,6 | 99,9 | 111,3 | 90,0 |

სამომხმარებლო ფასების თვიური ინდექსები

ცხრილი 6

| | 2002 | 2005 | 2007 |
|---|---|---|---|
| იანვარი | 102,0 | 102,1 | 102,7 |
| თებერვალი | 101,2 | 100,3 | 100,7 |
| მარტი | 100,4 | 10,6 | 98,9 |
| აპრილი | 101,8 | 10,4 | 100,3 |
| მაისი | 100,0 | 98,7 | 101,6 |
| ივნისი | 97,7 | 98,6 | 99,8 |
| ივლისი | 98,9 | 98,1 | 100,1 |
| აგვისტო | 99,9 | 100,6 | 10,6 |
| სექტემბერი | 100,4 | 101,9 | 101,2 |
| ოქტომბერი | 100,4 | 101,7 | 102,8 |
| ნოემბერი | 101,1 | 101,4 | 101,4 |
| დეკემბერი | 101,7 | 101,8 | 100,3 |

სასურსათო საქონლის ფასების ინდექსი გამსხვილებული ჯგუფების მიხედვით
(დეკემბერი, წინა წლის დეკემბერთან)

ცხრილი 7

| წელი | არასასურსათო საქონელი | სასურსათო ნაქონელი | მომსახურება |
|---|---|---|---|
| 2001 | 100,6 | 103,7 | 105,2 |
| 2002 | 100,1 | 108,1 | 102,9 |
| 2003 | 105,1 | 109,4 | 99,9 |
| 2004 | 103,2 | 113,6 | 100,1 |
| 2005 | 103,6 | 108,3 | 104,3 |
| 2006 | 108,7 | 109,3 | 106,9 |
| 2007 | 107,2 | 112,0 | 113,1 |

სასურსათო პროდუქტების საშუალო წლიური ფასი (ლარად ერთეული)

| | 1999 | 2007 | % 1999 წ-თან |
|---|---|---|---|
| ძროხის ხორცი | 3,89 | 6,82 | 175.3 |
| ღორის ხორცი | 3,81 | 6,60 | 173,2 |
| ქათმის ხორცი | 4,63 | 6,59 | 142,3 |
| ძეხვი მოხარშული | 5,16 | 5,59 | 108.3 |
| თევზი გაყინული | 2,75 | 4,59 | 166.9 |
| თევზის კონსერვი. 0,3 კგ | 1,11 | 1,16 | 104,5 |
| მზესუმზირის ზეთი, 1 ლ | 2,36 | 2,90 | 122,8 |
| ახალი რძე, 1 ლ | 0,95 | 1,40 | 147,2 |
| ყველი იმერული | 3,26 | 5,25 | 161,1 |
| კვერცხი, 10 ცალი | 1,51 | 2,49 | 164,9 |
| შაქარი | 0,84 | 1,24 | 147,6 |
| ჩაი | 8,17 | 38,21 | 467,7 |
| ხორბლის ფქვილი | 0,81 | 1,17 | 144,4 |
| პური, I ხარისხ. ფქვილ. | 0,61 | 1,09 | 178.6 |
| ბრინჯი | 1,37 | 2,28 | 166,4 |
| მაკარონი | 0,55 | 0,89 | 161,8 |
| კარტოფილი | 0,43 | 0,61 | 141,8 |
| კომბოსტო | 0,49 | 0,94 | 191,8 |
| ხახვი | 1,16 | 1,82 | 156,8 |
| ვაშლი | 1,89 | 3,15 | 166.6 |

2007 წელს, 1999 წელთან შედარებით კატასტროფულად გაიზარდა ყველა სასურსათო პროდუქციის საშუალო წლიური ფასი. ძროხის ხორცი 175,3%, ღორის ხორცი 173,2, ქათმის ხორცი 142,3, თევზი გაყინული 166,9, კვერცხი 164,9, ჩაი 467,7, პური, I ხარისხის ფქვილისგან 178,6, მაკარონი 166,4, კარტოფილი 161,8, ხახვი 191,8, ხმელი ლობიო 166,6% და ა.შ.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფასების და ინფლაციის ზრდას სეზონურობის გარდა ახასიათებს ზონალური ხასიათი, რაც აღნიშნულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

სამომხმარებლო ფასების წლიური ინდექსები ქალაქების მიხედვით

ცხრილი 9

| წლები | საქართველო | თბილისი | ქუთაისი | ბათუმი | გორი | თელავი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1997 | 107,3 | 107,1 | 109,6 | 102,2 | 112,4 | 104,6 |
| 2004 | 107,5 | 107,4 | 105,5 | 109,9 | 108,1 | 110,1 |
| 2007 | 111,0 | 111,5 | 111,5 | 107,5 | 110,6 | 109,3 |

საანალიზო პერიოდში ქვეყნის რეგიონების მიხედვით ინფლაციის მაჩვენებელი სრულიად განსხვავებული იყო. კერძოდ, შედარებით მაღალი იყო ინფლაციის ზრდის ტემპი 2007 წელს თბილისში და ქუთაისში, ხოლო შედარებით დაბალი – ბათუმსა და თელავში.

## ფასების რეგულირება

სასოფლო-სამეურნეო წარმოება თავისი სპეციფიკურობის გამო ხშირად საჭიროებს დახმარებას სახელმწიფოს მხრიდან, რაც მოიცავს პირდაპირ სუბსიდიებს, ფასების რეგულირებას, დაზღვევას და დაკრედიტებას, პროტექციონისტულ პოლიტიკას ზოგიერთ პროდუქციაზე, კვოტირებას და ა.შ.

ფასების რეგულირების მიზნით მიზანშეწონილია სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე გლეხს ჰქონდეს გარანტირებული ფასი, რომელიც შეიძლება სახელმწიფომ დაუდგინოს მათ წლის დასაწყისში, როგორც სასტარტო ფასი, თუმცა ინფლაციისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით გამორიცხული არ არის, რომ მოხდეს მისი კორექტირება გაზრდის ან შემცირების მიმართულებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების რეგულირება შესაძლებელია მოხდეს ასევე დოტაციისა და კომპენსაციის გზითაც. საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშავოს იმ პრიორიტეტული პროდუქციის ჩამონათვალი, რომელზედაც შესაძლოა გაცემული იქნეს ისინი. სახელმწიფოს მხრიდან

ასეთი მექანიზმების ამოქმედების დროს განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ფასების პარიტეტს, უპირველეს ყოვლისა, ამ დარგის. ქვედარგების — მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების ფასებს შორის, ხოლო შემდგომ თავად ქვედარგების ძირითად პროდუქტებს შორის. კერძოდ, მარეგულირებელი ფასთა სისტემის დამუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ცალკეული სახის პროდუქტებსა და მთლიანად აგრარული სფეროს ფასების თანაფარდობის სრულყოფაზე, რადგან ეს პროცესი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივ სტრუქტურასა და სურსათმწარმოებელთა შემოსავლიანობას. ფასები ჯერ უნდა დარეგულირდეს მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგების პროდუქტებს შორის. ამას გვასწავლის მსოფლიო მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაც, სადაც იკვლევენ მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების ფასების შეფარდებას და ოპტიმალურად მიჩნეულია: ხორბალი საქონლის ხორცის მიმართ 1:10, ღორის ხორცის მიმართ 1:9, ფრინველის ხორცის მიმართ 1:8, რძის მიმართ 1:2, კვერცხში 1:0,6 და ა.შ. საქართველოში ეს თანაფარდობა ასე გამოიყურება: ხორბალი საქონლის ხორცში 1:25, ფრინველის ხორცში 1:20, რძეში 1:4, კვერცხში თითქმის 1:1 და ა.შ. როგორც მონაცემებიდან ჩანს, თითქმის ყველა პოზიციაში აჭარბებს ხორბლის ფასს. ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში ფასების პარიტეტი დარღვეულია ხორბლის მწარმოებელთა საზიანოდ. ცხადია, გარკვეულწილად იმითაც არის გამოწვეული ეს გარემოება, რომ მცირდება ხორბლით დაკავებულ ფართობთა ხვედრითი წილი. ამ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზაა ქვეყნის ხელისუფლებამ შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით, დაარეგულიროს ხორბლისა და პურ-პროდუქტების ფასები იმპორტული უხარისხო პროდუქციის შეზღუდვით. აგრარულ სექტორში ჩარევის ასეთი მაგალითებს ადგილი აქვს ამერიკის და ევროპის ქვეყნებში.

აშშ-ში 1973 წლიდან ფერმერებმა სახელმწიფოდან დაიწყეს საშემოსავლო დახმარების მიღება „დანაკლისის" გადასახადების სახით. ეს არის ის გადასახადები, რომლითაც სახელმწიფო აუნაზღაურებს ფერმერებს განსხვავებას მათ მიერ მიღებულ საბაზრო ფასებსა და დადგენილ სასურველ ფასს შორის. ამ პროგრამაში მონაწილეობისთვის ფერმერმა უნდა დაასვენოს თავისი მიწის გარკვეული ნაწილი.

აღნიშნული პროგრამა შეეხება მხოლოდ ისეთ ძირითად პროდუქციას, როგორიცაა მარცვლეული, ბრინჯი და ბამბა. ბევრი სხვა პროდუქციის სუბსიდირება ხდებოდა ფედერალური მთავრობის მიერ. ზოგიერთი პროდუქტისათვის, როგორიცაა ლიმონი და ფორთოხალი, შემოღებულია აშკარა საეაჭრო შეზღუდვები. ე.წ. „გასაღების შეზღუდვების" თანახმად მოსავლის რაოდენობა, რომელიც შეიძლება გაყიდოს ფერმერმა როგორც ახალი,

შეზღუდულია კვირიდან კვირამდე. „გასაღების შეზღუდვის" მეშვეობით ეს დადგენილებები ზრდიან ფასებს, რომლებიც შეიძლება მიიღონ ფერმერებმა.

ამ მიზნით საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობის სურსათით მომარაგებისათვის სახელმწიფომ უნდა შექმნას მარაგები, საიდანაც მოუსაელიანობის პერიოდში გაყიდის და მოსავლიანობის დროს შეისყიდის გარკვეული სახის პროდუქციას. მსგავსი პრაქტიკა დანერგილია რუსეთში, სადაც ასეთ მარაგებს „საინტერვენციო" მარაგებს უწოდებენ. მაგალითად, 2007 წელს ამ მარაგებიდან რუსეთში გაიყიდა მილიონ ნახევარი ტონა ასეთი ხორბალი, რაც გამოწვეული იყო ხორბლისა და ხორბლის პროდუქტებზე ფასების მოსალოდნელი ზრდით; შედეგმაც არ დააყოვნა და ხელისუფლების ამ ნაბიჯის გამო ფასები ჯერ დასტაბილურდა, შემდეგ დაქვეითება დაიწყო. აუცილებელია ჩვენც გამოვიყენოთ უკვე აპრო-ბირებული, აღნიშნული სისტემა.

სახელმწიფო ხშირად მიმართავს ასევე სუბსიდიების გაცემას ფერმერებისათვის, იმ დანახარჯების ასანაზღაურებლად, რომელსაც ეს უკანასკნელნი გაიღებენ კრედიტის პროცენტის გადასახდელად, რომელიც მათ აიღეს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შესაძენად.

სასურველია ასეთმა სუბსიდიამ მიაღწიოს ცენტრალური ბანკის რეფინანსირების განაკვეთის 90%-ს.

ფასებზე ზემოქმედებს ასევე ჯარიმები გადაუხდელ სესხებზე, რაც ჩვენი აზრით სახელმწიფოს მიერ ზოგ შემთხვევაში ჩამოწერილი (გვალვა, სეტყვა, ქარები და სხვა) უნდა იყოს (სახელმწიფო სუბსიდირებით) ან რესტრუქტურიზებული.

ამგვარ სუბსიდიებს დასავლეთის ქვეყნებში ძირითადად ფედერალური ბიუჯეტები გაიღებენ. კერძოდ სოფლის მეურნეობის მთლიან სესხებში რეგიონული ბიუჯეტის ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის დახმარებისათვის 30%-ს შეადგენს რუსეთში, კანადაში 50-%, გერმანიასა და აშშ-ში 90%..

სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს ფასების 20-40%. ეს შეეხება უმთავრესად პირველადი აუცილებელობის სოციალური მნიშვნელობის პროდუქტებს. ფასები უნდა დარეგულირდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, ენე-რგომატარებლებზე, საკონსტრუქციო მასალებზე, ლითონზე, სატრანსპორტო ტარიფებზე, რომლებიც გამოდის, როგორც დანახარჯების წარმომქმნელი ყველა სხვა საქონლის წარმოებისას. ამით სახელმწიფოს შესაძლებლობა ექნება გარკვეულად აკონტროლოს ფასები დანარჩენ პროდუქციაზე.

ფასები შემოსავლების გადანაწილების მძლავრი ბერკეტია. ამიტომ, ვიდრე იგი გარკვეული სახის პროდუქციაზე თავისუფალი რჩება, ხალხთა მასების გალატაკება და ქონებრივი პოლარიზაცია გაგრძელდება. ამიტომ ზო-

გიერთი სახის საქონელის ფასებზე კონტროლი აუცილებელია როგორც ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის, ისე შემოსავლების გადანაწილებისათვის.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კრედიტი სოფლის მეურნეობაში გამოიყენება როგორც საწარმოო დანახარჯების, ასევე ძირითადი ფონდების ცვეთის ხარჯების დასაფარავად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მიღებული კრედიტის მიზნობრივ გამოყენებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე გარანტირებული ფასების დარეგულირება კრედიტების საშუალებით უნდა მოხდეს. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტით სარგებლობისას საბაზრო ფასები მაღალი არ არის, ფერმერებმა სახელმწიფოს უნდა გადასცენ პროდუქტები სესხის დაფარვისათვის. ეს ფორმა მანამდე შეიძლება გამოიყენოს ფერმერმა, სანამ საბაზრო ფასები გარანტირებულზე ზემოთ არ აიწევს.

ფერმერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სტიმულირების პროგრამებს, რაც საკმაოდ ეფექტიანია ფასწარმოქმნის რეგულირებისას.

სოფლის მეურნეობის დაფინანსებას განსაკუთრებით ფართო მასშტაბები აქვს მიღებული ევროკავშირის ქვეყნებში. კერძოდ, ბოლო ხანებში თუ ევროკავშირის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 100 მლრდ ევროს, აქედან კავშირის აგრარული ბიუჯეტი 50 მლრდ, ანუ თითქმის ნახევარი იყო. 2005 წელს ევროკავშირის 10 ახალი წევრის (პოლონეთი, უნგრეთი და ა.შ.) ფერმერების ფინანსური დახმარებისათვის მილიარდ ნახევარი ევრო გამოყო.

საშინაო ბაზრის დაუცველობამ, თუნდაც ელემენტალურად, უცხოური არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან უკვე მიგვიყვანა სამამულო ბაზრის დაკარგვასთან, რომლის დაბრუნებისათვის საჭიროა დიდი დამატებითი ხარჯები, რისი გაღებაც ფერმერებს არ ძალუძთ. ამიტომ, ფერმერული მეურნეობები უნდა დავიცვათ დამლუპველი უცხოური კონკურენციისაგან. უნდა გადაწყდეს საკითხი ღია ეკონომიკისა და ეკონომიკური უსაფრთხოების შეხამების შესახებ. ღია ეკონომიკის პირობებშიც აუცილებელია ეროვნული ინტერესების დაცვა. კონტროლი იმიტომაცაა საჭირო, რომ ქვეყანაში არ შემოვიდეს უხარისხო პროდუქცია. ამასთან ერთად, უნდა შევისწავლოთ მოსალოდნელი ცვლილებები მსოფლიო ვაჭრობის კონიუნქტურაში, რაც შეიძლება ნეგატიურად აისახოს ჩვენს ეკონომიკაზე, რათა დროულად იქნეს მიღებული შესაბამისი ზომები.

მისწრაფება ღია ეკონომიკისაკენ, შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა გამოყენებისაკენ უმნიშვნელოვანესია, მაგრამ, თუ უცხოური საქონელი ჯაბნის საკუთარს და ამარცხებს კონკურენციულ ბრძოლაში, საჭიროა სამამულო მწარმოებლის დაცვა. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ტარიფული პროტექციონიზმი, სავალუტო პოლიტიკა, საბაჟო გადასახადი, სატარიფო ბარიერები (ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ბაჟი, კვოტები, სახელშეკრულებო შეზღუდვები, მოთხოვნები იმპორტული საქონლისადმი და

სხვა). ბაზარი უნდა უზრუნველვყოთ სამამულო მწარმოებლებისათვის და შევინარჩუნოთ საკმაოდ ქმედითი კონკურენტული გარემო. ეკონომიკურმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს საშინაო ბაზრის გაფართოებას საოჯახო და საინვესტიციო მოთხოვნის გადიდებით, სახელმწიფო ხარჯებით წარმოების მხარდაჭერაზე.

გადაბდისუნარიანი მოთხოვნის ხელოვნურმა შემცირებამ საქონელწარმოების მკვეთრი დაცემის პირობებშიც კი გამოიწვია ბაზრის გაჯერება და ცხადია, ფასების ზრდის შენელება; ასე, რომ, ბაზრის დღევანდელი გაჯერება „მიღწეულია" ბაზრისაგან მომხმარებელთა უზარმაზარი მასის ჩამოშორებით.

აუცილებელია ფასებისა და საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის მჭიდრო ურთიერთკავშირი, რამდენადაც მათ შერწყმას შეუძლია უზრუნველყოს ფერმერული მეურნეობების ნორმალურად ფუნქციონირებისათვის სათანადო შემოსავალი.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში აგრარულ სექტორში ფასწარმოქმნა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული მეურნეობის ყველა ეკონომიკურ სისტემასთან. ფასწარმოქმნის მექანიზმი უნდა ემყარებოდეს შემდეგს:

— თავისუფალ ფასებსა და სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების შეთანაწყობა;

— ნორმატიული მეთოდებით ფასების გაანგარიშება;

— ფერმერების შემოსავლის უზრუნველყოფა;

— სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებით საქონელწარმოების ეფექტიანობის ზრდა და მიმოქცევის ხარჯების შემცირება;

— საფინანსო-საკრედიტო სისტემასთან ურთიერთკავშირის ოპტიმიზაცია.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების დადგენას, გასათვალისწინებელია შემდეგი პირობები:

— საზოგადოებისათვის აუცილებელი პროდუქციის მოცულობა და მისი ასორტიმენტი;

— დაგროვებასა და მოხმარებას შორის ოპტიმალური პროპორცია;

— არსებული რესურსების ფარგლებში წარმოების ეფექტიანობის მაქსიმალურად უზრუნველყოფა.

გამოცდილება ცხადყოფს, რომ რაც უფრო სწორად დავარეგულირებთ ფასებს წარმოების სტადიაზე, მით უფრო რეალურად განისაზღვრება პროდუქციის თვითღირებულება და ფასები უფრო რეალურად ასახავს კვლავწარმოების პროცესს.

იმ სამრეწველო საშუალებების ფასების განსაზღვრისას, რომლებიც წარმოებულია სოფლისათვის, არ უნდა ვიყენებდეთ შეზღუდვას. პირველ

რიგში უნდა შეკაჩეროთ მისი ზრდა, ხოლო შემდეგ თანდათანობით გადავიდეთ თავისუფალ ფასებზე, ამისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ სხვადასხვა მიდგომა. ერთ-ერთი მათგანია ის, რომ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ძირითად სახეობებზე შემოვიღოთ სახელმწიფო რეგულირება, ნაწილობრივ კი ზღვრული ფასები ენერგომატარებლებზე, უმეტესად კი – სამრეწველო დანიშნულების იმ საქონელზე, რომელსაც საჭიროებს აგრარული სექტორი. აუცილებელია ასეთი ფასების ინდექსირება ინფლაციის გათვალისწინებით. ასევე, ზღვრული ფასების შემოღების დროს უნდა დავაწესოთ ეკონომიკური სანქციები გადაჭარბების ან სტიმულირების დონის შემცირებისათვის.

ფასების სტაბილიზაცია და მისი შემცირება შესაძლებელია დასაქმებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის კვალობაზე.

ფასებსა და ფასწარმოქმნის სტრატეგიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბაზარზე ფერმერის საქმიანობის წარმატებისათვის.

ქვეყანაში ფასების, ფასწარმოქმნის და მისი რეგულირების მიზნით საჭიროა ფინანსთა სამინისტროში ფუნქციონირებდეს სტრუქტურული ერთეული, რომელიც პერიოდულად გაანალიზებსსამომხმარებლო ბაზარზე მომქმედ ფასებს, ამასთან მისი ძირითადი ფუნქცია იქნება ფასების რეგულირების რეკომენდაციების და ნორმატიული აქტების მომზადება.

მიუხედავად იმისა, რომ ფასი კომპლექსური საბაზრო კვლევის მნიშვნელოვანი ელემენტია, იგი მიეკუთვნება ძირითადი მაჩვენებლების ფაქტორთა საკონტროლო ჯგუფს, რომელიც განსაზღვრავს მოგებას. ტრადიციულად ფასთა სტრატეგია ცუდად ვითარდება საქართველოს ბიზნესში და მათ შორის აგრარულ სექტორში, კერძოდ უმეტესწილად ფასების დადგენა ხორციელდება დანახარჯების სტრუქტურის ადეკვატური აღრიცხვის გაუთვალისწინებლად (ამაზე თუნდაც ზემოთ მოყვანილი ყურძნის თვითღირებულების გაანგარიშებაც მოწმობს). გარდა ამისა, დამუშავებული ფასთა სტრატეგია შეუსაბამობაშია მათ საერთო სტრატეგიასთან, კერძოდ, არასაკმარისად არის გამოყენებული ისეთი ძლიერი ფაქტორი, როგორიც არის ფასი ბაზრის რეგულირებაში.

# თავი IV

## 4.1. აგრარული სექტორის რაიონული და სახელმწიფოებრივი დონის მენეჯმენტის სტრატეგიულ-პროგრამული მოდელები და მისი გამოყენების რეკომენდაციები

### შესავალი

ეკონომიკის, კერძოდ სოფლის მეურნეობის რეგულირებასა და მართვაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და მმართველობით ურთიერთობებს. ნებისმიერი ერთობლივი საქმიანობა საჭიროებს მის ორგანიზაციის ე.ი. ცალკეული რგოლების, სტრუქტურების ფუნქციონირებისის შეთანხმებას და მათ შორის მყარი კავშირების დამყარებას. ორგანიზაციული ურთიერთობანი ასახავს და ამავე დროს განაპირობებს ცალკეული რგოლის და თითოეული მუშაკის ადგილს, ფუნქციას, პასუხისმგებლობას და უფლებებს, აგრეთვე კონკრეტულ ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და მმართველობით კავშირებს.

ამასთან, ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დარგთაშორისი კავშირების გაფართოებას, დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების შეხამებას. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. კერძოდ, მართვა მხოლოდ დარგობრივი პოზიციებიდან წარმოშობს უწყებრივ ტენდენციებს, ხოლო რეგიონული ინტერესების აშკარა უპირატესობის მინიჭებამ შეიძლება გაუმართლებელი კუთხურობა და კარჩაკეტილობა გამოიწვიოს. ამიტომ, ამ ორი პრინციპის შეხამება-შეთანაწყობა უმნიშვნელოვანესი პროცესია.

სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის დაჩქარებასა და მისი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონების სწორ მენეჯმენტს, რომლის არსი რაიონების სწორ ორანიზაციაში მდგომარეობს, რაც გულისხმობს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას, მრავალფეროვანი ასორტიმენტის, რაოდენობის, ხარისხისა და ფასის გათვალისწინებით, ამავე დროს, ის უნდა პასუხობდეს საზოგადოების ყველა ფენის სასიცოცხლო ინტერესებს, რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის აგრარულ-სამრეწველო პოტენციალის სრული და რაციონალური გამოყენება, გარდა ამისა აუცილებელია მოსახლეობის დასაქმება და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის მყარი პოზიციების მოპოვება და საერთო შემოსავლების ზრდა.

ამ ეტაპზე ეკონომიკური, სოციალური და სოფლის მეურნეობის მოწყობის პრინციპების ძირეული შესწავლა და ამის საფუძველზე შედგენილი ობექტური რეკომენდაციების დანერგვა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღმავლობის ძირითად მიმართულებას. ამიტომ, მოშავლის ასპექტების განსაზღვრისას, უნდა გავითვალისწინოთ, ადგილობრივი ბუნებერივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება, რადგან ამ ფაქტორების გამო, ხშირ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული (რეგიონული) დაყოფის პრინციპები შეუსაბამოა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის. ამავე დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ პრობლემის რეგიონულ და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის ზონალურ ჭრილში გაანალიზებას და განზოგადებას.

## 1. აგრარული სექტორის რაიონული დონის მენეჯმენტის პოზიციებიდან.

რაიონის განვითარებას განაპირობებს ძლიერი სოფლის არსებობა, რაც ჩვენ დღესდღეობით არ მოგვეპოვება ამისათვის აუცილებელია შეკიმუშაოთ სოფლის განახლების გეგმა.

რაიონის განახლების გეგმა უნდა ეფუძნებოდეს სოფლად საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ადგილობრივ მცხოვრებთა აქტიურობასა და მიმდინარე მოვლენებზე პასუხისმგებლობის ზრდას. რაიონის განვითარების პროგრამის ამოცანაა: შესაბამისი პირობების შექმნით სოფელი გახდეს მიმზიდველი, როგორც სამოღვაწეოდ, ასევე საცხოვრებლად, ამასთანავე, სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიზანია სოფელს შეუნარჩუნდეს იდენტურობა, ცხოვრების სტილი, კულტურული სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობა.

რაიონის განვითარებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. რის გამოც, ჩვენი ქვეყნის პირობებში რაიონულ განვითარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა განსაკუთრებით დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს, რადგან ხშირ შემთხვევაში მიწის ხარისხზე, კლი-მატზე და ბუნებრივ პირობებზე დამოკიდებულებისას, მეურნეობის ერთნაირ პირობებში იხარჯება სხვადასხვა მოცულობის შრომა და ღებულობენ ერთნაირი რაოდენობის პროდუქციას. ამიტომ, სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა უნდა წარიმართოს სხვადასხვა ბუნებრივი ფაქტორის ხანგრძლივი დროის დაკვირვების ანალიზის საფუძველზე.

დღეს, სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის არსებული

დონე ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, რაც გაპირობებულია, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზებით.

სუბიექტური მიზეზებიდან მთავარია ის, რომ ძალზე დაბალია ტექნოლოგიური დისციპლინა, უხეშად ირღვევა ნიადაგის დამუშავებისა და თესვის ვადები, ტექნოლოგიის შესაბამისად, არ ტარდება სასუქების, შხამქიმიკატების გამოყენება, ნაკლები ყურადღება ექცევა მიწების რაციონალურად ათვისებას, შუალედური კულტურების თესვა-მოყვანას. ზოგიერთ რაიონში მცირე ფართობზე ითესება მრავალწლიანი ბალახები, მაგრამ თითქმის ყოველთვის სუფთა სახით, რის გამოც, ვერ ხერხდება ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება. მთლიანად უგულებელყოფილია თესლბრუნვები და კულტურათა მარტივი მორიგეობა.

არსებული მიზეზებიდან უნდა აღინიშნოს აგრეთვე, ისიც, რომ:

დაბლობ რაიონებში ეწერი ნიადაგების არსებობის გამო დაბალია მარცვლეულის მოსავლიანობა, ამისათვის საჭიროა სპეციალური წყალდამშრობი არხების გაყვანა, რათა გაიზარდოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სვარგულთა ფართობები.

შეიმჩნევა მიწის დასამუშავებლად და მოსავლის აღებისათვის საჭირო აუცილებელი ტექნიკის ნაკლებობა.

სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის შემუშავებამ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა სისტემაში ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს. ის უნდა გახდეს მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებების გათვალისწინებით მეურნეობათა სხვადასხვა პროგრესული ფორმების ეტაპობრივი განვითარების საფუძველი.

აუცილებელია მართვის ყველა დონეზე შეიქმნას ისეთი სტრუქტურები რომლებიც უზრუნველყოფენ საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობას, აგრარული ბაზრის მონაწილე ყველა სუბიექტის ინტერესების სამართლიან დაცვასა და ეკონომიკურ სტაბილურობას.

**ჩვენის აგრარული პოლიტიკიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელია:**

1. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული მიმართულების სრულყოფა.

ა) დარგის ოპტიმალური მიმართულების განსაზღვრა;

ბ) პროტექციონისტული მიდგომის შესაბამისობაში მოყვანა;

გ) „თავისუფალი ვაჭრობის“ შესაბამისობაში მოყვანა;

დ) კომპლექსური მიმართულებების განსაძღვრა, რომელიც დააბალანსებს მეურნეობაში მიზნობრივ ბაზარზე ორიენტაციასა და ვაჭრობის ლიბერალურ რეჟიმს.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ეტაპზე ლიბერალური სავაჭრო არჩევანი სახიფათოა, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია იმპორტის გონივრული რეგულირება და შიდა სასურსათო ბაზარზე საკუთარი ნაწარმის თანდათანობითი ზრდის კვალობაზე რიგი სოფლის მეურნეობის პროდუქტების (მარცვლეულის, ხილ-ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების და ა.შ.) ექსპორტის მნიშვნელოვანი გადიდება.

ამისათვის აუცილებელია სახელმწიფომ გამონახოს საკმარისი რესურები და ორიენტაცია აიღოს ინვესტიციებზე.

2. სოფლის მეურნეობის წინაშე წამოჭრილი ეკონომიკური პრობლემების დაძლევის გზების შემუშავება.

3. აგრარული სექტორის შემადგენელი სფეროების, სამეურნეო კავშირების სრულყოფა.

ჩვენთან, ორგანიზაციული სტრუქტურა დღეს მაორიენტირებელი სახითაც კი არ არის ფორმირებული. ამიტომ, აგრარულ სფეროში მომხდარი ცვლილებების საფუძველზე, შეიმუშავეთ აგრარული სექტორის რეგიონული მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა (იხ.სქემა), სადაც გათვალისწინებულია მმართველობითი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებისა და მომსახურეობის სფეროების საქმინობის კოორდინირება. დარგებს შორის პარტნიორული თანამშრომლობა და ინტერესთა შეთანაწყობა, შესაბამისად სქემა დაყოფილია ოთხ სეგმენტად: სოფლის მეურნეობის სამმართველოები; სასოფლო-სამეურნო საწარმოები; გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოები და მომსახურეობის საწარმოები.

თითოეული სეგმენტი მოიცავს:

I. პირველი რგოლი—სოფლის მეურნეობის სამმართველოები უნდა ჩამოყალიბდეს რაიონებში, რომელსაც კურირებას გაუწევს რეგიონული სამმართველო. ასეთი მიდგომა ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პირობების შესწავლისა და მათი ადვილად გადაჭრის ხელსაყრელ საშუალებას იძლევა;


II. სასოფლო-სამურნეო საწარმოების სეგმენტი, რომელშიც გაერთიანებულია ოჯახური მეურნეობები, ფერმერული მეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და სხვა მეურნეობები;

III. მესამე რგოლი მოიცავს გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებს, რომელშიც შედის წისქვილკომბინატები, ჩაის ფაბრიკები, საკონდიტრო ქარხნები და სხვა;

IV. მომსახურე საწარმოები, რომელშიც შედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურების საწარმოები, ვეტერინალური სამსახურები და სხვა.

ასეთი სისტემა უზრუნველყოფს აგრარული სფეროებისა და დარგების საბაზრო ურთიერთობებზე თანმიმდევრულ და კომპლექსურ გადასვლას.

აგრარული სექტორის რაიონული დონის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა




4. გასათვალისწინებელია, რომ აგრარული სექტორის რეგიონული მართვის ორგანიზაციული სტრუქტრა იმ შემთხვევაში შეასრულებს სახელმწიფოებრივი რეგულირების ფუნქციას, თუ მოხდება შესაბამისი მართვის ეკონომიკური მექანიზმების სტრუქტურების ფორმირება და ფუნქციონირება (იხ. სქემა 3). აგრარული სექტორის მართვის სტრუქტურის სქემის საფუძვლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შემდეგი პრინციპები: ა) სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლობა; ბ) სამეურნეო საქმიანობის კოორდინაცია (პროპორციულობა); გ) მოტივაცია; დ) სამეურნეო საქმიანობის საერთო მიზანზე, მოგებაზე ორიენტაცია; ე) პროგნოზირება (დაბალანსებული განვითარება); ვ) სამეურნეო საქმიანობის რეგულირება; ზ) ტერიტორიული და დარგობრივი მართვა.

აღნიშნული მექანიზმით წარმოდგენილი სტრუქტურა საშუალებას მოგვცემს ჩამოვა-ყალიბოთ საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი სამსახურები, რაც ორგანიზციული სტრუქტურის საშუალებით საწარმოებსა და ორგანიზაციებს ეკონომიკური, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ინტერესებით გააერთი-

ანებს, მართვის ერთი სისტემის მექანიზმად. ამით აგრარულ სექტორში შესაძლებელი გახდება კოორდინირებული ეკონომიკური პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავება.

5. საადგილმამულო ურთიერთობის შემდგომი განვითარება და სრულყოფა. კვლავაც უნდა გაგრძელდეს საადგილმამულო ურთიერთობების მოწესრიგების პროცესი, ამავე დროს, უნდა უზრუნველყოთ მიწის გამოყენების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება და მისი რაციონალურ გამოყენებაზე შესაბამისი კონსულტაციების გაწევა.

6. ფერმერული მეურნეობების დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა. საბაზრო ეკონომიკასა და მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ინტერესიბადნ გამომდინარე;

7. დასაბუთებული დარგობრივი სტრუქტურიდან პრიორიტეტის გამოყოფა, მასზე სახელმწიფოს, მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების შემუშავება და სისრულეში მოყვანა, მატერიალური, ფინანსური დახმარება და მორალური მხარდაჭერის გაწევა.

უახლოესი წლების მანძილზე სურსათის წარმოების ხაზით პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ადგილობრივი სურსათით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონის მკვეთრ ამაღლებას.

8. მეურნეობების ფორმირებისა და შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის აუცილებელია თანაბარი სამერუნეო ორგანიზაციული და ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა, ადგილობრივი პირობებისა და სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, სახელმწიფოს ეკონომიკური მხარდაჭერა.

9. სოფლის სოციალური განვითარების ინტერესებისადმი მუდმივი ყურადღების მიქცევა.

<u>რაიონული დონის მენეჯმენტი შეიძლება მარტივად ასე გამოისახოს;</u>

**სოფლის განვითარება=ადგილობრივი მოსახლეობის პასუხისმგებლობით გაჯერებული ინიციატივა+ ადგილობრივი რესურსები=სახელმწიფო მხარდაჭერა.**

უპირველესად უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ, შეუძლებელია დღეს სოფლებში არსებული კრიზისის დაძლევა ადგილობრივი მისახლეობის აქტიური მონაწილეობის გარეშე. რაიონის გამგეობამ რეალიზაცია უნდა გაუკეთოს საკუთარ პროექტებს და თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ მომავალზე. რაიონული განვითარება, პარტნიორობისა და სოლიდარობის პრინციპებიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია გარედან დახმარების გარეშე.

**პროგრამის ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს თავისი ფუნქცია**

1. **ფერმერები:**

– ირჩევენ ლიდერს ან ლიდერთა ჯგუფს (სოფლის განახლების ჯგუფი);
– შეიმუშავებენ სოფლის განვითარების გეგმას მცირე სტრატეგია;
– განსაზღვრავენ პრიორიტეტულ მიმართულებებს;
– ინიციატივებს რეალიზაციის მიმართულებით თანამშრომლობენ რაიონის ხელმძღვანელებთან (რაიონის გამგეობა ამტკიცებს განვითარების გეგმას);
– მონაწილეობენ ინიციატივების რეალიზაციაში,
საორგანიზაციო, ფინანსური, მატერიალური და ფიზიკური რესურსებით.

2. **რაიონი:**

– კოორდინაციას უწევს პროგრამის რეალიზაციას საკუთარ ტერიტორიაზე;
– მხარს უჭერს სოფლის ლიდერს;
– ამტკიცებს განვითარების პროგრამას და გამოყოფს ფინანსებს ინიციატივების თანადაფინანსებისათვის;
– აწარმოებს დაგეგმილი ინიციატივების ტექნიკურ დამუშავებას და პასუხს აგებს პროექტის ფინანსურ კანონზომიერებაზე;

3. **საშხარეო თვითმმართველობა:**

– ანხორციელებს პროგრამის კოორდინაციას გუბერნიის დონეზე;
– განიხილავს და ამტკიცებს თანადაფინანსების განაცხადებს, გამოყოფს და აკონტროლებს ფინანსების რეალიზაციას;
– ანხორციელებს ინფორმაციული მხარდაჭერის პროექტებს;
– ანხორციელებს კვალიფიკაციის და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობების ორგანიზაციას (ტრენინგები).

ჩვენი პრიორიტეტი უნდა იყოს ევროკავშირის ფონდებიდან სახსრების მოზიდვა და რამაც უნდა უზრუნველყოს ,,სოფლის განახლება და განვითარება''

შეიძლება დაფინანსდეს შემდეგი ინიციატივები:

– საზოგადოებრივი ადგილების, კულტურული, სპორტული და დასასვენებელი ობიექტების მშენებლობა და რემონტი;
– საზოგადოებრივი სარგებლობის სივრცის მოწყობა (ავტოპარკინგი, ტროტუარები, წყალსაცავების მოწყობა და ა.შ.)
– ტურისტული ინფრასტუქტურის მშენებლობა;
– ადგილობრივი ისტორიული ობიექტებისა და ადგილების განახლება;
– ლოკალური სამშენებლო ტრადიციებისათვის დამახასიათებელი საერთო სარგებლობაში მყოფი ობიექტების განახლება;

– ადგილობრივი ტრადიციებისა და სპორტის სახეობების მხარდაჭერა.

სოფლის განახლებას გააჩნია კონკრეტული მატერიალური ეფექტი, რომელიც სოფლის ახალი ესთეტიკური საშუალებების რეალიზაციაში გამოიხატება. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ისიც, რომ იცვლება სოფლის მოსახლეობის აზროვნების სტილი და იზრდება პასუხისმგებლობა საკუთარი ტერიტორიების მიმართ და ცხოვრების ხარისხი.

უნდა შემუშავდეს პროგრამები, რომლებიც განვითარების აქტივიზაციისა და ადგილობრივი რესურსების გამოყენების გზით ხელი შეუწყობს ტერიტორიის განვითარებას. ამ პროგრამამ მხარი უნდა დაუჭიროს სოფლის განვითარების თანამედროვე სტრატეგიის დანერგვას, ადგილობრივი პარტნიორობის ჩამოყალიბებას, რეგიონის განვითარებისაკენ მიმართული ინიციატივების რეალიზაციას.

**პროგრამა უნდა მოიცავდეს დაგეგმვისა და რეალიზაციის შემდეგ პრინციპებს:**

1. **ლოკალური მიდგომა**– სოფლის ტერიტორიის ფარგლებში პროგრამების განვითარების მხარდაჭერა. ტერიტორია უნდა იყოს ერთიანი, ჰქონდეს ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორიის მოცულობა უნდა განისაზღვროს მოსახლეობის რაოდენობით. მხარდაჭერა გულისხმობს განვითარების კომპლექსურ პროგრამას, რომელიც ესადაგება კონკრეტულ სიტუაციას და ითვალისწინებს საზოგადოებრივ აზრს.
2. **პარტნიორული მიდგომა**–პროგრამის საფუძველს წარმოადგენს პარტნიორობა და თანამშრომლობა სამი სექტორის წარმომადგენლებს შორის.

**ადმინისტრაცია**– ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები: სკოლა, კულტურის სახლი, საკონსულტაციო ცენტრი, სამეცნიერო დაწესებულებები, ბიბლიოთეკა და ა.შ.

**საზოგადოება**–არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც ანხორციელებენ სოციალურ დახმარებას, ემსახურებიან სპორტს, კულტურას, განათლებას, ტურიზმს, ასოციაციების ფუნქციონირებას, აგროპოლიტიკას და ა.შ.

**ბიზნეს-სექტორი**– მეწარმეები, მათი ორგანიზაციები, ბანკები, სხვა ფინანსური დაწესებულებები, რომლებიც მონაწილეობენ სოფლის განვითარების ინიციატივების რეალიზაციაში. ისინი ქმნიან მოქმედების ლოკალურ ჯგუფს, რომელიც პარტნიორული პრინციპებით ხელმძღვანელობს. კერძო სექტორის წილი არ შეიძლება 50%-ზე ნაკლები იყოს. ასეთი ჯგუფის მიზანს წრმოადგენს პროექტები, განვითარებისა და რეალიზაციის სტრატეგიის შემუშავება.

3. **ინიციატივა**– ფიქსირდება ყველა ეტაპზე, დაწყებული ლოკალური ჯგუფის შექმნით და შემუშავებული სტატეგიის გეგმის რეალიზაციით დამთავრებული, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მონაწილეობას გულისხმობს.

4. **ინოვაციური მიდგომა**–იგულისხმება პროგრამის ინოვაციურობა თავი-სი არსით, მაგრამ ინოვაციური უნდა იყოს პროგრამის რეალიზაციის ინსტრუმენტებიც, რომლებიც იყენებენ ადგილობრივ რესურსებს და ქმნიან ახალ პროდუქციას და იძენენ გამოცდილებას.

5. **ინტეგრირებული (კომპლექსური) მიდგომა**–წარმოადგენს აზროვნების და მოქმედების ფორმას. ტერიტორიების განვითარების პრობლემებს კომპლექსურად წყვეტს, რაც სხვაასხვა სფეროში გაწეული ძალისხმევის კოორდინაციას და გაერთიანებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში რაიონის (სიფლის განვითარების) პროექტები ერთმანეთს აძლიერებენ, აღრმავებენ საკუთარ კონკრეტულ ეფექტს და საქმიანობის სფეროებს მტკიცედ უკავშირებენ ერთმანეთს. მაგალითად იმისათვის, რომ ტურიზმი კონკრეტულ ტერიტორიაზე განვითარდეს, აუცილებელია განთავსების და კვების ერთიანი ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი ეფექტური ფუნქციონირება, სარეკლამო უზრუნველყოფა და ა.შ., რაც რამდენიმე დაწესებულების ერთიანი ძალისხმევით მიიღწევა;

6. **პარტნიორობა და თანამშრომლობა** – მოქმედების ადგილობრივი ჯგუფები ვალდებულნი არიან, მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ და სართაშორისო დონეზე ჩატარებულ გამოცდილებაზე და ინფორმაციის გაცვილის საქმეში, რაც იძლევა ახალი ცოდნის შეძენის, საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებისა და ინფორმაციის გავრცელების საშუალებას. ჯგუფები თანამშრომლობენ პროექტების რეალისაციის პროცესში.

7. **ლოკალური დაფინანსება და მართვა** – ჯგუფები ამუშავებენ სოფლის განვითარების ადგილობრივ სტრატეგიის, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ადგილობრივი მოსახლეობის მიზნებსა და მოლოდინებს. პროგრამისათვის გამოიყენება დაფინანსება ინვესტიციების წყაროებისა და ტრანშების სახით. შემსრულებლები შეიძლება იყვნენ ნებისმიერი სუბიექტები, რომლებიც საქმიანობენ ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე. შესაბამისად ადგილობრივი ჯგუფები მართავენ და პასუხს აგებენ პროგრამის რეალიზაციაზე.

## 2. აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი დონის მენეჯმენტის პოზიციებიდან.

დარგობრივი და ტერიტორიული მართვის შესაბამისი რეგიონული და სახელმწიფოებრივი დონის ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა სოფლის მეურნეობის მართვის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი პირობაა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სოფლის მეურნეობის მართვის ისეთი ფუნქციები, როგორიცაა მიზნის განსაზღვრა, პროგნოზირება, ორგანიზაცია და კორდინირება. აგრეთვე მეურნეობრივობის ფორმებში სამეურნეო საქმიანობის რეგულირება ეკონომიკური ბერკეტებისა და სამართლებრივი აქტების გამოყენებით. ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მართვის ორგანოების ფუნქციონირების ისეთი ასპექტები, როგორიცაა მმართველობაში იმ რგოლების როლის ამაღლება, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრასის მიღწევათა დანერგვას და სწავლება-კონსულტირებას, სოფლის მეურნეობაში პროდუქციის ხარისხის პრობლემის გდაწყვეტას, მარკეტინგულ საქმიანობას, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას და სხვა. სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც არის საქართველოს კონსტიტუციის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი სამთავრობო დაწესებულება. იგი მოქმედებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულბის, სხვა კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, საქართველოს მთავრობისა და პრემიერ მინისტრის აქტების საფუძველზე. სამინისტრო ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

სამინისტროს, როგორც სახელმწიფოებრივი დონის მენეჯმენტის ორგანიზაციულ-იურიდიული რგოლის მმართველობის სფეროებია: აგროსასურსათო, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების, მცენარეთა დაცვის, მეცხოველეობის სანაშენე საქმიანობის, აგროსაინჟინრო, ვეტერინარიის, სასელექციო საქმიანობის.

<u>სამინისტროს სისტემაში შედის;</u>

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სახელმწიფო დეპარტამენტი;

3. სამინისტროს ცენტრალური აპარატი;

4. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები;

5. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები;

6. საჯარო სამართლის იურიდიული პირები.

**სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურა:**

სამინისტროს ცენტრალური აპარატის შემადგენლობაში შედის შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები:

1. ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

2. გენერალური ინსპექცია;

3. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და პროექტების მართვის დეპარტამენტი;

4. სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი;

5. იურიდიული დეპარტამენტი;

6. საფინანსო და საბუღალტრო სამსახური;

7. სამელიორაციო პოლიტიკის სამართველო;

8. სურსათის უვნებლობისა და რისკის ანალიზის სამართველო;

9. მარკეტინგული კვლევისა და სტრატეგიული განვითარების სამართველო;

**სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები – რეგიონული სამმართველოები:**

1. გარე კახეთის,
2. შიდა კახეთის,
3. შიდა ქართლის,
4. ქვემო ქართლის,
5. მცხეთა-მთიანეთის,
6. სამცხე-ჯავახეთის,
7. რაჭა-ლეჩხუმის,
8. იმერეთის,
9. სამეგრელო-ზემო სვანეთის,
10. გურიის.

**სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებია (სამმართველოებია):**

1. ინფორმაციული უზრუნველყოფის და ქსელების;
2. პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის;
3. სახელმწიფო შესყიდვებისა და ქონების მართვის;
4. სამეურნეო;

5. საქმისწარმოების;

6. ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების;

7. ევროინტეგრაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის;

8. დარგობრივი განვითარების;

9. სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების;

10. სამართლებრივი უზრუნველყოფის;

11. სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის;

12. მარკეტინგული კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების;

13. სამელიორაციო პოლიტიკის;

14. სურსათის უვნებლობისა და რისკის ანალიზის;

15. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური;

16. საფინანსო საბუღალტრო სამსახური;

17. გენერალური ინსპექცია;

18. ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი";

19. ლაბორატორია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს უპირველესი მიზანია ხელი შეუწყოს ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის დაჩქარებული ტემპით განვითარებას. ამასთანავე შექმნას სასურველი გარემო ექსპორტისა და ინვესტიციებისათვის.

რუსეთის მიერ ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე დაწესებულმა ემბარგომ თავისი უარყოფითი გავლენა იქონია, ამიტომ, აუცილებელი გახდა საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია, მარკეტინგული კვლევების გაფართოება და სასოფლო-სამეურნეო ბაზრების ტენდენციების შესწავლა ძირითადი საექსპორტო პროდუქტების მიხედვით, რათა გამოვლენილი ყოფილიყო ქართული საქონლის გასაღების ბაზარი.

<u>საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მნიშვნელოვანი ამოცანებია;</u>

მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება;

იმპორტ შემცველი პროდუქციის წარმოების ზრდა და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

არასაექსპორტო საქონლის წარმოების ზრდა;

სოფლად კოოპერირებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა;

საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარება;

მაღალხარისხიანი სათესლე და სარგავი მასალის მიწოდება;

მეცხოველეობაში ჯიშების გაუმჯობესება.

მიწის რესურსების მენეჯმენტში მნიშვნელოვანია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების პრივატიზაცია და მათი ეფექტურად გამოყენება, მიწის ბაზრის ფორმირება და მიწის ფასის დადგენა, სარიგაციო სისტემების რეაბილიტაცია მოდერნიზება და მართვის სისტემის გაუმჯობესება, მიწების დაცვის ღონისძიებების განხორციელება. რაც სოფლის მეურნეობის განვითარების მყარ საფუძველს შექმნის.

სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად სოფლის მეურნეობის სამინისტროს არსებული სტრუქტურა მომავალში მოითხოვს შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას, იმ პრიორიტეტების გათვალისწინებით, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას, კერძოდ ეს ეხება: ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნას და კერძო ინვესტიციების წახალისებას, საექსპორტო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობას, არასაექსპორტო იმპორტ შემცვლელი პროდუქციის წარმოების ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სოფლად სიღარიბის დაძლევას, მომხმარებლისათვის ბაზარზე ხელმისაწვდომი და უვნებელი სურსათის მიწოდებას, სოფლად საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებას, მიწების რაციონალურად გამოყენებას და დაცვას.

ინვესტიციების მოზიდვის მიზნით სამინისტროს როლი სწორი სტრატეგიის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს. აღნიშნული სტრატეგია უნდა მოიცავდეს თანამედროვე მენეჯმენტს, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, საერთაშორისო სტანდარტების შემოღებას. საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებას, კონკურენციული გარემოს შექმნას, მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბებას, სერთიფიცირებას და ა.შ.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, აჭარის არ კონსტიტუციის, საქართველოსა და აჭარის არ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და მოქმედი დებულების შესაბამისად. სამინისტრო ანგარიშვალდებულია აჭარის არ მთავრობისა და საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებების წინაშე.

აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფერო და ამოცანების დიდი ნაწილი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის იდენტურია.

სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე სამინისტროს მიერ შემუშავებულია სამოქმედო პროგრამა, რომელშიც დეტალურად არის ასახული მიზანდასახულობათა მიღწევის ძირითადი ამოცანები და პასუხისმგებელი შემსრულებლები, ინდიკატორები და პროგრამის შედეგზე ორიენტირებული რისკები და ვარაუდები.

აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი დონის მენეჯმენტის სრულყოფის თვალსაზრისით, ზემოაღნიშნულ ამოცანათა შესრულება სამინისტროს შეუძლია მხოლოდ ზემოქმედების მარეგულირებელი ფუნქციების ორი ძირითადი მიმართულებით განხორციელების შემთხვევაში:

1. ეკონომიკური რეგულირება, რაც ითვალისწინებს სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივ რეგლამენტაციას შესაბამისი კანონმდებლობის ფარგლებში, მოსახლეობის ცალკეულ ფენებსა და რეგიონებს შორის შემოსავლების მექანიზმის ფორმირებას.
2. ცალკეული საწარმოების, სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმისა და პირველადი რგოლის საქმიანობის რეგულირება.

სამინისტროს საქმიანობის ასეთი კლასიფიკაცია უფრო ოპერატიულსა და ეფექტურს გახდის მათზე ზემოქმედების მეთოდებს, ხელს შეუწყობს კერძო საკუთრებაში მყოფ საწარმოთა ფორმირებას და სტრატეგიულ არჩევანს, მათი შემდგომი განვითარების მიზანშეწონილობის უზრუნველსაყოფად.

საბაზრო ურთიერთობა და მისი თავისებურებანი გავლენას ახდენს მენეჯმენტის პრინციპებზე და ნებისმიერი ორგანიზაციის საქმიანობაზე. ამიტომ საბაზრო ურთიერთობათა ზოგიერთ სპეციფიკურ ფაქტორთა გათვალისწინება მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში აუცილებელია. აქედან გამომდინარე, საბაზრო ურთიერთობის მართვას მარკეტინგს უწოდებენ. იგი მენეჯმენტის ისეთი ორგანიზაციული ფორმაა, რომლის დროსაც მმართველობითი გადაწყვეტილებების საფუძვლად გველინება არა საწარმოს შესაძლებლობანი, არამედ ბაზრის მოთხოვნილებები, მომხმარებელთა არსებული და პოტენციური მოთხოვნები.

მენეჯმენტის ფუნქციების შესრულებისას ნებისმიერი სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურა ყოველთვის უნდა ხელმძღვანელობდეს მარკეტინგის ძირითადი პრინციპებით, რომელთაგან მნიშვნელოვანია:

- მომხმარებელთა მოთხოვნების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილება, საბაზრო სიტუაციისა და საწარმოს ან მომსახურების შესაძლებლობათა ზუსტი ცოდნა;

- ორგანიზაციის, საწარმოს საქმიანობის მაღალი შედეგის მაქსიმალური გახანგრძლივება, ახალი მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა და საბაზრო სიახლეთა ოპერატიული განხორციელება;
- ნებისმიერი საწარმოს ან მომსახურების სტრატეგიისა და ტაქტიკის ერთიანობის აუცილებლობა მომხმარებელთა მუდმივად ცვალებადი მოთხოვნებისადმი ადაპტაციის, მათზე ზემოქმედებისა და მოთხოვნილებათა სტიმულირების მიზნით.

აღნიშნულ მოტივაციათა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ როგორც საქართველოს, ისე აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობაში მართვის სისტემის ეს ძირითადი დამახასიათებელი მხარეები ნაკლებად არის ასახული და რაც მთავარია მისი გამოყენების მექანიზმი დახვეწას საჭიროებს, იგი უფრო მობილური უნდა გახდეს. ამის საფუძველს იძლევა ის, რომ აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში ეს რგოლი საერთოდ არ ფუნაციონირებს. აქედან გამომდინარე, სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის მიზნით საჭიროა აპარატის სტრუქტურაში შეიქმნას „მარკეტინგული კვლევის, პროგნოზირებისა და რისკების ანალიზის" დეპარტამენტი, არსებული საშტატო განრიგის ფარგლებში.

რადიკალური ცვლილებებია გასატარებელი სამინისტროს რაიონულ დონეზე ურთიერთობის თვალსაზრისითაც. 2006-2007 წლებში გაუქმებული რაიონული სოფლის მეურნეობის სამართველოს ნაცვლად ამჟამად მუნიციპალიტეტებში დანიშნულია სოფლის მეურნეობის დარგში გამგებლის მხოლოდ ერთი თანაშემწე, რომელსაც ფუნქციები და უფლებები დებულებით განსაზღვრული არა აქვს. დასახვეწია სოფლად თვითმმართველობის სისტემა, წვრილგლეხური (ფერმერული) მეურნეობის ორგანიზაციული ფორ\მები, რომელთა სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა პირველი რიგის ამოცანად უნდა იქნას მიჩნეული.

აღნიშნულ და რიგ სხვა ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებების მიზანმიმართული და თანმიმდევრული განხორციელება ხელს შეუწყობს კანონმდებლობათა და სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სამინისტროს ფუნქციებისა და ამოცანების წარმატებით შესრულებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე მოქმედი რიგი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფაქტორების გამოყენების კვლევის შედეგად ირკვევა, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. კერძოდ, ყველა კატეგორიის მეურნეობებში 2003 წელთან შედარებით, 2007 წელს ხორბლის წარმოება შემცირდა 150,5 ათასი ტონით, ანუ 66,7%-ით, სიმინდის - 166,1 ათასი ტონით, ანუ 36%-ით, მზესუმზირისა – 9,4 თასი ტონით, ანუ 36,8%-ით, კარტოფილისა – 196,0 ათასი ტო-ნით, ანუ 46,1%-ით, ბოსტნეულისა – 240,0 ათასი

ტონით, ანუ 44,2%-ით, რაც ბუნებრივ პირობებთან ერთად ნიადაგის ნაყოფიერების შემცირების, აგროტექნიკური ღონისძიებების აგროვადებში შეუსრულებლობით, სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოუყენებლობით არის გაპირობებული. ანალოგიური მდგომარეობაა მეცხოველეობაშიც. აღნიშნულ პერიოდში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შემცირდა 194,0 ათასი სულით, მათ შორის ფურების – 187 ათასი სულით, ღორების – 364 ათასი სულით, ცხვარი და თხა – 16 ათასი სულით, ფრინველი – 3051 ათასი ფრთით. შესაბამისად შემცირდა ხორცის წარმოება (დაკლული წონით) – 39,5 ათასი ტონით, რძის – 140,4 ათასი ტონით, კვერცხის – 20 მლნ. ტონით, რაც ძირითადად განპირობებულია გაუარესებული ჯიშობრივი შემადგენლობით, ვეტერინალური მომსახურეობის დაბალი დონით და მინდვრად საკვებწარმოებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მჭიდროდ არის დაკავშირებილი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებასთან. მაგალითად, ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2003 წელს 24%-დან 2007 წელს შემცირდა 9%-მდე, კარტოფილის -105%-დან 815%-მდე, ბოსტნეულის – 100%-დან 75%-მდე, ხორცის – 79%-დან 57%-მდე, რძის და რძის პროდუქტების – 71%-დან იზრდება 89%-მდე.

აღნიშნულმა მდგომარეობამ ქვეყანა იძულებითი იმპორტის მდგომარეობამდე მიიყვანა. კერძოდ, 2006 წელს ქვეყანაში იმპორტირებული იყო 609,8 მლნ აშშ დოლარის სოფლის მეურნეობის პროდუქტები, მაშინ როდესაც ექსპორტმა მხოლოდ 234,9 მლნ დოლარი შეადგინა.

**როგორც ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი დონის მენეჯმენტის სრულყოფის მიზნით თანამედროვე ეტაპზე სოფლის მეურნეობის განვითარების <u>ძირითადი პრიორიტეტებია:</u>**

-აგრარული სექტორის განვითარებისა და გაძღოლის სტრატეგიული პროგრამის შემუშავება, სადაც გამოყოფილი იქნება პრიორიტეტული დარგები და რეგიონულ დონეზე მათთვის დამახასიათებელი დარგობრივი მიმართულებები, საგარეუბნო, ბარის და სამთო მიწათმოქმედების ტიპებისათვის მისაღები დარგთა და კულტურათა შეთანაწყობის პროპორციები.

-ცვლილებების შეტანა საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ", რის მიხედვითაც ცალკე ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად უნდა გამოიყოს ფერმერული მეურნეობები;

-სოფლის მეურნეობის კოოპერირებისა და ინტეგრაციის შესახებ კანონების მიღება;

-სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარება და მომსახურების სერვის-ცენტრების შექმნა, სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმებით, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებს ტექნიკით, სასუქებით და შხამქიმიკატებით, მომსახურეობითა და მომარაგებით;

-სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერება. ამ მიზნით უნდა შემუშავდეს და დაინერგოს სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო პროგრამები, სადაც განსაზღვრული იქნება სახელმწიფო მხარდაჭერის და შეყიდვის მოცულობები და შესასყიდი ფიქსირებული ფასები;

-ექსპორტზე ორიენტირებული და იმპორტ შემცვლელი პროდუქციის წარმოებისათვის ხელის შეწყობა;

-სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა განახლების, მეთესლეობის განვითარების აგრეთვე მეცხოველეობის ჯიშური შემადგენლობის გაუმჯობესების და სანაშენე საქმის მხარდაჭერა;

-წვრილი ფერმერული მეურნეობების ბაზარზე ნაბაყოფლობით კოოპერატივის შექმნისათვის ხელშეწყობა;

-სადაზღვევო სისტემის განვითარებისა და ფერმერებისათვის სხვადასხვა ფორმის კრედიტების მიღების ხელმისაწვდომობის პირობების შექმნა;

-შიდა სასურსათო ბაზრის დაცვის გაძლიერება როგორც ადგილობრივი ისე იმპორტული უხარისხო პროდუქციისაგან;

-აგრარულ სექტორში მეცნიერული უზრუნველყოფის დონის ამაღლება და ფერმერთა სწავლების, კონსულტაციების და სამეცნიერო-საინფორმაციო სისტემის დანერგვა.

<u>აგრარული სექტორის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტისათვის მიზანშეწონილად მგვანია სახელმწიფოებრივ დონეზე, მენეჯმენტის ეტაპობრივი სრულყოფა-გაუმჯობესება. კერძოდ:</u>

1. <u>რაიონებში სოფლის მეურნეობის სერვისცენტრების შექმნა.</u>

პირველ ეტაპზე სამინისტროში არსებული საშტატო განრიგის ფარგლებში უნდა ჩამოყალიბდეს მართვის რგოლი, როგორც სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც უხელმძღვანელებს და კორდინაციას გაუწევს რაიონების სერვისცენტრების მუშაობას, რომელთა ძირითადი დანიშნულება იქნება ფერმერთა ტექნიკით, შხამქიმიკატებით, სასუქებით, საწვავით მომსახურეობა და მომარაგება. ამ ეტაპზე შესაძლებელია ტექნიკის მფლობელები თავიანთი ტექნიკით მიწვეულნი იყვნენ სამუშაოდ კონტრაქტით. შემდეგ ეტაპზე სერვისცენტრების განვითარებისა და გაძლიერების კვალობაზე შეიძლება ეს სტრუ-

ქტურა გარდაიქმნას სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებელი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.

-სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების სისტემის შექმნა.

სამინისტროში არსებული საშტატო განრიგის ფარგლებში, უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების რგოლი, როგორც სამინისტროს ფარგლებში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც უხელმძღვანელებს და კორდინაციას გაუწევს რეგიონების დამზადების ცენტრების მუშაობას. მათ საქმიანობაში აუცილებელი იქნება შესაბამისი სტანდარტების შემოღება და პროდუქციის სერტიფიცირება. ისინი წინასწარ ფერმერებთან ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრავენ პროდუქციის შეთანხმებით შესასყიდ რაოდენობას, შესყიდვის ვადებს და ფასს, რომლის შესრულებაც სავალდებულო უნდა იყოს ორივე მხარისათვის. პროდუქციის შენახვისა და დაფასოების შემდეგ იგი გაჯა სამომხმარებლო ბაზარზე რეალიზაციისათვის. ამ სისტემის შექმნით სამინისტროს შესაძლებლობა ეძლევა ბაზარზე ფასების რეგულირების მიზნით მოახდინოს როგორც შესყიდვითი ისე გაყიდვითი ინტერვენციები და შეასრულოს ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები. შემდგომ ეტაპზე ეს სისტემა შეიძლება გარდაიქმნას როგორც სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.

-სადაზღვევო სისტემის შექმნა.

პირველ ეტაპზე სამინისტროში არსებული საშტატო განრიგის ფარგლებში, უნდა ჩამოყალიბდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო დაზღვევის სისტემა როგორც სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება. დაზღვევა უნდა მოხდეს მოსალოდნელი მოსავლის 50-75% ფარგლებში. დაზღვევა უნდა იყოს კერძო სადაზღვევო კომპანიებთან შედარებით უფრო დაბალი პროცენტით, ან სახელმწიფოსა და ფერმერების თანადაფინანსებით. ეს შეიძლება იყოს 50-50% ან სხვა თანაფართობით. შემდეგ ეტაპზე სადაზღვევო როლის გაძლიერების შემდეგ შეიძლება იგი გარდაიქმნას სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.

2. სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრის შექმნა.

სამინისტროში, არსებული საშტატო განრიგის ფარგლებში უნდა შეიქმნას სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც დაექვემდებარება სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტს. ცენტრს მჭიდრო კავშირი ექნება შესაბამისი პროფილის უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან. იგი უხელმძღვანელებს მხარეში არსებულ სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრებს. მხარეში ცენტრის შექმნა სასურველია შესაბამისი პროფილის უმაღლესი განათლების

დაწესებულებაში ან სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ან მათ საცდელ სადგურებში და ექსპერიმენტულ მეურნეობებში. ცენტრის ძირითადი ამოცანა იქნება სწავლებების ორგანიზაცია და ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიისს და ჯიშების პროპაგანდა. იგი ასევე დახმარება მათ დანერგვაში, კულტურების და დარგების შერჩევაში, გადასახადების განსაზღვრის, აღრიცხვა-ანგარიშგების ორგანიზაციის და იურიდიულ საკითხებში.

3. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამელიორაციო პოლიტიკის სამართველო გაფართოვდეს და მას დაემატოს მიწის რესურსების გამოყენების და დაცვასთან დაკავშირებული ფუნქციები და ეწოდოს მიწების გამოყენებისა და დაცვის სამართველო.

გარდა აღნიშნულისა აუცილებლად მიგვაჩნია, რომ სამინისტრომ სრულად გაითვალისწინოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ურუგვაის რაუნდზე დაშვებული გამონაკლისები, რომლებიც არ არღვევენ WTO -ს მოთხოვნებს და საშუალებას იძლევა ამ თუ იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე დახმარების გაწევას, თუ დახმარების მთლიანი მოცულობა, განვითარებადი ქვეყნებისათვის არ აღემატება წარმოებული პროდუქციის 10%-ს ხოლო მთლიანად სოფლის მეურნეობის შემთხვევაში დახმარების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების 10%-ს განვითარებადი ქვეყნებისათვის. 2007 წლის მონაცემებით მთლიანად სოფლის მეურნეობისათვის დახმარების გაწევა შესაძლებელი იყო დაახლოებით 230 მლნ ლარით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურული ცვლილებები გამოიწვევს აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების შექმნას და ცვლილებებს.

რადიკალური ცვლილებებია გასატარებელი სამინისტროს რაიონულ დონეზე ურთიერთობის თვალსაზრისით. მართალია სამხარეო დონეზე სამინისტროს აქვს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები (2-3 ერთეულის ფარგლებში), მაგრამ იგი საკმარისი არ არის, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია რაიონებში შეიქმნას სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სამინისტროს აგრარული პოლიტიკის განხორციელებას რაიონულ დონეზე.

**<u>საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემოთავა-ზებული სტრუქტურა:</u>**

1. ინფორმაციული უზრუნველყოფის და ქსელების სამმართველო;
2. პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო;

3. სახელმწიფო შესყიდვებისა და ქონების მართვის სამმართველო;
4. სამეურნეო სამმართველო;
5. საქმისწარმოების სამმართველო;
6. ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების სამმართველო;
7. ევროინტეგრაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველო;
8. დარგობრივი განყოფილებების სამმართველო;
9. სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების სამმართველო;
10. საწავლო-საკონსულტაციო ცენტრი;
11. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო;
12 სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის სამმართველო;
13. საფინანსო საბუღალტრო სამსახური;
14. გენერალური ინსპექცია;
15. მარკეტინგული კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების სამმართველო;
16. მიწების გამოყენებისა და დაცვის სამმართველო;
17. სურსათის უვნებლობისა და რისკის ანალიზის სამმართველო;
18. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური;
19. ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი";
20. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია;
21 სოფლის მომსახურეობის სერვის ცენტრი;
22. სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების სამსახური;
23. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო დაზღვევის სამსახური

● საბაზრო ურთიერთობების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბაზარს, რომლის გარეშე, შეუძლებელია განვიარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნად ჩამოყალიბება. დღეს ბაზარმა, საბაზრო ურთიობების რეგულარული დახვეწისა და სრულყოფის ტენდენციამ უნდა დაიცვას, ერთის მხრივ, მოსახლეობის ინტერესები და მეორეს მხრივ, უნდა გახდეს მძლავრი მასტიმულირებელი ფაქტორი მეწარმეობის ეკონომიკური ეფექტინობის ამაღლებაში.

აგრარული სექტორის რაიონული და სახელმწიფოებრივი დონის მენეჯმენტის საერთო სისტემაში აგრარული ბაზრის შესწავლამ გვიჩვენა, რომ აუცილებელია მოხდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტის მომხმა-

ებლამდე მიტანის ეფექტიანი ორგანიზაცია, მოსაკლის სარეალიზაციო არხების განვითარება და სრულყოფა. ამ მხრივ, რაიონებში რთული ვითარებაა. მართალია, ეწყობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თვითნებური ბაზრობა: ქალაქის შესასვლელებში, მაგისტრალური გზის გასწვრივ, სადაც 24 საათის განმავლობაში ვაჭრობენ გლეხები და საბითუმო ფასებში ყიდიან პროდუქტს, თითქოს, ერთი შეხედვით, სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელმა იპოვა გამოსავალი, მაგრამ პრობლემა ამით ვერ მოგვარდება. ჯერ ერთი, მთლიანად ვერ საღდება წარმოუბელი პროდუქცია და ამავე დროს, არ არის დაცული სანიტარული ნორმები. ხშირად ადგილი აქვს ჭირნახულის გაფუჭებასაც, რადგან გლეხისათვის საქონლის ცენტრალურ ბაზრამდე ტრანსპორტირება და რეალიზაცია უფრო მეტ დანახარჯთან არის დაკავშირებული, ვიდრე თვით სასაქონლო პროდუქციის წარმოება.

ცალკეულ რაიონში პროდუქციის რეალიზაციის პრობლემის მოგვარებისათვის საჭიროა გასაღების არხების ეფექტიანი გზების მოძიება. კერძოდ: საბითუმო ბაზრების ორგანიზება რაიონებისა და ქალაქის მასშტაბით, მისი სისტემაში მოყვანა, ფერმერული მეურნეობების გაძლიერება და აგროსამრეწველო ინტეგრაციის შექმნა-გაფართოება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და რეალიზაციით დაკავებულ საწარმოთა განვითარების და მათი სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით, მოწყობილობა-დანადგარებით უზრუნველყოფაში ხელშეწყობა, სპეციალიებული მაღაზიების ქსელის შექმნა ქალაქებში მარკეტინგული სამსახურების განვითარება და სხვ.

ქვეყნის აგრარული ბაზრის სრულყოფისათვის აუცილებელია მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინება. დღეს, აგრარული ბაზრის მსოფლიო პრაქტიკაში ფუნქციონირებს ოთხი ძირითადი ტიპის ბაზარი, რომლის ფორმირება ჩვენს პირობებშიც აუცილებელია, ესენია:

**I ჯგუფი: სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზარი.** იგი მოიცავს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, თუმცა ასეთი ბაზრისათვის დამახასიათებელია სეზონურობა, რაც განპირობებულია სოფლის მეურნეობის წარმოების სეზონური ხასიათით.

აღნიშნული ბაზარი შეიძლება დაიყოს ისეთ სეგმენტებად, როგორიცაა მემცენარეობა, მეცხოველეობა და გადამმუშავებელი საწარმოები.

**II ჯგუფი: სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ბაზარი.** აღნიშნული ტიპის ბაზარი შეიძლება დაიყოს ისეთ სეგმენტებად როგორიცაა: სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მანქანათა და სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და შხამ-ქიმიკატების და მეცხოველეობისათვის საჭირო ტექნიკური ბაზის სეგმენტები.

**III ჯგუფი: მომსახურეობის ბაზარი,** როგორიცაა: ინფორმაციული უზრუნველყოფა, კონსულტაციები, მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეები, მათ შორის ელიტური თესლითა და ჯიშიანი ცხოველით ვაჭრობა, ტექნიკური უზრუნველყოფა კოოპერაციულ საწარმოებზე, ვეტერინალური მომსახურება, მიწათმოწყობისა და კადასტრის სამუშაოები და სხვა სახის მომსახურეობა.

**IV ჯგუფი: ვაჭრობის სფეროს ანუ მარკეტინგული მომსახურების ბაზარი.** აქ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციას ანხორციელებს სპეციალიზირებული სავაჭრო ორგანიზაციები. ამ თვალსაზრისით არსებობს: დილერული და სადისტრიბუციო მომსახურების ორგანიზაციები. დღეს ხშირად სოფლის მეურნეობის საწარმოები უარს ამბობენ ზემოთ ჩამოთვლილი საავაჭრო მომსახურეობაზე და თავად უზრუნველყოფენ წარმოებული პროდუქციის გაყიდვას, ამით თავს არიდებენ დამატებით ხარჯებს.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული როლი ენიჭება აგრარული მარკეტინგის სამსახურის შექმნას. ამ მხრივ აუცილებელია შეიქმნას ისეთი მარკეტინგული სამსახურები, რომელთა საქმიანობის ძირითადი სფერო იქნება წარმოებისა და მიწოდების უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მარეგულირებელი სისტემის მორგება საბაზრო ეკონომიკის პირობებთან. ამ მხრივ აუცილებელია სახელმწიფოს შესაბამისი ეკონომიკური ბერკე-ტების ამუშავება.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აგრარული ბაზრის სრულყოფისათვის აუცილებელია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა:**

- სპეციალიზაციის სრულყოფა და განვითარება;
- წარმოებაში მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება;
- ინვესტიციების მოზიდვა;
- მომსახურეობის სერვისის სრულყოფა;

სახელმწიფომ შესაბამისი ბაზის სრულყოფით უნდა უზრუნველყოს მსოფლიო გამოცდილების საფუძველზე ზემოთ ჩამოთვლილი აგრარული ბაზრის ჯგუფების ჩამოყალიბება, წარმოების დანახარჯებით და დაფინანსების ახალი წყაროებით უზრუნველყოფა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აგრარული სექტორის სრულყოფისათვის საჭიროა რეგიონული აგრარული პოლიტიკის ძირითადი პრინციპების გადასინჯვა, სახე-ლმწიფოებრივი რეგურლირებისა და აგრარული სექტორისათვის მხარდაჭერაზე კონტროლი, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

აგრარული ბაზრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ისეთი წინაპირობა, როგორიცაა კონკურენცია, საკუთრების თავისუფლება და ეკონომიკური თავისუფლება. თავის მხრივ, აგრარული ბაზრის სრულყოფა განაპირობებს:

1) მომხმარებელთა უზრუნველყოფას სოფლის მეურნეობის პროდუქციით. ამის განხორციელება დაკავშირებულია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან, ეკოლოგიურად საიმედო პროდუქციის წარმოებასა და ბაზარზე გატანასთან.

ჩვენი ქვეყნისათვის დღეს ეს პრობლემა უპირველესია, რადგან ბაზარზე სამამულო პრო-დუქცია უმნიშვნელო რაოდენობითაა, მაშინ როდესაც იგი გაჯერებულია იმპორტირებული, ხშირად უხარისხო და ეკოლოგიურად უარგისი პროდუქციით.

2) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე სტაბილური ფასების შენარჩუნებას, სამართლიანი ფასების არსებობას. ეს ნიშნავს, რომ წარმოებისათვის მისაღები რენტაბელობის პირობებში მიღწეულ იქნეს ხელმისაწვდომი ფასების არსებობა.

3) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. ეს რესურსების დაზოგვის კანონს უკავშირდება. იგი უზრუნველყოფს მინიმალური დანახარჯების პირობებში მოგების მიღებას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო ბაზრის სრულყოფისათვის და პერსპექტიული ტიპების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან აგრარული პოლიტიკის დახვეწა და მარკეტინგული სამსახურების ფუნქციონირება, რაც მომავალში განაპირობებს სოფლის მეურნეობის განვითარების სტიმულირებას სოფლად მცხოვრებთა დასაქმებას და მათი შრომისა და სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

აგრარული პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს სოფლად მცხოვრებთათვის შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას, დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსურ დამუშავებასა და განხორციელების საფუძველზე, სოფლად მომუშავე ადგილობრივი და ახლად დასახლებული მოსახლეობა თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი ენერგომარაგით, კეთილმოწყობილი საგზაო ქსელით, სასმელი და სამეურნეო წყლით, განათლების, კულტურის, ჯანდაცვის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტებით, სატრანსპორტო კვანძით, სატელევიზიო გადაცემების მიღებით და სხვა. აღნიშნული ობიექტების მშენებლობა რაიონებში უნდა გახდეს სტრატეგიული მიმართულება ისე, რომ სამ წელიწადში ერთხელ მაინც,

ყველა რაიონში განხორციელდეს სოციალური სფეროს რომელიმე სახის ობიექტის მშენებლობა და მისი ექსპლუატაციაში გაშვება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების აღნიშნული მიმართულებების საფუძველზე შემუშავებული პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს მეურნეობების სტაბილურ აღმავლობას.

**აგრეთვე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:**

— **სახელმწიფო მხარდაჭერა.** რათა სოფლის მეურნეობის სფეროში. დასაქმებულ პირებს შეექმნათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის პირობები, ჩამოაყალიბონ და განავითარონ სოფლის მეურნეობის სფეროში მაღალეფექტიანი წარმოება, წარმოებაში დანერგონ თანამედროვე ტექნოლოგიები.

აგრარულმა სფერომ უფრო აქტიური მონაწილეობის მიიღება უნდა შეძლოს ბიუჯეტის ფორმირებაში.

— **მომსახურების სერვის-გარემოს შექმნის უზრუნველყოფა,** რაც სოფლის მეურნეობის სფეროს გამართული, რიტმული ფუნქციონირებისათვისაა აუცილებელია, ეს მოითხოვს სათანადო მიზნობრივი, კომპლექსური პროგრამების დამუშავება, განხორციელებს.

აუცილებელია აგროსერვისის სამსახურების ჩამოყალიბება და განვითარება, რადგან სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა უმრავლესობას არ გააჩნია სახსრები ძვირადღირებული ტექნიკის შესაძენად.

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ხელსაყრელ ვადებში მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განვადებით შეძენის სერვისის ჩამოყალიბებას.

— **აგროსერვისის სამსახურების მოქნილი ქსელის ჩამოყალიბება.** სასურველია გავითვალისწინოთ დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება. მაგალითად გერმანიაში ფართოდ არის გამოყენებული მექანიზაციის სერვისის ორგანიზაციული ფორმა „სამანქანო რგოლები," და სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა მოწონებითაც სარგებლობენ. ჩვენი აზრით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეფიციტისა და მაღალი საექსპლუატაციო ხარჯების პირობებში ასეთი „სამანქანო რგოლები" სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა ურთიერთდახმარების შესანიშნავი საშუალებაა.

— **ბანკების მოქნილი ქსელის ჩამოყალიბება:** სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, წარმოების მუდმივად განახლებადი ციკლის შესანარჩუნებლად აუცილებელია როგორც მოკლევადიანი ასევე საშუალო და გრძელვადიანი დაბალ პროცენტიანი დაკრედიტება. ამიტომ უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო სფეროს მომსახურეობით დაკავებული ბანკების ქსელის შექმნაა აუცილებლია.

— **საკრედიტო კავშირების ფუნქციონირება,** რომელსაც ფლობენ თავისივე მომხმარებლები, ისინი აერთიანებენ ფულად დანაზოგებს შემდგომ იმავე თანხების სესხად გაცემის მიზნით.

—**სასოფლო-სამეურნეო საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების შედუნარიანი ქსელის ჩამოყალიბება.** ამისათვის სასურველია გავითვალისწინოთ აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება, მაგალითად, პოლონეთში სახელმწიფო პოლიტიკის სფეროს წარმოადგენს სასოფლო-სამეუნეო საინფორმაციო, საკონსულტაციო სამსახურების ფუნქციონირება. ამასთან დაკავშირებით შექმნილია კომპლექსური სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, კავშირების განვითარებას, საინფორმაციო ქსელის უზრუნველყოფას, სოფლის ახალგაზრდობის მუშაობის გააქტიურებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

ასეთი სამსახურების ძირითადი ამოცანაა: ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში სოფლის მოსახლეობის დახმარების გაწევა და რაიონების სოფლის მეურნეობის განვითარების სტიმულირება.

ასეთ ცენტრების ძირითადი ფუნქციაა:

1) *საგანმანათლებლო,* რომელიც ხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების გავრცელებით. ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების ფორმით, სოფლის მცხოვრებლებთან და სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებთან შეხვედრების, კურსების, სემინარების მოწყობა, მათი სტაჟირება და სპეციალური ლიტერატურის გაცნობა;

2) *დანერგვისა და გავრცელების,* რომელიც ხორციელდება ახალი ტექნიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის გზით.

3) *საინფორმაციო,* რომელიც ხორციელდება სათანადო ინფორმაციის შეგროვების გადამუშავებისა და გავრცელების გზით სასაოფლო-სამეურნეო მწარმოებლებს შორის.

სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო საინფორმაციო სამსახურები მჭიდრო კავშირშია სასოფლო-სამეურნეო კვლევით ცენტრებთან, განათლების სამინისტროსთან და სხვა ორგანიზაციებთან.

პოლონეთის ეს გამოცდილება ხელს შეუწყობს ფორმირების პროცესში მყოფი მეურნეობის ეფექტიან განვითარებას.

—*სადაზღვევო სისტემის შექმნა:* სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე ამ სფეროში განსაკუთრებით მაღალია რისკის ფაქტორი, ამიტომ აუცილებელია მწყობრი ეფექტიანი სადაზღვეო სისტემის არსებობა.

*—სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება* სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიე-ქცეს სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია მართვის ყველა დონეზე შეიქმნას ისეთი სტრუქტურები რომლებიც უზრუნველყოფენ საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობას, აგრარული ბაზრის ყველა სუბიექტის ინტერესების სამართლიან დაცვასა და ეკონომიკურ სტაბი-ლურობას.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე დასახული ღონისძიებების თანმი-მდევრულად და მიზანმიმართულად განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას, ეკონომკურ აღმავლობას და საერთაშორის ბაზარზე ქვეყნის მყარი პოზიციების მოპოვებას.

აგრარული სექტორის რაიონული მენეჯმენტის დანერგვის პრაქტიკა მოითხოვს ევროპული ფონდების პოლიტიკასთან განვითარებისა და დაგეგმვის ინსტრუმენტის კოორდინაციას. ეს გულისხმობს განვითარების სტრატეგიის შემუშავებას, როგორც ეროვნულ ასევე ლოკალურ დონეზე. სწორი მენეჯმენტის ძირითად მეთოდს სტრატეგიული დაგეგმვა წარმოადგენს, რაც გულისხმობს კონკრეტული მიზნის რეალიზაციისათვის მოქმედების კონკრეტული გეგმის შემუშავებას, ადგილობრივი განვითარების სტრატეგია კი წარმოადგენს, ადგილობრივი განვითარების სასურველ დონემდე კონკრეტული მოქმედების გეგმით. გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა საშუალებას იძლევა, გრძელვადიან პერსპექტივაში განხორციელდეს მოქმედების სტრატეგიის მიზანმიმართული მენეჯმენტი.

აღნიშნული გეგმა თანამედროვე მიდგომით უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს:

1. **პარტნიორობა** — გეგმის შემუშავებაში მონაწილეობას უნდა იღებდეს ყველა სუბიექტი, ვინც შემდგომ უნდა განაორციელოს პროექტი;
2. **სოციალური მიმართულება** —მოსახლეობამ თავად უნდა განსაზღვროს მიმდინარე პრობლემები, მათი დაძლევის გზები, უნდა დააფიქსიროს პრიორიტეტები, ადგილობრივი რესურსები, ფინანსური ადამიანური და სხვა შესაძლებლობები;
3. **გეგმების ფინანსური უზრუნველყოფა**— რომელშიც აღწერილი უნდა იქნეს პროგრამის რეალიზაციისათვის საჭირო სხვადასხვა ფინანსური რესურსები (კერძო და სახელმწიფო) გაერთიანების პრინციპები;
4. **მონიტორინგი**— უნდა აღიწეროს გეგმების განხორციელებაზე კონტროლის მეთოდები და კრიტერიუმები;

5. **რესურსების კონცენტრაცია**– პრიორიტეტული ამოცანების რეალიზაციისათვის უნდა მოხდეს ფინანსური რესურსების კონცენტრაცია;

6. **სუბსიდირება (ფუნქციების გადანაწილება)**–თუ შესაძლებელია ამოცა-ნების რეალიზაცია დაბალ რგოლში, მისი რეალიზაცია არუნდა დაეკალოს მომდევნო რგოლს.

სტრატეგიის შემუშავებისას საუკეთესო მეთოდია საზოგადოებრივი განხილვისა და ექსპერიმენტის მეთოდის გამოყენება, რაც ერთის მხრივ, გეგმის მომზადებაში მოსახლეობის მაქსიმალურ მონაწილეობას უზრუნველყოფს ხოლო მეორეს მხრივ კომპეტენტური ექსპერტების შეფასებას, რაც უდაოდ ხელს უწყობს გეგმის განვითარების პროგნოზირებას.

მენეჯმენტის სწორი წარმართვისათვის მოქმედების გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ქვეთავებს:

- განვითარების ფაქტორები;
- მიმდინარე სიტუაციების ანალიზი;
- პრიორიტეტები და მოქმედება;
- დანერგვა და მონიტორინგი;
- სოციალური მიმართულება

## შინაარსი


შესავალი . . . . . 4
1. პრიორიტეტული პრობლემის აღწერა . . . . . 5
2. პრობლემის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა . 6
3. პრობლემის დამუშავების მიზანი და ამოცანები . 8
4. მოსალოდნელი შედეგები . . . . . 9
5. მიზნის (იდეის) წარმატებული რეალიზაციის საშუალებები და ხელშემწყობი პირობები . . . . . 11
6. პრობლემის რეალიზაციის პოზიტიური შედეგები მოსახლეობისათვის . . . . . 12
7. გამოკვლევათა ამოსავალი ბაზა . . . . . 13
თავი I. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია (დარგობრივი სტრუქტურა), დარგთა და კულტურათა შეთანაწყობა, მისი ეკონომიკური შეფასება და ზონა-ლურ-დიფერენცირებული მახასიათებლები ---------- 16
თავი II. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომარაებისა და გამოყენების ზონალურ-დიფერენცირებული შეფასება და პროგნოზირება, მარკეტინგული მოთხოვნილებების შესაბამისად 37
თავი III. სასურსათო პროდუქციის ფასებისა და ფასწარმოქმნის სისტემის სრულყოფა, ზონალურ-დიფერენცირებული სარეკომენდაციო, სარეალიზაციო ფასების თანაფარდობის ოპტიმალური მოცულობები და მისი რეგულირების მექანიზმი -------- 53
თავი IV. აგრარული სექტორის რაიონული და სახელმწიფოებრივი დონის მენეჯმენტის სტრატეგიულ-პროგრამული მოდელები და მისი გამოყენების რეკომენდაციები ---------- 79
შინაარსი . . . . . 106

ომარ ქეშელაშვილი

# საქართველოს აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდის სტრატეგიული სისტემა
(მესამე ტომი)

Омар Кешелашвили

# Стратегическая система экономического роста аграрного сектора Грузии
(Третий том)

ტექნიკური რედაქტორი: ა.ლაფაჩი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნ.დამენია

გამომცემლობის რედაქტორი: ეკონომიკის
მეცნიერებათა კანდიდატი მ.ლეჟავა

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 6.8
სააღრიცხვო ნაბეჭდი თაბახი 6.6